პალიტრა მედია

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

14 მარტი **ორშაბათი** 2011

№ 059 (13 356) ფასი 60 თეთრი



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ავთანდილ ხურციძემ მსოფლიოს ჩემპიონის სარტყელი შემოირტყა

11

# ორი თასი ივერიელთა: ერთა და ივერიელისა



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# რაა?!





ტორპედო-სიონი 2:0. სახიფათო მომენტი ბოლნისელთა კართან

დავით კოხრეიძის ფოტო

# რომელმა უფრო გააოცა საქართველო: ლიდერმა ზესტაფონმა თუ უფსკრული კოლხეთმა?

ერთიანი ბიბლიოთეკა

# მონდომება და ინერცია

12.03. რუსთავი. ფოლადი.
500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ოლიმპი | 2 |
| ბაია | 0 |

1:0 მოდებაძე (45. პავლიაშვილის პასით), 2:0 გენაძე (73. მოდებაძის პასით)

| ოლიმპი 4-4-2 | ბაია 4-1-4-1 |
|---|---|
| ბათიაშვილი | სომხიშვილი |
| მურველაშვილი | აფაქიძე |
| კვახაძე | აქუბარდია |
| რეხვიაშვილი | რ. ონიანი |
| დობროვოლსკი | გამრეკლიძე |
| ი. მაისურაძე | ვართაგავა |
| დ. ბოლქვაძე | რიგვავა |
| ტყემალაძე | სიხარულია |
| გენაძე | ეხვაია |
| პავლიაშვილი | შ. ლომია |
| მოდებაძე | ქობალია |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| თ. მაისურაძე | ე. ქომეთიანი |

**ოლიმპი**

28. მურველაშვილი - **ჯაფარიძე**
73. მაისურაძე - **ქავთარაძე**
80. მოდებაძე - **გ. ჭელიძე**

*სათადარიგოები: ბედიაშვილი, იაშვილი, ქემოკლიძე, ლ. სეთურიძე*

**ბაია**

65. ვართაგავა - **წურწუმია**
78. ეხვაია - **სამუშია**
87. ლომია - **კუკავა**

*სათადარიგოები: მაქაცარია, გ. ქირია, კ. ახალაია, შონია.*

გაფრთხილება: ტყემალაძე (32)
არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი (თბილისი)



ირაკლი მოდებაძე გოლით და საგოლე პასით გამოირჩა

ესეც თქვენი ინტრიგა! „ზესტაფონის“ მოულოდნელმა ფრემ და „ოლიმპის“ გამარჯვებამ ჩემპიონატს დაძაბულობა უფრო შემატა: ამჟამინდელ ლიდერსა და მოქმედ ჩემპიონს შორის მხოლოდ ქულაა სხვაობა. რაღა თქმა უნდა, ნურც „დინამოს“ დავივიწყებთ, მით უფრო, რომ **კახა კაჭარავას** გუნდს კონკურენტებთან შედარებით ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული. მოკლედ, ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შედის და ისიც ცხადია, რომ რუსთაველები ყველა ღონეს იხმარენ ზედიზედ მეორე ტრიუმფის მისაღწევად. ახალგაზრდა სპეციალისტის - **თორნიკე მაისურაძის** დამოძღვრილმა გუნდმა დაგეგმილი 3 ქულა კი მოიპოვა, მაგრამ პირველი ტაიმის მიხედვით ძნელი გასარჩევი იყო, ამ წყვილის ფავორიტად რომელი გუნდი მიიჩნეოდა. მატჩის დასაწყისი მართლაც მოულოდნელი სცენარით წარიმართა: მე-3 წუთზე **დათა რიგვავას** სახიფათო გამჭოლ გადაცემას **ირაკლი ქობალიამ** ზუსტი გაგრძელება ვერ მოუძებნა, თორემ მასპინძელთა კარში გოლი გარდაუვალი ჩანდა. ხუთიოდ წუთში სტუმრებმა სტანდარტული შეასრულეს და უმეთვალყურეოდ დარჩენილმა **ნიკა აფაქიძემ** ზუსტი თავური დარტყმით გოლიც გაიტანა, მაგრამ ლაინსმენმა თამაშგარე დააფიქსირა; „ბაია“ მართლაც მშვენივრად თამაშობდა ამ მონაკვეთში და განსაკუთრებით გუნდის ახალწვეული, 18 წლის ცენტრფორვარდის ირაკლი ქობალიას აქტიურობა გვინდა აღვნიშნოთ. ამ ათლეტური აღნაგობის თავდამსხმელს ყველა მონაცემი გააჩნია, მაღალი დონის ფეხბურთელად რომ ჩამოყალიბდეს და „ოლიმპთან“ შეხვედრაშიც ორივე გუნდის შემადგენლობაში უდავოდ ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ.

...დაახლოებით მე-20 წუთი იქნებოდა, „ოლიმპმა“ პირველი სახიფათო შეტევა რომ განახორციელა და ამ შემთხვევაში „ბაია“ მართლაც „ზღაპარში“ გადაურჩა გოლს — **ირაკლი მოდებაძის** დარტყმული ბურთი სტუმრებმა კარის ხაზიდან გამოიტანეს. თუმცა მანამდე კიდევ ერთი საინტერესო ეპიზოდი იყო: **შოთა ლომიამ** საკმაოდ შორი მანძილიდან შეასრულა საჯარიმო და ბურთიც „ოლიმპის“ კარის „ცხრიანში“ მიფრინავდა, მაგრამ **ზურაბ ბათიაშვილმა** ჩინებული რეაქციით მასპინძლები გადაარჩინა. აი, ეს იყო და ეს — ამის შემდეგ (ერთ ეპიზოდს თუ არ ჩავთვლით) სახიფათო მომენტები მხოლოდ „ბაიას“ კართან იქმნებოდა: ჯერ იყო და, **დავით ბოლქვაძის** შორეული დარტყმა მცირე მანძილით ასცდა სტუმართა კარს და ყველა რომ შესვენებისთვის „ემზადებოდა“, სწორედ მაშინ გავიდა პირველი გოლი. ფაქტია, რომ სტუმართა მცველებმა უხეში პოზიციური შეცდომა დაუშვეს, მაგრამ ნურც **ილია პავლიაშვილს** დავუკარგავთ გარჯას, რომლის აქტიური თამაშისა და ზუსტი პასის მერე **ირაკლი მოდებაძეს** ახლო მანძილიდან გოლის გატანა არ გასჭირვებია.

აი, მეორე ტაიმში კი მასპინძელთა უპირატესობა თვალშისაცემი გახდა და ამის მიზეზი, „ოლიმპის“ ფეხბურთელთა მონდომების გარდა, სტუმართა უჩვეულო ინერტულობაც იყო. „ბაიამ“ მხოლოდ ერთადერთხელ შეძლო მეტოქის „შეწუხება“ და ამ შემთხვევაშიც ირაკლი ქობალიამ იაქტიურა, თუმცა ჭაბუკი თავდამსხმელის ძლიერი და შორეული დარტყმა მცირე მანძილით ასცდა მასპინძელთა კარს. სტუმართა თავკაცი **ელგუჯა ქომეთიანი** შეცვლებით შეეცადა სიტუაციის შეცვლას და, ფლანგების გაძლიერების მიზნით, ახალგაზრდა გარემარბები (**ლევან წურწუმია, გურამ სამუშია**) ჩართო თამაშში, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ მასპინძლები შესვენების შემდეგ ბევრად უფრო მოტივირებულ-მონდომებულნი გამოვიდნენ და მეორე ტაიმის უმეტესი დროც, ფაქტობრივად, შეტევაში გაატარეს. ანგარიშის გაზრდის შანსი **ალექსანდრე კვახაძეს** ჰქონდა, მაგრამ მასპინძელთა კაპიტნის ეფექტური დარტყმა მიზანს ასცდა; ასევე ცოტა დააკლდა **ვაკო ტყემალაძესაც**, ვინც დისკვალიფიცირებული **ლუკა რაზმაძის** ნაცვლად თამაშობდა. თუმცა მასპინძლებმა მაინც შეძლეს მეორე და „დამამშვიდებელი“ გოლის გატანა: ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი ირაკლი მოდებაძე ამჯერად ასისტენტის როლში მოგვევლინა და მისი ზუსტი პასის შემდეგ **რევაზ გენაძემ** ლამაზი თავურით მართლაც ეფექტური ბურთი შეაგდო! მატჩის დამთავრებამდე ოცი წუთი რჩებოდა, მაგრამ „ფოლადზე“ შეკრებილ გულშემატკივართაგან ალარავინ დაეჭვებულა „ოლიმპის“ ზედიზედ მეორე გამარჯვებაში: „ბაიაც“ თითქოს ინერციით განაგრძობდა თამაშს და სტუმრები უფრო დიდი ანგარიშით რომ არ დამარცხდნენ, **გიორგი სომხიშვილს** უნდა უმადლოდნენ — გამოცდილმა მეკარემ ჯერ გენაძეს შეუშალა ხელი დუბლის შესრულებაში, მერე კი **ლაშა ჯაფარიძის** შორეული დარტყმა მოიგერია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ოლიმპმა“ ამ გამარჯვებით ლიდერთან სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა, აი, სტუმრებისთვის კი ეს წაგება კატასტროფა ნამდვილად არ იქნებოდა, რადგან „ბაია“ ჯერჯერობით კვლავაც „სამშვიდობო ზონაში“ იმყოფება და, საერთოდაც, ამ გუნდს უმაღლესი ლიგის დატოვების საფრთხე არც უნდა დაემუქროს...

**გია ტუხაშვილი**
რუსთავი-თბილისი

12.03. ზესტაფონი. დ. აბაშიძე.
1500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ზესტაფონი | 0 |
| კოლხეთი | 0 |

| ზესტაფონი 4-4-2 | კოლხეთი 4-5-1 |
|---|---|
| რ. კვასხვაძე | ძაგანია |
| ალადაშვილი | გავაშელიშვილი |
| მ. კოვახიძე | ინწკირველი |
| გ. ონიანი | მეგრელიშვილი |
| ელიავა | გეგელია |
| გორგიაშვილი | გელაჭეიშვილი |
| ბაბუნაშვილი | გოგონაია |
| ძარია | გვალია |
| აფციაური | გულუა |
| დვალი | სიჭინავა |
| წინამძღვრიშვილი | სამადაშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| გ. გეგუჩაძე | დ. მახარაძე |

**ზესტაფონი**

46. ბაბუნაშვილი – **ბენაშვილი**
52. დვალი – **გელაშვილი**
64. ალადაშვილი – **გრიგალაშვილი**

*სათადარიგოები: მეშველიანი, ხიდეშელი, გ. ფოფხაძე, დაუშვილი*

**კოლხეთი**

21. გეგელია – **მოისწრაფიშვილი**
46. სამადაშვილი – **წიქარიშვილი**
82. მოისწრაფიშვილი – **მდივნიშვილი**

*სათადარიგოები: ვ. ლობჟანიძე, ბარამიძე, გვიჩია, საცერაძე*

გაფრთხილება: ალადაშვილი (36), გავაშელიშვილი (54)
არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი (ყვარელი)

# რაა?!

## შაბათის გასაკვირალი მთელი საქართველოსთვის

ამ მატჩის შედეგს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ არათუ ტურის, არამედ მთელი ჩემპიონატის ერთ-ერთი უმთავრესი სენსაცია. რამდენიმე დღის წინ "კოლხეთში" შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის შესახებ გიამბეთ. ამას გუნდიდან მთავარი მწვრთნელის - **ბესიკ შეროზიას** წასვლა მოჰყვა და ფოთელები "ზესტაფონთან" სათამაშოდ **დავით მახარაძემ** გაიყვანა. აი, ასეთი უმაღლესლიგური სამწვრთნელო დებიუტი მოიწყო წლების წინ "კოლხეთის" ერთ-ერთმა გამორჩეულმა ფეხბურთელმა.

ამ ტურამდე **გია გეგუჩაძის** გუნდმა "კოლხეთზე" უფრო ძლიერი ზუგდიდის "ბაია" 6:1 გაანადგურა და ზესტაფონელი ქომაგები, ცხადია, მოვლენათა დაახლოებით ამგვარ განვითარებას ელოდნენ. თუმცა გადიოდა დრო და, საგოლე მომენტების სიმრავლის მიუხედავად, მასპინძლები ანგარიშის გახსნას ვერაფრით ახერხებდნენ. სტუმრებმა ის ტაქტიკა აირჩიეს, რომლის გარეშეც წარმატების შანსი არ ექნებოდათ – ყრუ დაცვაში ჩადგნენ და კონტრშეტევებზე გადასვლა, ფაქტობრივად, არც უცდიათ. შესანიშნავად ითამაშა "კოლხეთის" ახალგაზრდა მეკარე **ლაშა ძაგანიამ**, რამდენიმეჯერ იხსნა თავისიანები.

გეგუჩაძემ როტაციას მიმართა და ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება განახორციელა. ხელაღებით ვერ ვიტყვით, რომ ასეთი დასანანი ქულების დაკარგვა მაინცდამაინც ამის ბრალი იყო, რადგან გამარჯვების გოლის გატანა არაერთ ფეხბურთელს შეეძლო. **ჯაბა დვალის** დარტყმა მეკარემ მოიგერია, **თორნიკე გორგიაშვილსა** და **თორნიკე აფციაურს** სიზუსტემ ოდნავ უმტყუნა, მატჩის ბოლოს კი შეცვლაზე შესულმა **ნიკოლოზ გელაშვილმა** ვერ გამოიყენა რეალური საგოლე შესაძლებლობა.

"ზესტაფონმა", რომელმაც სეზონის მეორე ნახევარი რიხით დაიწყო და ჩემპიონობის ყველაზე რეალურ პრეტენდენტად იქცა, მოულოდნელად წაიფორხილა და საჩემპიონო ბრძოლა კიდევ უფრო დაიძაბა. ვნახოთ, შეძლებენ თუ არა უმაღლესი ლიგის ერთპიროვნული ლიდერები ამ უსიამოვნო დღის დროულად დავიწყებას და დანაკარგის ანაზღაურებას.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ბოლო-ბოლო, მაინც ბოლო

## ბექვაიამ ბექედი 25 მეტრიდან დაარტყა

12.03. გორი. ქართლი.
200 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სპარტაკი | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 1 |

0:1. ბექვაია (90)

| სპარტაკი 4-2-3-1 | ვიტ ჯორჯია 4-2-3-1 |
|---|---|
| გრიშიკაშვილი | ა. მიქაბერიძე |
| ჭაფოძე | ხურცილავა |
| ბოიომო | აღამაძე |
| ალავიძე | კასრაძე |
| ოთარაშვილი | ლანიაშვილი |
| მამუჩიშვილი | გურამ გურეშიძე |
| კილასონია | ვასაძე |
| თუხარელი | ბექვაია |
| კლოვისი | ჯანელიძე |
| დეკანოიძე | კორიფაძე |
| მ. ბარაბაძე | როსტიაშვილი |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| ბ. კვარაცხელია | მ. კოჭლაშვილი |

**სპარტაკი**

46. კლოვისი - **ვ. ბოლქვაძე**
46. დეკანოიძე - **უგრეხელიძე**
75. ბარაბაძე - **ბუზალაძე**

*სათადარიგოები: დაუშვილი, ნარიმანიძე, ჯიშკარიანი, კაკაშვილი*

**ვიტ ჯორჯია**

84. როსტიაშვილი - **ზაქრაძე**
90. ჯანელიძე - **გოგიაშვილი**

*სათადარიგოები: ძაძამია, გიორგი გურეშიძე, გაბრიჭიძე, ლობჟანიძე, ჭანკვეტაძე*

გაფრთხილება: ლანიაშვილი (10), ბექვაია (29), კლოვისი (43), ჭაფოძე (55)
არბიტრი: ლ. სილაგავა (თბილისი)



ბურთით სპარტაკელი ბესიკ დეკანოიძე

ს.კ. სპარტაკის პრესსამსახურის ფოტო

დიდთოვლობისა და სხვა მიზეზთა გამო წლეულს ცხინვალის „სპარტაკმა“ პირველად ითამაშა საშინაო არენაზე. მიმდინარე სეზონში ჩემპიონატსა და თასზე ეს გუნდები უკვე მეხუთედ შეხვდნენ ერთმანეთს და უინტერესო არც ერთი მატჩი არ გამომდგარა. ერთი (თასის მეოთხედფინალში) კი სულაც მცირე სკანდალით დასრულდა. აღსანიშნავია, რომ ზამთრის პაუზის მერე ორივე გუნდი ერთობ შედეგიანად ირჯება, სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე არც მოტივაციის სიმცირეს უნდა უჩიოდნენ (განსაკუთრებით - „სპარტაკი“) და რა გასაკვირია, რომ საკმაოდ ქარიან ამინდში შეკრებილი მაყურებელი თვალსასეირო დაპირისპირების მოლოდინში იყო, თუმცა, სამწუხაროდ, იმედი გაუცრუვდა.

მეორე ტაიმს კიდევ არა უშავდა, შეხვედრის პირველი ნახევარი კი მეტისმეტად უინტერესო გამოდგა. თითქმის იდენტური ტაქტიკური სქემით მოთამაშე გუნდებმა თავიდანვე მეტწილად მოედნის შუაგულში გააჩაღეს ბურთაობა. „სპარტაკიც“ და „ვიტ ჯორჯიაც“ ძალიან უხეიროდ უტევდნენ. ორივე გუნდის გამოკვეთილი თავდამსხმელები **ბარაბაძე** და **როსტიმაშვილი** მცველთა მარწუხებში ჩაკარგულიყვნენ და ძირითადად უბურთოდ მოძრაობა უწევდათ. ამასთან, ისინი (განსაკუთრებით ბარაბაძე) ხშირად ხვდებოდნენ ხელოვნურ თამაშგარე მდგომარეობაში. ნაკლებად ნაყოფიერი და შეცდომებით გაჯერებული იყო ორივე გუნდის ფლანგელთა გარჯაც. ამიტომაც **გრიშიკაშვილს** და **მიქაბერიძეს** საქმე ცოტა ჰქონდათ და, საერთოდ, შესვენებამდე არათუ საგოლე, მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტიც ვერ მოვინიშნეთ.

შესვენებაზე **ბადრი კვარაცხელიამ** ორმაგი ცვლილებით სცადა ვითარების შეცვლა, მაგრამ **ვლადიმერ უგრეხელიძემაც** და **ვალერი ბოლქვაძემაც** ბევრი ვერაფრით დაგვამახსოვრეს თავი. მეტადრე ამ უკანასკნელის შთამბეჭდავ გარჯას ველოდით, თუმცა ცხინვალელთა გამთამაშებელი ისე ვერ მოქმედებდა, მისი გუნდის ქომაგი რომ ელოდა. 58-ე წუთზე, როგორც იქნა, შეხვედრის პირველი საგოლე მომენტი ვიხილეთ, შეტევის მარცხენა ფლანგიდან სახიფათო ჩაწოდებულზე კარის წინ მყოფ **გიგა ბექვაიას** ცოტა დააკლდა, რომ ბურთისთვის ფეხი მიერტყა და გაეტანა, ვერ მისწვდა მას მასპინძელთა მეკარეც და ბურთმა სანტიმეტრებში ჩაუარა ძელს. **მერაბ კოჭლაშვილის** შეგირდები ნელ-ნელა დაეუფლნენ სათამაშო უპირატესობას და „სპარტაკის“ კართან ხიფათმაც იმატა. მართალია, მასპინძლებიც უფრო ფხიანად ათამაშდნენ, თუმცა, საჯარიმოს ხაზთან დანიშნული სახიფათო ჯარიმის გარდა, დასამახსოვრებელი ვერაფერი შექმნეს, თანაც ეს სტანდარტულიც მეტად უხეიროდ შესრულდა (ბოლქვაძე). 82-ე წუთზე როსტიაშვილის პასით **კორიფაძეს** მიეცა საგოლე შანსი და გრიშიკაშვილს ფეხიდან რომ არ აერთმია მისთვის ბურთი, ანგარიშიც გაიხსნებოდა, თუმცა აღმოჩნდა, რომ „სპარტაკი“ მხოლოდ დროებით გადარჩა. თამაშის დასასრულისკენ ბექვაიამ დაახლოებით 25 მეტრიდან ძლიერად დაარტყა, გრიშიკაშვილი კი არ განძრეულა და ბურთიც ბადეში გაეხვია 0:1.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქუთაისური დუბლის ავტორი გიორგი მეგრელაძე (№10) ავტორის ფოტო

# გოლი, ანუ მეგრელაძე!

12.03. ქუთაისი. ტორპედო. 3000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ტორპედო | 2 |
| სიონი | 0 |

1:0 მეგრელაძე (21), 2:0 მეგრელაძე (57)

| ტორპედო | სიონი |
|---|---|
| 4-4-2 | 4-5-1 |
| მიგინეიშვილი | მერლანი |
| დ. ფოფხაძე | სვანიძე |
| მაჭავარიანი | დიდავა |
| ს. თოდუა | ლომაია |
| ჩიკვილაძე | კობაური |
| სეთურიძე | ნ. კვასხვაძე |
| დილმელაშვილი | ნოზაძე |
| ქებაძე | გოგობერიშვილი |
| დათუნაიშვილი | ჩირიკაშვილი |
| მეგრელაძე | ოქროპირიძე |
| საბანაძე | ჯიქია |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი |
| გ. გიგაურაძე | გ. ყიფშიძე |

**ტორპედო**

71. მეგრელაძე - **დოლიძე**
82. ქებაძე - **დ. კირკიტაძე**
87. სეთურიძე - **გუგუჩია**

სათადარიგოები: ქვილითაია, გოცირიძე, კვარაცხელია, თარხნიშვილი

**სიონი**

44. მერლანი - **ბობღიაშვილი**
46. კვასხვაძე - **ისიანი**
66. ჩირიკაშვილი - **რეხვიაშვილი**

სათადარიგოები: ოქროპირიძე, ქორიძე, მელქაძე, ლ. ჩხეტიანი

გაფრთხილება: **ლომაია (48), დიდავა (60), დილმელაშვილი (81), ჩიკვილაძე (90)**
გაძევება: **დიდავა (თამაშის შემდეგ)**
არბიტრი: **ჯ. ხორავა**

„ტორპედომ" ნავსი გატეხა და მიმდინარე ჩემპიონატში საკუთარ არენაზე პირველად შეძლო ორი გოლის გატანა. აქამდე ქუთათურებს მხოლოდ ერთხელ ჰქონდათ მეტოქის კარი ორჯერ აღებული და ისიც სტუმრად, ცხინვალის „სპარტაკთან" მოგებულ მატჩში (2:1). ქუთაისური გუნდი მიმდინარე სეზონში „სიონს" მეხუთედ შეხვდა. წინა ოთხი მატჩი გოლმწირი გამოდგა - სამი ნულოვანი ფრე და „ტორპედოს" მინიმალური სხვაობით (1:0) გამარჯვება თასზე. ეს პაექრობა კი საკმაოდ სანახაობრივი იყო (უფრო მეორე ტაიმი), რაც, უპირველესად, ქუთაისელთა დამსახურებაა, რომლებმაც ამ ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ითამაშეს.

შეხვედრის ოქმში რომც არ ეწეროს, ალბათ, ისედაც მიხვდებოდით, რომ „სიონთან" გატანილი გოლების ავტორი **გია მეგრელაძეა...** ბოლო დროს რიონისპირელთაგან გოლები მხოლოდ ამ გამოცდილ ფორვარდს გააქვს და, თუ ასე განაგრძო შესაძლოა, ბომბარდირობაზეც განაცხადოს პრეტენზია. მეგრელაძე „ტორპედოში" ყოველთვის გამორჩეული იყო, ამიტომაც გულშემატკივრებს ყველაზე მეტად მისი დაბრუნება გაუხარდათ. ვეტერანი ფორვარდიც ამართლებს იმედს და გუნდის ნამდვილ ლიდერად გვევლინება...

სანამ მატჩის პერიპეტიებზე გადავიდოდეთ, ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზეც უნდა ვთქვათ. ამასწინანდელმა ქარიშხალმა ქუთაისური არენის გადახურულ ტრიბუნას სახურავი თითქმის მთლიანად გადახადა. სტიქიადატეხილი სტადიონი საშინელი სანახავი იყო. კლუბის მესვეურთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ უმოკლეს ვადაში გაისარჯნენ და „სიონთან" მატჩზე მისულ გულშემატკივრებს სტადიონი გადახურულ-გალამაზებული დახვდათ. არც მინდორი იყო ადრინდელივით სავალალო მდგომარეობაში და, წვიმიანი ამინდის მიუხედავად, ფეხბურთელებს პრობლემები არ ექმნებოდათ.

შეხვედრა სტუმრების აქტიურობით დაიწყო. ბოლნისელები ბურთსაც აკონტროლებდნენ და ორჯერ მწვავედაც შეუტიეს, მაგრამ რეალურ საგოლე მომენტამდე საქმე არ მისულა. აი, ქუთაისელთა პირველივე კარში დარტყმულს კი გოლი მოჰყვა. 21-წუთზე ბოლნისელთა კარისკენ საჯარიმო დაინიშნა. ბურთთან მეგრელაძე მივიდა და კიდევ ერთი ლამაზი გოლი შემატა თავის მონაგარს. ბოლნისელებმა **სვანიძის** საჯარიმო დარტყმით უპასუხეს, თუმცა **მიგინეიშვილს** არ გასჭირვებია ბურთის მოგერიება. ცოტა ხანში მეგრელაძეს ანგარიშის გაზრდაც მართებდა - **ფოფხაძის** ფლანგური გარღვევისა და გამჭოლი პასის შემდეგ იგი სამიოდე მეტრიდან ურტყამდა და ბურთი ხარიხას გადასცდა. შესვენების შემდეგ უპირატესობას მთლიანად „ტორპედო" დაეუფლა. ტრავმირებული **მირზა მერლანის** ნაცვლად გამოსული **მინდია ბობღიაშვილის** კართან „ძალიან ჩამოცხა". ჯერ **საბანაძის** სახიფათო დარტყმა ასცდა მიზანს, შემდეგ კი **დათუნაიშვილს** შეეძლო მეტოქეთა დამწუხრება, მაგრამ კარში დარტყმა დაუგვიანდა და ბურთს **დიდავა** გადაელობა.

52-ე წუთზე **დილმელაშვილის** კუთხურის შემდეგ **ქებაძის** თავური ხარიხამ მოიგერია. მალევე ქუთათურებმა სწრაფი და ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს - საბანაძის პასის შემდეგ მეგრელაძემ ბურთი გაატარა და ქებაძე თავისუფალ პოზიციაში დატოვა, მაგრამ მას დარტყმა არ გამოუვიდა. ქუთაისელთა მონდომებას და კარგ თამაშს შედეგიც მოჰყვა - 57-ე წუთზე დათუნაიშვილის დარტყმა მცველებმა მოიგერიეს, მაგრამ ბურთი კარგ პოზიციაში მყოფ მეგრელაძეს მიუვიდა და მანაც მეკარისგან ახლო, დაბალ კუთხეში დაარტყა - 2:0. ქუთათურებს ანგარიშის გაზრდაც შეეძლოთ, მაგრამ მწვავე შეტევებს ხეირიანად ვერ აგვირგვინებდნენ. ბოლნისელებმაც შექმნეს ორიოდე დასამახსოვრებელი ეპიზოდი. 74-ე წუთზე **გოგობერიშვილის** ჩაწოდების შემდეგ **ჯიქიას** თავური ასცდა მიზანს. 75-ე წუთზე კი **კობაურმა** შორიდან დაარტყა ძლიერად და მეკარემ ნახტომში მოიგერია ბურთი. სხვა საინტერესო არაფერი მომხდარა, „ტორპედომ" მშვიდად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე და ამ მოგების შემდეგ სატურნირო ცხრილში მე-5 ადგილზე აინაცვლა. თამაშის შემდეგ ფეხბურთელებსა და მსაჯებს შორის მცირეოდენი კამათი მოხდა, რაც დიდავასთვის წითელი ბარათის ჩვენებით დასრულდა.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ. | ბურთები გაშ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 24 | 16 | 3 | 5 | 50 | 14 | 51 |
| 2 | ოლიმპი | 24 | 15 | 5 | 4 | 36 | 19 | 50 |
| 3 | დინამო | 23 | 12 | 7 | 4 | 33 | 12 | 43 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 24 | 11 | 2 | 11 | 26 | 28 | 35 |
| 5 | ტორპედო | 24 | 8 | 8 | 8 | 14 | 13 | 32 |
| 6 | ბაია | 23 | 8 | 5 | 10 | 22 | 31 | 29 |
| 7 | სიონი | 24 | 6 | 7 | 11 | 16 | 31 | 25 |
| 8 | სპარტაკი | 24 | 6 | 5 | 13 | 24 | 28 | 23 |
| 9 | კოლხეთი | 24 | 6 | 5 | 13 | 16 | 36 | 23 |
| 10 | სამტრედია | 24 | 5 | 5 | 14 | 20 | 45 | 20 |

| ბომბარდირები | გოლი (პენალტით) |
|---|---|
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 12 |
| წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) | 11 (1) |
| მოდებაძე (ოლიმპი) | 10 (1) |
| დვალი (ზესტაფონი) | 10 |
| მეგრელაძე (ტორპედო) | 10 |

**XXV ტური**
**16 მარტი, ოთხშაბათი**

სამტრედია-ზესტაფონი
სიონი-დინამო
ვიტ ჯორჯია-ტორპედო
კოლხეთი-ოლიმპი
ბაია-სპარტაკი

ქართველი უეფას ობიექტივში

# პატარა, რომელიც დიდების გზაზეა

**უეფას ოფიციალურმა ვებგვერდმა ჯანო ანანიძის შესახებ გამოაქვეყნა სტატია, რომელიც, ცხადია, ჩვენს მკითხველსაც დააინტერესებს. მართალია, ფაქტების უმეტესობა ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, მაგრამ მაინც საყურადღებოა, თუ როგორ აცნობს უეფა მსოფლიოს ქართველ ტალანტს.**



ჯანო ანანიძე ბაზელთან მატჩისას

სიმაღლით მხოლოდ 170 სანტიმეტრია, წონითაც სულ რაღაც 60 კილოგრამი, მაგრამ რუსულ პრემიერლიგას ჯანო ანანიძემ თავისი კვალი უკვე დაატყო. შარშან ტანმორჩილი თინეიჯერი რუსეთის ლიგის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მეგოლე გახდა, მალე კი ჩემპიონთა ლიგასა და ევროპის ლიგაზე თამაშით საერთაშორისო გამოცდილებაც შეიძინა.

საქართველოს პატარა ზღვისპირა ქალაქ ქობულეთში დაბადებული ჯანო მამის, ამირანის კვალს გაჰყვა. ამირანი ჯერ ფეხბურთელი იყო, მერე კი მწვრთნელობას მიჰყო ხელი. ჯანომ პირველი საფეხბურთო ნაბიჯები მშობლიურ ქალაქში გადადგა, 12 წლისა კი თბილისის "დინამოს" საფეხბურთო აკადემიაში გადავიდა. 18 თვე ანანიძემ კიევის "დინამოში" გაატარა, 2007 წლიდან კი მოსკოვის "სპარტაკის" წევრია.

"სპარტაკის" სკაუტებმა იგი რუსეთისა და საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებების მატჩში შენიშნეს, რომელიც მოსკოვში გაიმართა. ანანიძემ "სპარტაკის" დუბლებიდან ძირითად გუნდში 16 წლისამ გადაინაცვლა. სადებიუტო მატჩი მან რუსეთის თასის მეთექვსმეტედფინალში "კრასნოდართან" ჩაატარა, მოედანზე 90 წუთი დაყო და ბრწყინვალე გოლიც გაიტანა.

სამი თვის შემდეგ ანანიძემ მოსკოვის "ლოკომოტივს" გაუტანა და ზემოთ ნახსენები რეკორდიც დაამყარა. ამ მატჩისას იგი 17 წლისა და 8 დღისა იყო. ქართველი ვუნდერკინდის სახელი უმალ დაუკავშირეს "არსენალს", "მილანსა" და "იუვენტუსს", მაგრამ "სპარტაკმა" საკუთარი პოზიცია მკაფიოდ დააფიქსირა – ანანიძე არ იყიდება!

ჯანო საქართველოს 2009 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. იმავე წელს მას დებიუტი ჰქონდა თავისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. ის შეხვედრა ქართველებმა თბილისში იტალიასთან 0:2 წააგეს.

2010 წელი მისთვის ისეთივე ეფექტური ვერ გამოდგა, მაგრამ დასამახსოვრებელი ეპიზოდები მაინც იყო – ივლისში ნოვოსიბირსკის "სიბირთან" "სპარტაკმა" 5:3 გაიმარჯვა და ანანიძემ დუბლი შეასრულა, ხოლო ნოემბერში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა სლოვენიაში ამხანაგური მატჩი მოიგო და ერთი გოლი ჯანოს ანგარიშზეა.

**გამორჩეული მატჩი**

**ბაზელი-სპარტაკი 2:3**

2011 წლის 17 თებერვალი, ევროპის ლიგის მეთექვსმეტედფინალი

ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნილი "სპარტაკი" ევროპის ლიგაზე გადაერთო, სადაც "ბაზელთან" 0:2-ს აგებდა და ამ ტურნირიდან გავარდნის რეალური საფრთხეც ემუქრებოდა. ანანიძის მოედანზე გასვლის შემდეგ მოსკოველებმა თამაში გამოასწორეს და ანგარიშიც გაათანაბრეს. მსაჯის მიერ დამატებულ დროში ქართველმა ეფექტური ჯარიმა გაიტანა და თავისიანებს 3:2 მოაგებინა.

**ანანიძე სპარტაკზე**

*"აქ თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობ. "სპარტაკის" სტილი გაცილებით მომწონს, ვიდრე კიევის "დინამოსი".*

**საყვარელი ამპლუა**

*"თამაში მოედნის ცენტრში, თავდამსხმელების უკან მირჩევნია, მაგრამ თუ გუნდს დასჭირდა, ორივე ფლანგზე თამაშიც შემიძლია".*

**მიზნები**

*"ჩემი უმთავრესი ოცნება ჩემპიონთა ლიგის მოგებაა, დღესდღეობით კი უფრო რეალური მიზანი "სპარტაკთან" ერთად რუსეთის ჩემპიონობაა".*

***"სპარტაკის" მთავარი მწვრთნელი ვალერი კარპინი ანანიძეზე:***

*"მისი განვითარება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ჯანო მოედანზე ძალიან სწრაფად აზროვნებს და ჩანაფიქრსაც იოლად ახორციელებს. მეტოქეები მას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ, მაგრამ ანანიძეს მეტწილად ვერაფერს უხერხებენ".*

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

# დვალიშვილი: ვემზადები დერბისთვის, ვფიქრობ ნაკრებზე

**ლადო დვალიშვილი**, რომელმაც ტრავმის გამო სომხეთის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ ვერ ითამაშა, უკვე მომჯობინდა და, სავარაუდოდ, დღეს ისრაელის პრემიერლიგის 27-ე ტურის შეხვედრაში გამოჩნდება.

*"ორშაბათს ჰაიფას "ჰაპოელს" ვხვდებით, რომელიც ჩემპიონატში მერვე ადგილზეა. ძლიერი გუნდი არ არის, მაგრამ ეს ქალაქური დერბია. ბოლო ორი წლის განმავლობაში "ჰაპოელთან" სამჯერ ვითამაშე. ამ სამ შეხვედრაში ორი 0:0 დასრულდა, ერთიც 1:0 მოვიგეთ და ამიტომ დაძაბულ თამაშს ველით. ჩვენი შეხვედრები ყოველთვის დაძაბულია და ახლაც ყველა დიდ მოლოდინში ვართ. ჩვენ ჩემპიონობისთვის ვიბრძვით, თელ ავივის "ჰაპოელს" სულ ერთი ქულით ჩამოვრჩებით და მოგება ჰაერივით გვჭირდება.*

*ნაკრებში თუ გამომიძახებენ, ჩამოსვლას უკვე შევძლებ, რადგან ტრავმა მოვირჩინე და სათამაშოდ მზად ვარ. ჯერ არ ვიცი, ჰაიფას "ჰაპოელთან" ძირითადში ვიქნები თუ სათადარიგოებში, მაგრამ მოედანზე გასვლა შემიძლია და თამაშისთვის ვემზადები, თავს უკვე ნორმალურად ვგრძნობ. თებერვლის შემდეგ ეს პირველი მატჩი იქნება და მეც განსაკუთრებულად ველოდები: ნაკრების მატჩამდე ფორმაში უნდა შევიდე.*

*"ჰაპოელთან" სამ შეხვედრაში ჯერ არ გამიტანია. არადა, დერბიში გოლი დიდი სტიმულია და იმედია, ახლა მაინც გავუტან," – ამბობს დვალიშვილი.*

**მერაბ მამულაშვილი**

BG Bet Guru
http://bet.goli.ge
სრულიად უფასოდ !!!

ხარ აზარტული და გიყვარს ფეხბურთი ?
გამოიცანი თამაშების შედეგები და მოიგე !

- თითოეულ ჩემპიონატზე თვეში 100 ლარი
- Top 5 - ყოველკვირეული გათამაშება - საპრიზო ფონდი 250 ლარი!
- სეზონის ბოლოს 3000 ლარი, ან 'ელ კლასიკოზე' დასასწრები 2 ბილეთი!

ეროვნული ბიბლიოთეკა






**სანდრო გურული** გასულ წელს ეროვნული ნაკრების აღმოჩენა გახდა. ეროვნული ნაკრების ყოფილი თავდამსხმელის, გია გურულის ვაჟმა სლოვენიასთან ამხანაგური და მისთვის სადებიუტო შეხვედრა გოლით აღნიშნა და საქართველოში აღმოვაჩინეთ, რომ საკმაოდ კარგ ფეხბურთელს ვერ ვიყენებდით. ყველას გაუჩნდა კითხვა – სად იყურებოდნენ თემურ ქეცბაიამდე ნაკრების მწვრთნელები? ლვოვის "კარპატის" შემტევ ნახევარმცველს გუშინ ვესაუბრეთ.

# სანდრო გურულის ქართული

**- სომხეთთან ტრავმის გამო ვერ ითამაშე. ახლა შეკრებაზე ჩამოსასვლელად მზად ხარ?**

- მზად ვარ და ხორვატიასთან მატჩს მოუთმენლად ველი, განსაკუთრებული მონდომებით ვემზადები. თუ გამომიძახეს, მინდა, სრულფასოვნად მომზადებული რომ ვიყო. რომ 29 მარტს მოდუნება არავის ეპატიება, ჩვენ წაგების უფლება არ გვაქვს.

**- ხორვატიისა და ისრაელის ნაკრებებთან ძალიან რთული შეხვედრები გველის და ძნელია იმის მტკიცება, რომ არ წავაგებთ. შენ უფრო იმედიანად ხარ განწყობილი.**

- დიახ, იმედი მაქვს, რადგან დღეისთვის დაუმარცხებელი არავინაა და მჯერა, ჩვენი ბიჭები გამარჯვებისთვის ყველაფერს გააკეთებენ. ჩემი აზრით, საქართველოს ნაკრებს საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს, რაც 2010 წელს აჩვენა. თუ 2011 წელსაც ასევე გავაგრძელებთ, დარწმუნებული ვარ, გულშემატკივარს ნაკრების დიდი იმედი უნდა ჰქონდეს.

მაგალითად უკრაინის ნაკრებს დავასახელებ. უკრაინელ ფეხბურთელებსაც დიდი პოტენციალი აქვთ, მაგრამ მათზე არანაკლები ნაკრების ჩამოყალიბება შეგვიძლია. იმედია, ერთმანეთს ევროპის ჩემპიონატზე შევხვდებით.

**- "კარპატის" მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ კონონოვმა ჯერ კიდევ ორი წლის წინ თქვა "ლელოსთან", გურული საქართველოს ნაკრებს გამოადგებაო, მაგრამ ყურადღებას არავინ გაქცევდა. არ დაინტერესებულხარ, რა იყო ამის მიზეზი?**

- კარგი კითხვაა, მაგრამ არ ვიცი, რა ვთქვა. უმჯობესია, იმდროინდელ მწვრთნელებს ჰკითხოთ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ჩემით საერთოდ არ ინტერესდებოდნენ.

**- ნაკრებში გამოძახების იმედი გადაწურული გქონდა?**

- იმედი როგორ არ მქონდა, კლუბში ვვარჯიშობდი, ვთამაშობდი და ყველაფერს ვაკეთებდი იმისთვის, ნაკრების მწვრთნელთა ყურადღება რომ დამემსახურებინა, მაგრამ, ეტყობა, ქეცბაიას დანიშვნამდე ეს საკმარისი არ იყო.

**- ასეა თუ ისე, საქართველოს ნაკრებში შენი დებიუტი იღბლიანი გამოდგა.**

- მარტო კლუბში თამაში არაფერს ნიშნავს, ჩემი ყველაზე დიდი ნატვრა ეროვნულ ნაკრებში მოხვედრა იყო. გამოძახება ძალიან დიდ სტიმული გამოდგა, საქართველოსთვის ვთამაშობდი და როგორც შემეძლო, ნაკრებს ისე დავეხმარე - თამაშში გული და სული ჩავდე.

**- სანაკრებო თამაში მამამ ოჯახურ გარემოში გაგირჩია?**

- მამაჩემი არა მხოლოდ სანაკრებო, საკლუბო თამაშებსა და ვარჯიშებსაც კი მირჩევს, რაში შევცდი, რა გავაკეთე კარგად, ამ ყველაფერს მიხსნის. სულ მაკრიტიკებს, მაგრამ ეს ჩემთვის დიდი სტიმულია. მამაჩემის კრიტიკა ჩემთვის მისაღებია. სლოვენიასთან მატჩზე კი ბევრი არაფერი უთქვამს, გახარებული იყო, მაგრამ ამას სიტყვებით ნაკლებად გამოხატავდა.

**- ნაკრების წევრებთან ნაკლები ურთიერთობა გქონდა და შეუთამაშებელიც იყავი, გუნდთან ადაპტირება არ გაგიჭირდა?**

- რა თქმა უნდა, ნაკრებში პირველად ვთამაშობდი და ბიჭებთან მართლაც შეუთამაშებელი ვიყავი, მაგრამ მათ ძალიან თბილად მიმიღეს და სლოვენიასთან ესეც დამეხმარა. საფრანგეთსა და უკრაინაში მითამაშია და იმას ნაღდად მივხვდი, რომ ქართველს ქართველებთან ადაპტაცია არ გაუჭირდება. ერთმანეთს უცებ ვუგებთ და ახლაც ასე მოხდა. ფეხბურთიც ხომ ისეთივეა, როგორიც ცხოვრება. საერთოდ, ქართველი კაცი ბუნებით უბრალოა და მისი გაგება იოლია, მით უფრო, თუ შენც ქართველი ხარ. ასე მოხდა ჩემს შემთხვევაშიც.

**- რა გაიფიქრე, როდესაც სლოვენიას გაუტანე?**

- ის, რომ მშობლები და საქართველო გავახარე და ჩემს ქვეყანას თავს კარგად გავაცანი. სიხარულისგან ფორმაზე გამოსახულ ქართულ გერბს უამრავჯერ ვაკოცე, კინაღამ მაისურა გავხიე. ნაკრებში ასეთ დებიუტზე ყველა იოცნებებდა, მამაჩემის სიხარული კი ალბათ წარმოგიდგენიათ.

**- ლვოვის "კარპატიში" ორი წელია გამოდიხარ და ახალგაზრდული ნაკრებიდან ნაცნობი სანდრო გურული აშკარად შეიცვალე. მანამდე "ლიონის" დუბლებში კი თამაშობდი, მაგრამ შენი ფეხბურთი არც ფრანგულს ჰგავს და არც უკრაინულს.**

- უკრაინაშიც იმ ფეხბურთს ვთამაშობ, რაც ვიცოდი და რომელსაც დღემდე ვთამაშობდი. ჩემი ფეხბურთი არ შეცვლილა, ეტყობა, გავიზარდე, დავჭკვიანდი. ეს ფრანგული და უკრაინული ფეხბურთის ნაზავი არ არის, ფრანგული და ქართულია, უფრო სწორად, ქართული და ფრანგული.

**- შენ ხომ საქართველოში არასდროს გითამაშია, არც გივარჯიშია?**

- ასეა, მაგრამ ქართული ფეხბურთი სისხლში მაქვს. ამას ახლა უფრო ვგრძნობ, რადგან ისე დავიწყე თამაში, როგორიც არასდროს უსწავლებიათ.

**- რა შეიძინე საფრანგეთში და რა უკრაინაში?**

- ფრანგული ფეხბურთი ტექნიკისა და ფიზიკური მომზდების ნაზავია და "ლიონში" ამას მასწავლიდნენ, უკრაინაში გატარებულმა წლებმა კი ბრძოლას მიმაჩვია.

## საფრანგეთში გაზრდილ და უკრაინაში მოთამაშე ქართველს სისხლმა უყივლა

**-"კარპატი" გასულ სეზონში ევროთასებზე საკმაოდ კარგად გამოვიდა. რომელიმე შეხვედრა განსაკუთრებით თუ დაგამახსოვრდა?**

- არასდროს დამავიწყდება "პარი სენჟერმენთან" და "დორტმუნდთან" გამართული მატჩები. პარიზში 0:2 წავაგეთ, მაგრამ სტადიონზე უამრავი მეგობარი, მშობლები და ჩემი და დამხვდნენ, მამხნევებდნენ და ასეთი თანადგომა ძალიან გამიხარდა. "დორტმუნდთან" თამაში არ გამოგვივიდა და 0:3 წავაგეთ, მაგრამ დაუვიწყარი იყო სტადიონის ატმოსფერო.

**- წლეულს "კარპატი" რა მიზნისთვის იბრძვის?**

- მინიმუმ ევროპის ლიგაში გასასვლელად ვიბრძოლებთ. ოლეგ კონონოვი სერიოზული მწვრთნელია, გუნდის ბირთვი შეინარჩუნა და ევროპაში გასულ სეზონზე უკეთ გამოსვლას ვფიქრობთ.

**- შევიტყვეთ, რომ "კარპატისთან" ახალი კონტრაქტი გააფორმე. საფრანგეთისა და თურქეთის კლუბებზე უარი რატომ თქვი?**

- ფრანგულ და თურქეთის კლუბებზე მართლაც იყო ლაპარაკი, მაგრამ ასპროცენტიანი არც ერთი არ ყოფილა. "კარპატიმ" კი კონტრაქტი შემომთავაზა და რეალური ვარიანტი ვამჯობინე. თუმცა, თუ კარგად არ ვითამაშე, ძირითადში მოხვედრის გარანტიას ლვოვშიც არავინ მომცემს.

**- უკრაინის ჩემპიონატში ქართველებიდან ვის გამოარჩევ?**

- ბევრი ნიჭიერი ბიჭი თამაშობს, მაგრამ თორნიკე ოქრიაშვილზე გეტყვით, რადგან სლოვენიის ნაკრებთან შეხვედრაში ახალწვეული იყო და ამიტომ გამოვარჩევ. თორნიკე ძალიან მომეწონა. გამიხარდა, უკრაინის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში რომ ვიხილე. თუ იშრომა, დიდი ფეხბურთი უნდა ითამაშოს.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონი

# ლეგიონი გაგვიბევრდა

## უკრაინამ ოქრიაშვილი აღმოაჩინა, კალაძე კი ჯენოას წარმატების საფუძველიაო

მარტში ქართულ ლეგიონში ერთი სასიამოვნო სიახლეა, კვირა არ ჩაივლის, რომ რომელიმე ახალგაზრდა ფეხბურთელმა არ გამოიჩინოს თავი. თუკი წინა კვირაში ასეთი პოლონური „ვიძევის" ახალწვეული **ნიკა ძალამიძე** იყო, ახლა ჯერი უკრაინული „ილიჩივეცის" ნახევარმცველ **თორნიკე ოქრიაშვილზეა.** მართალია, ამჯერად ეფექტი ნაკლები იყო, თუმცა ოქრიაშვილის ტექნიკურმა თამაშმა და ბრწყინვალე საგოლე პასმა მარიუპოლი აალაპარაკა.

მანჩესტერში „სიტის" ჩემპიონშიპის „რედინგი" ეწვია ასოციაციის თასზე. სტუმართა რიგებში სასტარტოში იყო **ზურაბ ხიზანიშვილი.** 74-ე წუთზე **მიკა რიჩარდსმა** საჰაერო დუელი ჩვენებურს მოუგო და ერთადერთი გოლით „სიტი" ნახევარფინალში გაიყვანა.

ქართული ლეგიონი ლამის ერთიორად „გაგვიბევრდა", მიზეზი რუსეთში საფეხბურთო სეზონის დაწყებაა. მაშ ასე, რუსეთის პრემიერლიგის 2011-13 წლების სეზონი დაიწყო. შეცდომა არ გეგონოთ, ეს ტურნირი 18-თვიანი და გარდამავალია - რუსებიც შემოდგომა-გაზაფხულის სისტემაზე გადადიან.

ჩვენებურთაგან პირველები ჩემპიონატში „ანჟის" გოლკიპერი **ნუკრი რევიშვილი** და „კრასნოდარის" კაპიტანი **ალექსანდრე ამისულაშვილი** ჩაებნენ (არსად ჩანდა „ანჟის" ახალწვეული **ირაკლი კლიმიაშვილი**). ის კი არა, პირველად რუსული დროშა სწორედ ამისულაშვილმა და **რობერტო კარლოსმა** აღმართეს, როგორც კაპიტნებმა. ორივე ჩვენებური საქართველოს მოქალაქეცაა და რუსეთისაც და ლეგიონერებად არ ითვლებიან. მართალია, მატჩმა ვერ გაამართლა, მაგრამ კარგია, რომ რევიშვილმა კარი „მშრალად" შეინახა და არც ამისულაშვილის „ხელმძღვანელობით" გაუშვია გოლი „კრასნოდარის" დაცვას - 0:0. „ჩემპიონატმა" ორივეს 5,5 ბალი დაუწერა. ჩემპიონატში პირველი გამარჯვება ნალჩიკის „სპარტაკმა" იზეიმა, რომელმაც 1:0 დაამარცხა „კრილია სოვეტოვი". სამწუხაროდ, **დავით სირაძე** მასპინძელთა სათადარიგოების სკამს ვერ გასცდა.

გროზნოს „ტერეკისა" და „ზენიტის" მატჩში 75-ე წუთამდე ითამაშა **ლევან გვაზავამ**. სხვათა შორის, სტუმართა რიგებში დებიუტი **იგორ ჩემინავას** ჰქონდა. პრემიერლიგის I ტურში ჩვენთვის ყველაზე საინტერესო დღეს მოხდება, როცა ყველაზე ქართული გუნდი „ვოლგა" „ტომს" უმასპინძლებს, ხოლო **ჯანო ანანიძის** „სპარტაკი" „როსტოვს" ესტუმრება.

რუსული სეზონი კი „ანჟისა" და „კრასნოდარის" დუბლების მატჩით გაიხსნა, რომელსაც მახაჭყალაში 600 მაყურებელი დაესწრო და **გიორგი ილურიძის** დუბლის წყალობით მასპინძლებმა 2:1 მოიგეს. 19 წლის ქართველმა მე-12 და მე-18 წუთებზე ორი კარგი გოლი გაიტანა. „ლოკომოტივის" დუბლებში „დინამოსთან" მატჩში (1:1) დებიუტი ჰქონდა **ახრიკ ცვეიბას** 17 წლის ვაჟ **სანდრო ცვეიბას**. „რუბინის" დუბლებში 42-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში 17 წლის თავდამსხმელი **მერაბ ურიდია.** ცსკა-ს დუბლებში ითამაშეს **დავით ხურციძემ** და **ნიკა ფილიევმა**. არმიელთაგან ერთი გოლი **გელა ზასეევის** ანგარიშზეა, რომელიც, ალბათ, ასევე საქართველოდანაა წარმოშობით. „ვოლგას" დუბლებში ითამაშა **დავით კოხიამ.** „როსტოვი"-"სპარტაკის" თამაშში გამოჩნდნენ მასპინძელი **აწური ხაგბა** და სტუმრები, **ირაკლი ჭეჟია** და **თემურ ბუკია.** დუბლების ჩემპიონატში ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ჩვენებური რუსეთის მოქალაქეა ილურიძის გარდა.

მეორე ბუნდესლიგაში **ალექსანდრე იაშვილის** გოლზე „დუისბურგის" კარში უკვე ვწერდით, ვიტყვით, რომ ამ თამაშში „კარლსრუეს" კაპიტანს „შპორტალმა" საშუალო შეფასება, სამიანი დაუწერა. „კარლსრუემ" 27 ქულით მე-14 ადგილამდე აინაცვლა. **ლევან კობიაშვილის** „ჰერტა" დღეს „ფიურტს" ესტუმრება. შეგახსენებთ, რომ ბერლინური გუნდი 52 ქულით ერთპიროვნული ლიდერია.

საფრანგეთში **გიორგი მაკარიძის** „ლე მანი" დღეს „ნიმს" მასპინძლობს.

სერია A-ში წინა ტურში „ინტერთან" შერცხვენილმა „ჯენოამ" გუშინ რეაბილიტაცია მოახერხა საკუთარი გულშემატკივრის წინაშე - „პალერმოს" 1:0 მოუგო. ჩვენი ნაკრების კაპიტანმა **კახა კალაძემ** 90 წუთი ითამაშა. გუნდისა არ იყოს, მილანში კალაძესაც მძიმე მატჩი თავად ჰქონდა, თუმცა ახლა საუკეთესო იყო გუნდში. „ტუტო მერკატომ" მას 7 ბალი დაუწერა და „ჯენოას" წარმატების „მთავარი ხერხემალი" უწოდა. „საიმედო იყო დაცვაში და შეტევებში ჩართვასაც ახერხებდა". „ჯენოა" 38 ქულით მე-12 ადგილზეა. სერია ბ-ში კი ისევ არ ჩანს **ლევან მჭედლიძე.**

**გურამ კაშიამ** შეუცვლელად ითამაშა „ვიტესისა" და „ჰერენვენის" მატჩში - 1:1. „ვიტესი" 29 ქულით მე-15 ადგილზეა.

» მე-6 გვერდზე




რობერტო კარლოსი (№3) და ალექსანდრე ამისულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზურაბ ხიზანიშვილი

# ლეგიონი გაგვიბევრდა

« მე-4 გვერდიდან

ბერძნულ სუპერლიგაში **გიორგი შაშიაშვილი** სათადარიგო იყო „ერგოტელისისა" და „ატრომიტოსის" მატჩში, რომელიც 1:1 დასრულდა. „პანიონიოსისა" და „ლარისას" თრილერში (3:3) **დავით კვირკველიამ** მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე ითამაშა.

გახსოვთ, ალბათ, წინა ტურში რა წარმატებული დებიუტი ჰქონდა **ნიკა ძალამიძეს** ლოძის პუბლიკის წინაშე, როცა მან პირველივე მატჩში პოლონურ ექსტრაკლასაში მართლაც ექსტრაკლასის ფეხბურთი აჩვენა და გოლს ორი საგოლე პასიც დაურთო. ამჯერად „ვიძევი" „ვისლას" ესტუმრა და ვერას გახდა - 0:2. ქართველი ერთ-ერთი საუკეთესო იყო გუნდში, თუმცა წინა ტურის გმირობა ვერ გაიმეორა.

უნგრეთის ჩემპიონატში „დიორი ეტო" ბუდაპეშტის მტკ-ს გაეჯიბრა და ისევე, როგორც თასზე რამდენიმე დღის წინ, აქაც დაუზავდა - 0:0. „ეტოს" ქართველთაგან მხოლოდ **რატი ალექსიძემ** ითამაშა (შეცვალეს), **ლაშა თოთაძე** კი სათადარიგო იყო.

უკრაინის პრემიერლიგის 21-ე ტურში **ალექსანდრე გურულის** „კარპატიმ" შეაჩერა „შახტარის" ტრიუმფალური სვლა, 1:0 მოუგო. სამწუხაროდ, გურულს თამაშის საშუალება არ მისცემია, სათადარიგო იყო.

მარიუპოლში „ილიჩივეცისა" და „ზარიას" შეხვედრა 2:2 დასრულდა, მასპინძელთა რიგებში სრულად **თორნიკე ოქრიაშვილმა** ითამაშა, სტუმრებში - **ჯაბა ლიპარტიამ**. ოქრიაშვილის თამაშმა დიდი მოწონება დაიმსახურა, ის ჯერ ფლანგზე ირჯებოდა, შემდეგ ცენტრში გადაიყვანეს და 75-ე წუთზე საგოლე პასიც მიითვალა. სხვათა შორის, 64-ე წუთზე თორნიკემ მეტოქის ხელით დაჭერისთვის ყვითელი ბარათი მიიღო, ეს მეტოქე კი მისი თანამემამულე იყო, რომელიც „ზარიას" ყველა სტანდარტულს ასრულებდა. აი, რას წერს უკრაინული „სპორტი": „75-ე წუთზე თამაშის სადავეები ხელში ქართველმა ლეგიონერმა თორნიკე ოქრიაშვილმა აიღო. მან მარცხენა ფლანგზე რამდენიმე მცველი შემოიკრიბა და პუკანიჩს დიდებული პასი გადააწოდა".

დონეცკში „მეტალურგისა" და „სევასტოპოლის" მატჩის (1:0) 33-ე წუთზე ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა სტუმართა მცველი **მათე ღვინიანიძე**. **ვასილ გიგიაძემ** სათადარიგოთა სკამიდან უყურა, როგორ მოუგო მისმა „ტავრიამ" **ჯაბა კანკავას** „კრივბასს" - 2:1. ჯაბამ მატჩის მინურულს ყვითელი ბარათი მიიღო. 84-ე წუთზე ის დაახლოებით 8 მეტრიდან ურტყამდა კარში, მაგრამ მასპინძელთა მეკარემ იყოჩაღა.

სხვა ლიგებიდან გოლებით თავი გამოიჩინეს: **გიორგი გულორდავამ** („მუღანი", აზერბაიჯანი), **გიორგი ადამიამ** („ყარაბახი", აზერბაიჯანი), **გოჩა ტვილდიანმა** („შაულიაი", ლიტვა), **ვაჟა თარხნიშვილმა** („შერიფი", მოლდოვა) და **ალექსანდრე შუბლაძემ** („ისკრა-სტალი", მოლდოვა).



**კვირის ლეგიონერი**
**ალექსანდრე იაშვილი**
33 წლის
**კარლსრუეში**: 102 თ, 15 გ და 18 პ
**ამ სეზონში**: 24 თ, 6 გ და 6 პ
**კიკერის საშ. შეფასება**: 3,67

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**დინამოელებო - გაერთიანდით!**

**დინამოს გვერდით ყოფნა უკვე საამაყოა!**

**აქ 90 წუთი თავდადებაა!**

**გაწევრიანება - უფასოა**

**ჩვენ ვართ გლადიატორები!**

**ჩვენ ვართ დინამო!**

დინამოს ფან-კლუბში გაწევრიანება შეუძლია ნებისმიერ მსურველს, ვისაც უყვარს ჩვენი გუნდი და შეუძლია 90 წუთის განმავლობაში დინამოს მე-12 ფეხბურთელად იქცეს. ფან-კლუბის წევრები უზრუნველყოფილნი იქნებიან მატჩზე დასასწრები ბილეთებით და ტრანსპორტირებით გასვლით მატჩებზე. გამორჩეულ ფანებს გადაეცემათ კლუბის მაისურები და სხვა ატრიბუტიკა.

დაგვიკავშირდით: 893 35-80-14 874 77-77-84

● საფრანგეთი. ლიგა 1 — XXVII ტური

# ლილმა ამოისუნთქა, პარიზის მატარებელმა გაასწრო

ერთი კვირის წინ "რენს" "ლილის" გადასწრებამდე სულ ცოტა დააკლდა, ახლა კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამ მიზნის მიღწევა ძალიან გაუჭირდება. "მარსელთან" ჩატარებული საშინაო მატჩი "რენის" წევრებს კიდევ დიდხანს ემახსოვრებათ მწარედ. იმის მიუხედავად, რომ წინ "მანჩესტერ იუნაიტედთან" საჩემპიონთალიგო დაპირისპირება ელის, "მარსელმა" ეს შეხვედრა უმაღლეს დონეზე ჩაატარა და ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებაზე ხმაურიანი განაცხადი გააკეთა.

*"ვიცი, რომ ბევრი არ ელოდა ჩვენს ასეთ დამაჯერებელ გამარჯვებას, მაგრამ ძალების რაციონალური გადანაწილება შევძელით. "მანჩესტერთან" მოახლოებული მატჩი ჩვენთვის, ბუნებრივია, ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ საფრანგეთის ჩემპიონატში ყურადღება ერთი წამითაც არ უნდა მოვადუნოთ. ჩვენ საჩემპიონო გუნდი გვყავს და ეს ყოველ მომდევნო შეხვედრაში უნდა დავამტკიცოთ"*, - თქვა ნამატჩევს გახარებულმა **დიდიე დეშამმა.** "რენის" თავკაცმა **ფრედერიკ ანტონეტიმ** კი აღიარა, რომ მისმა გუნდმა უძვირფასესი ქულები დაკარგა და მეტოქესაც მიულოცა, მაგრამ პირობა დადო, რომ ჩემპიონობისთვის ბოლო ტურამდე იბრძოლებს.

"ლილს" თითქოს კონკურენტის წაბორძიკებით იოლად უნდა ესარგებლა და არაფრით გამორჩეული "ვალანსიენი" აუღელვებლად დაემარცხებინა, მაგრამ **რუდი გარსიას** გუნდს ძალიან გაუჭირდა და მეტოქე ზედ საფინალო სასტვენის წინ გატეხა. **ედენ აზარის** საგოლე დარტყმამ "ლილი" უახლოეს მდევარს სამი ქულით მოსწყვიტა, რაც საფრანგეთის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილს თუ ჩავხედავთ, სოლიდური უპირატესობაა.

როგორც ხედავთ, სეზონის დასრულებამდე 11 ტურით ადრე ჩემპიონობის რეალური შანსი ერთბაშად ხუთ გუნდს აქვს, რაც ფრანგულ ლიგას განსაკუთრებით მიმზიდველს ხდის. "მარსელისა" არ იყოს, ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი მერვედფინალური ორთაბრძოლის წინ ძალები არც "ლიონს" დაუზოგავს და "სოშოსთან" გასვლითი მატჩი დამაჯერებლად მოიგო. **კლოდ პიუელმა** როტაციას მიმართა და ნაკლებად სავარაუდოა, სამეფო კლუბთან შეხვედრაში გასულ შაბათს გამოყენებული მოთამაშეებიდან ყველა გაამწესოს.

ზეხუთეულის ბინადართაგან ყველაზე მოკრძალებული საჩემპიონო პერსპექტივა ჯერჯერობით, პარიზელებს აქვთ. არადა, გუშინ საღამოს "პარი სენ ჟერმენს" გამარჯვება თითქოს გარანტირებული ჰქონდა, მაგრამ მეორე ტაიმში დედაქალაქელები აირივნენ და ორბურთიანი უპირატესობა გაანიავეს. არადა, 2:1-ზე "მონპელიე" რიცხობრივ უპირატესობაში დარჩა.

ისევ უნდა ვახსენოთ წყალწაღებული "არლი", რომლის მიერ მოპოვებული თითოეული ქულაც საყურადღებო ამბავია. შაბათს უიმედო აუტსაიდერებმა "ლორიანთან" ბევრი იბრძოლეს და ორბურთიანი ჩამორჩენა ალმოფხვრეს.

ბარემ ორი სიტყვა შემდეგ ტურზეც ვთქვათ – "ლილს" გამარჯვების არცთუ ურიგო შანსი აქვს, მისი მდევრები კი ერთმანეთთან გაარკვევენ ურთიერთობას. საინტერესო იქნება "ლიონი"-"რენი", ტური კი "მარსელი"-პსჟ-ის ფრანგული "კლასიკოთი" დაიხურება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**მომდევნო ტური**

19.მარტი: **ოსერი-სოშო, ბრესტი-ლილი, ლორიანი-სენტ ეტიენი, მონპელიე-ლანსი, ტულუზი-ნიცა, ვალანსიენი-ბორდო.**

20.მარტი: **ლიონი-რენი, კაენი-არლი, მონაკო-ნანსი, მარსელი-პსჟ.**

**რენი-მარსელი 0:2**

**რენი:** დუშე, დანსე, კატერინი, კანა ბიიკი, მანგანი, ტეტეი, მვილა, მონტანო (77. კამარა), ლეროი (62. ეკოკო), დალმა (57. ლემონი), ბუკარი.

**მარსელი:** მანდანდა, ფანი, ტაივო, ს. დიავარა, ჰაინცე, მბია, ბენ. შეირუ, ლ. გონსალესი (90. კაბორე), ა. აეუ, ჟინიაკი (71. ჯ. აეუ), რემი (84. ვალბუენა).

**გოლები:** 0:1 რემი (23), 0:2 ლ. გონსალესი (80)

**არლი-ლორიანი 3:3**

**გოლები:** 1:0 მერიემი (6), 1:1 ამალფიტანო (19), 1:2 ს. დიარა (45), 1:3 გამეირო (53), 2:3 კერმოგრანი (64), 3:3 კაბელა (60)

**ლანსი-ტულუზი 0:1**

**გოლი:** 0:1 სანტანდერი (75)

**ნანსი-კაენი 2:0**

**გოლები:** 1:0 ნგემო (38), 2:0 ბ. ტრაორე (85)

**გაძევება:** იატაბარე (72. კაენი)

**ნიცა-ოსერი 1:0**

**გოლი:** მულუნგი (62)

**სენტ ეტიენი-ბრესტი 2:0**

**გოლები:** 1:0 სახო (35. პენ.), 2:0 პაიე (88)

**სოშო-ლიონი 0:2**

**ლიონი:** ლორისი, რევეიერი, კოლოძიეჟაკი, დიაკატე, ლოვრენი, კალსტრიომი, პიანიჩი (81. გონალონი), ტულალანი (80. კლემანი), ბასტოსი, ლ. ლოპესი (62. პიდი), გომისი.

**გოლები:** 0:1 ლ. ლოპესი (22), 0:2 პიანიჩი (64)

**ბორდო-მონაკო 0:1**

**ბორდო:** კარასო, სიანი, პლანუსი, ტრემულინასი, სანე, მენეგაცო (59. ჟუსი), ა. დიარა, მოდესტე (69. დიაბატე), პლასილი, ვენდელი (77. ანდრე), ბენ ხალფალა.

**გოლი:** 0:1 ადრიანო (21)

**ლილი-ვალანსიენი 2:1**

**ლილი:** ლანდრო, დებუში, ბერია, რამი, შეჯუ, მავუბა, კაბაიე, სოუ, ჰაზარდი (90. განა გუეიე), ჟერვინიო (75. ტულიო), ფრო (65. ობრანიაკი).

**გოლები:** 1:0 სოუ (39), 1:1 გ. პუიოლი (59), ჰაზარდი (90)

**პსჟ-მონპელიე 2:2**

**პსჟ:** ბეტე, ჟალე, ტიენე, არმანი, სახო, მაკელელე, კლემანი (77. ბოდმერი), ნენე (81. მორისი), მევლუთი (77. ბაებეკი), ჟიული, ოარო.

**გოლები:** 1:0 ოარო (11), 2:0 იანგა-მბივა (13. ს.კ.), 2:1 ჟირუ (47), 2:2 ჟირუ (59)

**გაძევება:** ჟენეშამი (47. მონპელიე)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლილი | 27 | 14 | 10 | 3 | 47-26 | 52 |
| 2. რენი | 27 | 14 | 7 | 6 | 31-20 | 49 |
| 3. ლიონი | 27 | 13 | 9 | 5 | 46-25 | 48 |
| 4. მარსელი | 27 | 13 | 9 | 5 | 39-23 | 48 |
| 5. პსჟ | 27 | 12 | 9 | 6 | 41-28 | 45 |
| 6. მონპელიე | 27 | 10 | 9 | 8 | 23-26 | 39 |
| 7. სენტ ეტიენი | 27 | 10 | 8 | 9 | 35-33 | 38 |
| 8. ბორდო | 27 | 9 | 10 | 8 | 35-32 | 37 |
| 9. ლორიანი | 27 | 10 | 7 | 10 | 35-34 | 37 |
| 10. ტულუზი | 27 | 11 | 3 | 13 | 28-29 | 36 |
| 11. სოშო | 27 | 10 | 5 | 12 | 40-33 | 35 |
| 12. ბრესტი | 27 | 9 | 8 | 10 | 27-30 | 35 |
| 13. ნიცა | 27 | 8 | 9 | 10 | 18-27 | 33 |
| 14. ვალანსიენი | 27 | 7 | 11 | 9 | 31-29 | 32 |
| 15. კაენი | 27 | 8 | 8 | 11 | 29-38 | 32 |
| 16. ნანსი | 27 | 9 | 5 | 13 | 29-41 | 32 |
| 17. მონაკო | 27 | 5 | 14 | 8 | 26-28 | 29 |
| 18. ოსერი | 27 | 5 | 14 | 8 | 30-34 | 29 |
| 19. ლანსი | 27 | 5 | 10 | 12 | 24-41 | 25 |
| 20. არლი | 27 | 1 | 9 | 17 | 16-53 | 12 |

**ბომბარდირები:** 17 – სოუ (ლილი), 16 – გამეირო (ლორიანი), 13 – ნენე (პსჟ), ელ არაბი (კაენი), 12 – ლ. ლოპესი (ლიონი)

## ბელგია

პრო ლიგა. XXIX ტური

**გენტი-სერკლი 1:0**

გოლი: 1:0 მბოიო (9)

**შარლერუა-სტანდარდი 0:2**

გოლები: 0:1 ვან დამი (18), 0:2 ჩიტე (34. პენ.)

**ბრიუგე-კორტრიიკი 4:1**

გოლები: 1:0 პერიშიჩი (33), 2:0 ბლონდელი (52), 3:0 აკპალა (58), 4:0 პერიშიჩი (62), 4:1 ბოილი (69)

**ეუპენი-ანდერლეხტი 1:1**

გოლები: 0:1 ლუკაკუ (38), 1:1 ესპინალი (84)

**ბეერსხოტი-მეხელენი 1:1**

გოლები: 0:1 დიალიბა (87), 1:1 გოორი (88)

**ლოკერენი-ლიერსი 1:1**

გოლები: 1:0 პაუვი (10), 1:1 კავენსი (36)

გაძევება: ვრეე (51. ლიერსი)

**გენკი-ვესტერლო 0:2**

გოლები: 0:1 ენრიკე (81), 0:2 ფარსი (90)

**ვარეგემი-სენტ ტრუიდენი 1:2**

გოლები: 0:1 დუფერი (64), 0:2 შუტერდენი (70), 1:2 ვანდენბრუკი (86)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 29 | 18 | 8 | 3 | 55-18 | 62 |
| 2. გენკი | 29 | 18 | 7 | 4 | 63-27 | 61 |
| 3. გენტი | 29 | 17 | 6 | 6 | 57-39 | 57 |
| 4. ბრიუგე | 29 | 16 | 4 | 9 | 60-35 | 52 |
| 5. ლოკერენი | 29 | 12 | 11 | 6 | 41-36 | 47 |
| 6. სტანდარდი | 29 | 14 | 4 | 11 | 49-38 | 46 |
| 7. მეხელენი | 29 | 12 | 9 | 8 | 32-30 | 45 |
| 8. ვესტერლო | 29 | 11 | 7 | 11 | 39-38 | 40 |
| 9. სერკლი | 29 | 11 | 6 | 12 | 35-33 | 39 |
| 10. კორტრიიკი | 29 | 11 | 4 | 14 | 34-37 | 37 |
| 11. ვარეგემი | 29 | 7 | 11 | 11 | 37-39 | 32 |
| 12. სტ ტრუიდ. | 29 | 8 | 5 | 16 | 20-49 | 29 |
| 13. ბეერსხოტი | 29 | 5 | 11 | 13 | 24-39 | 26 |
| 14. ეუპენი | 29 | 5 | 8 | 16 | 28-48 | 23 |
| 15. ლიერსი | 29 | 4 | 11 | 14 | 26-58 | 23 |
| 16. შარლერუა | 29 | 4 | 6 | 19 | 18-54 | 18 |

ბომბარდირები: 17 – ფოსენი (გენკი), 16 – პერიშიჩი (ბრიუგე), 15 – ვარგასი (ბრიუგე)

## უცხოური ფეხბურთი

სერია A XXIX ტური

# ტოტი, მთავარი გლადიატორი

## მილანელებს ფეხი დაუცდათ, უდინეზე დაფრინავს

იმდენი რამეა მოსაყოლი, რომ არც კი ვიცით, საიდან დავიწყოთ - ლიდერმა საკუთარ მოედანზე აუტსაიდერთან დაკარგა ქულები, ამით მისმა უახლოესმა მდევარმა ვერ ისარგებლა, დედაქალაქურ დერბიში ნომინალურმა მასპინძელმა იძალა, „უდინეზემ" კი მეორე იტალიური კუნძულიც აიღო და კიდევ ერთი საოცარი გამარჯვება გამოჭედა. თავიდან დავიწყოთ და ორიოდე სიტყვა „ინტერის" „ბრეშასთან" წაფორხილებაზე ვთქვათ...

მილანური გრანდი სამი ქულის ასაღებად ესტუმრა ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერს, მაგრამ მხოლოდ ფრეს გამორჩა. წინა მიმოხილვაში აღვნიშნეთ, რომ მას შემდეგ, რაც **ჯუზეპე იაკინი** ჩაუდგა „ბრეშას" სათავეში, გუნდი ცოცხალი თავით არ აგებს. თუმცა, ვერც იგებს და ამის გამო, სატურნირო მდგომარეობა კვლავაც მძიმე აქვს. არადა, შეხვედრის უკანასკნელ წუთზე რომ **ანდრეა კარაჩოლოს** თერთმეტმეტრიანი გაეტანა, „ბრეშა" სამ ქულას ჩაიწერდა აქტივში. დიახ, **ჟულიო სეზარმა** იძალა და საკუთარი გუნდი მარცხისგან იხსნა. შეხვედრა ორმხრივ იერიშებში წარიმართა, ანგარიში კი სტუმრებმა გახსნეს - შეხვედრის მე-18 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც **ვესლი სნეიდერმა** კუთხური ჩააწოდა, **ანდრეა რანოკიას** თავური დარტყმის შემდეგ **სამუელ ეტოომ** შეუცვალა



ბურთს მიმართულება და მეტოქის კარში მოათავსა. ორივე კართან არაერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა, რომელთა აღწერა შორს წაგვიყვანს, გამათანაბრებელი გოლი კი მასპინძლებმა შეხვედრის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე გაიტანეს - ისევ კუთხური და დაახლოებით ანალოგიური სურათი: საჰაერო ორთაბრძოლის შემდეგ ბურთი პირდაპირ კარაჩოლოს დააჯდა თავზე და მანაც ზუსტი დარტყმით **ჟულიო სეზარი** უშანსოდ დატოვა. კარაჩოლოს რომ გამარჯვების გოლის გატანა შეეძლო, ზემოთ ვთქვით - საბოლოოდ კი ფრე, 1:1.

უახლოესი მდევრის წაფორხილებით ვერ ისარგებლა „მილანმა" და საკუთარ მოედანზე „ბარის" გაუყო ქულები. აქედანვე უნდა ვთქვათ, რომ შეხვედრის საბოლოო რეზულტატზე მსაჯის საკამათო გადაწყვეტილებებმა მოახდინა გავლენა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, **მასიმილიანო ალეგრის** გუნდს ორი გოლი არ ჩაუთვალა: ერთხელ თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა, მეორეჯერ კი **ზლატან იბრაჰიმოვიჩზე** ხელით თამაში შენიშნა. განსაკუთრებით საკამათო სწორედ მეორე შემთხვევა გახლდათ, რადგან შვედმა უფრო მხრით გაისწორა ბურთი, ვიდრე ხელით. ასეა თუ ისე, „მილანმა" მხოლოდ ერთხელ დალაშქრა მეტოქის კარი და ისიც მაშინ, როდესაც უკვე კაცნაკლული იყო მოედანზე. შეხვედრის უდავო „გმირმა" რეფერიმ იბრაჰიმოვიჩი გააძევა მოედნიდან, ვინც მეორე ყვითელი ბარათი არასპორტული საქციელისთვის მიიღო - ზლატანმა ხელი ჩაარტყა მეტოქე მცველს და ძირს დაანარცხა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც შეეძლო არბიტრს სხვა გადაწყვეტილების მიღება, რადგან დარტყმა მეტისმეტად მსუბუქი იყო, „ბარის" უკანახაზელმა კი ვარდნა აშკარად გააფორმა. აი, გოლი კი მართლაც ეფექტური გამოუვიდათ სტუმრებს - საჯარიმო გაითამაშეს ორიგინალურად, **რუდოლფი** შეატოვეს **აბიატის** პირისპირ და მანაც ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი მეტოქის კარში. მასპინძელთაგან **ანტონიო კასანო** გამოირჩა, რომელიც მეორე ნახევარში ჩაერთო თამაშში - მარცხენა ფლანგიდან გაკეთებული გადაცემის შემდეგ, ერთი შეხებით დაჰკრა ბურთს ფეხი და შეხვედრის საბოლოო რეზულტატი დააფიქსირა, 1:1.

რომაულ დერბიში უფრო მოტივირებული „ლაციო" ჩანდა, თითქოს უკეთაც უტევდნენ ნომინალური სტუმრები და უფრო აზრიანადაც ბურთაობდნენ, მაგრამ გოლები სწორედ მათ კარში გავიდა. ეს ყველაფერი კი **ფრანჩესკო ტოტის** დამსახურებაა, რომელმაც ერთი რიგითი ჯარიმა გოლად აქცია და შემდეგ თერთმეტმეტრიანიც ზუსტად გამოიყენა. „რომას" კაპიტანი განსაკუთრებით აქტიური მეორე ტაიმში გახლდათ - გარდა გატანილი გოლებისა, არაერთხელ წამოაგო პროვოკაციაზე მეტოქე უკანახაზელები და დიდწილად სწორედ მისი დამსახურება იყო, რომ „ლაციომ" თამაში ცხრა ფეხბურთელით ჩაამთავრა. **სტეფან რადუმ** და **კრისტიან ლედესმამ** ემოციები ვერ მოთოკეს, ერთმა თავი ჩაარტყა მეტოქეს, მეორემ კი ხელი უთავაზა. უკანასკნელი წუთები გლადიატორთა ბრძოლას უფრო ჰგავდა, ვიდრე ფეხბურთს და არბიტრს რომ ყველა ინციდენტზე შესაბამისი რეაგირება მოეხდინა, კიდევ არაერთ ფეხბურთელს მოუწევდა მოედნის დატოვება. ნამატჩევს ტოტი მედიის ყურადღების ცენტრში გახლდათ და აქვე, მის კომენტარს გავეცნოთ:

*„ასეთ თამაშში ემოციების მოთოკვა რთულია და სიმართლე გითხრათ, მესმის კიდეც „ლაციოს" ფეხბურთელების. ჩემი მხრიდან არავითარი პროვოკაცია არ ყოფილა და არაფრისგან ნუ შექმნით სკანდალს. მთავარია, რომ გავიმარჯვეთ და უმნიშვნელოვანესი სამი ქულა ჩავიწერეთ აქტივში. ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრაა და საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ. დღეს დავრწმუნდით, რომ ეს შეგვიძლია და გაჩერებას არ ვაპირებთ".*

ჩემპიონთა ლიგაზე ჩამოვარდა სიტყვა და აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ „უდინეზემ" შეაბიჯა ოთხეულში. ადრე თუ გვიან, ეს უნდა მომხდარიყო, რადგან ფრიულელები ფანტასტიკურ ფეხბურთს თამაშობენ და ამის ნათელი დადასტურება „კალიარისთან" გამართული გასვლითი პაექრობა გახლდათ. „უდინეზემ" ოთხი უპასუხო ბურთი „მიართვა" მეტოქეს და უდინეში სამი ქულით ხელდამშვენებული დაბრუნდა. არადა, სარდინიელები საკუთარ მოედანზე, როგორც წესი, კარგად თამაშობენ და იქ მათი დამარცხება ურთულესი საქმეა. როგორც ჩანს, არა ფრიულელებისთვის, რომლებმაც მორიგი საფეხბურთო სპექტაკლი დადგეს. ორი გოლი **ანტონიო დი ნატალეს** ანგარიშზეა, ერთი **ალექსის სანჩესის**, ერთიც **ბენეტიამ** გაიტანა და ესეც საბოლოო რეზულტატი, 0:4.

შეგახსენებთ, რომ „უდინეზემ" სიცილიელთა მთავარი გუნდიც გაანადგურა მისსავე მოედანზე და თანაც, კიდევ უფრო დიდი ანგარიშით, 7:0. ფაქტია, რომ **ფრანჩესკო გვიდოლინის** გუნდს გასვლაზე თამაში შესანიშნავად გამოსდის. პირველი ნახევარი საათის განმავლობაში „კალიარი" დაბალანსებულ ფეხბურთს თამაშობდა და ფრთხილად უტევდა, თუმცა მალევე მიხვდა, რომ ასე „მოწინებით" „უდინეზეს" კარს ვერ აიღებდა - ტაიმის უკანასკნელ წუთებზე დიდი ძალებით გადავიდა მეტოქის ნახევარზე და დაისაჯა კიდეც. მართალია, სტუმრებმა პირველი გოლი კუთხურიდან გაიტანეს, მაგრამ ზოგადად, კონტრშეტევებით გატეხეს მეტოქე. „უდინეზეს" მთავარი იარაღი სწორედ კონტრიერიშებია, ამ საქმის უბადლო ოსტატები კი ანტონიო დი ნატალე და ალექსის სანჩესი არიან. თუ ასე გააგრძელეს უდინელებმა, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება ნამდვილად არ გაუჭირდებათ.

ბოლოს, „იუვენტუსის" „პროგრესის" შესახებ უნდა ვთქვათ - ზედიზედ სამი წაგებული შეხვედრის შემდეგ, **ლუიჯი დელ ნერის** გუნდმა ქულა აიღო. ჩეზენაში ორი „ბიანკონერის" დაპირისპირება შედგა და ფრედ დასრულდა. ტურინელთაგან **ალესანდრო მატრიმ** გამოიჩინა თავი და დუბლი მიითვალა აქტივში, რაც დიდწილად მისი პარტნიორის და სეხნიის, **ალესანდრო დელ პიეროს** დამსახურება გახლდათ. „პინტურიკიო" შესანიშნავი პასებით ამარაგებდა ახალგაზრდა თანაგუნდელს და ამად იყო, სტუმრები ორი ბურთის უპირატესობით რომ დაწინაურდნენ. სამაგიეროდ, ტურინელთა უკანა ხაზი ჩავარდა და მოპოვებული ფორა ქარს გაატანა - **ხიმენესის** ზუსტ თერთმეტმეტრიანს, **პაროლომ** მიაყოლა შედეგიანი დარტყმა და 2:2. დელ ნერის თქმით, კრიტიკა, სტვენა და ცინიზმი სულ მალე ტაშით, ქებით და დიდებით შეიცვლება. ვნახოთ...

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

### მომდევნო ტური

**19 მარტი:** ლაციო-ჩეზენა, პალერმო-მილანი

**20 მარტი:** ფიორენტინა-რომა, იუვენტუსი-ბრეშა, უდინეზე-კატანია, ბარი-კიევო, ბოლონია-ჯენოა, ინტერი-ლეჩე, სამპდორია-პარმა, ნაპოლი-კალიარი.

### ჰოლანდია

ერედივიზიონი. XXVII ტური

**უტრეხტი-გრონინგენი 1:0**

გოლი: 1:0 დემოგე (60).

**ჰერაკლესი-ექსელსიორი 4:1**

გოლები: 1:0 ფლედერუსი (32), 2:0 კუანსა (50), 3:0 ლუმსი (62), 3:1 ფერნანდესი (75), 4:1 პიეტი (90).

**როდა-ალკმაარი 1:2**

გოლები: 0:1 სიგტორსონი (52), 1:1 ჰადური (72), 1:2 მარტენსი (74).

**ვიტესი-ჰეერენვეენი 1:1**

გოლები: 1:0 რივეროლა (43), 1:1 იანმაატი (88).

**დე გრააფსხაპი-დენ ჰააგი 1:0**

გოლი: 1:0 პოეპონი (10).

**ტვენტე-ვენლო 2:1**

გოლები: 0:1 რეგტი (4), 1:1 ბრამა (30), 2:1 ჯონი (82).

**ფეიენოორდი-ბრედა 2:1**

გოლები: 1:0 კასტანიოსი (29), 1:1 ჯენერი (58), 2:1 ვრიჯი (88).

**ვილემი-აიაქსი 1:3**

გოლები: 1:0 იანგა (19), 1:1 იონგი (46), 1:2 ვერტონენი (80), 1:3 ერიკსენი (88).

**ნიიმეგენი-პსვ 2:2**

გოლები: 1:0 ჯორჯი (41), 1:1 ჯუჯაკი (44), 1:2 ლენსი (64), 2:2 ზომერი (89).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსვ | 27 | 17 | 7 | 3 | 71-26 | 58 |
| 2. ტვენტე | 27 | 17 | 6 | 4 | 52-28 | 57 |
| 3. აიაქსი | 27 | 16 | 7 | 4 | 54-23 | 55 |
| 4. ალკმაარი | 27 | 13 | 7 | 7 | 40-33 | 46 |
| 5. დენ ჰააგი | 27 | 13 | 6 | 8 | 52-39 | 45 |
| 6. გრონინგენი | 27 | 13 | 5 | 9 | 53-43 | 44 |
| 7. როდა | 27 | 10 | 11 | 6 | 46-37 | 41 |
| 8. უტრეხტი | 27 | 11 | 8 | 8 | 43-34 | 41 |
| 9. ჰეერენვეენი | 27 | 9 | 8 | 10 | 48-41 | 35 |
| 10. ჰერაკლესი | 27 | 9 | 7 | 11 | 48-46 | 34 |
| 11. ფეიენოორდი | 27 | 9 | 7 | 11 | 37-44 | 34 |
| 12. ნიიმეგენი | 27 | 7 | 12 | 8 | 43-47 | 33 |
| 13. ბრედა | 27 | 10 | 4 | 13 | 36-48 | 33 |
| 14. დე გრააფსხ. | 27 | 8 | 9 | 10 | 27-44 | 33 |
| 15. ვიტესი | 27 | 7 | 8 | 12 | 33-45 | 29 |
| 16. ექსელსიორი | 27 | 6 | 4 | 17 | 32-55 | 22 |
| 17. ვენლო | 27 | 5 | 1 | 21 | 24-59 | 16 |
| 18. ვილემი | 27- | 2 | 5 | 20 | 28-75 | 11 |

**ბომბარდირები:** 18 - ვლემინცკი (ნიიმეგენი); 17 - ბულიკინი (დენ ჰააგი); 15 - მატავცი (გრონინგენი), იანკერი (როდა); 14 - იანკო (ტვენტე), ჯუჯაკი (პსვ).

### ბრეშა-ინტერი 1:1

**ბრეშა (3-5-1-1):** არკარი - ბეგა, ძობოლი, ძებინა - ძამბელი (61. ედერი), ბერარდი (26. დაპრელა), ჰეტემაი, ვასი (83. ლანცაფამე), კონე - დიამანტი - კარაჩოლო.

**ინტერი (4-2-3-2):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, რანოკია, ლუსიო (65. კორდობა), ნაგატომო (78. მატერაცი) - სტანკოვიჩი, ძანეტი - პანდევი, სნეიდერი, ეტოო - პაცინი (70. ხარჯა).

**გოლები:** 0:1 ეტოო (63), 1:1 კარაჩოლო (85).

**გაფრთხილება:** ძებინა, კონე, ჰეტემაი, დაპრელა - მაიკონი.

**გაძევება:** კორდობა (89) - კარაჩოლო (90).

**გაფრთხილება:** 4-1; **კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 11-21; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 10(7)-13(7); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 20 000

### ჩეზენა-იუვენტუსი 2:2

**ჩეზენა (4-3-2-1):** ანტონიოლი - სანტონი (80. ჩეკარელი), პელეგრინო, ფონ ბერგენი, ლაურო - კაზერტა (52. მალონგა), კოლუჩი, პაროლო - ხიმენესი, ჯაკერინი (73. როზინა) - ბოგდანი.

**იუვენტუსი (4-4-2):** ბუფონი - მოტა, ბონუჩი, კიელინი, ტრაორე - კრასიჩი (46. გრიგერა), აკვილანი, მარკიზიო, პეპე - დელ პიერო (67. მარტინესი), მატრი (77. იაკვინტა).

**გოლები:** 0:1 მატრი (19), 0:2 მატრი (35), 1:2 ხიმენესი (41-პენ.), 2:2 პაროლო (80).

**გაფრთხილება:** ლაურო, ხიმენესი - ბუფონი, ბონუჩი, აკვილანი.

**გაძევება:** მოტა (43).

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 14-14; **თამაშგარე:** 3-6; **კარში დარტყმა:** 11(7)-12(3); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 15 000

### მილანი-ბარი 1:1

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი - აბატე, ნესტა, ტიაგო სილვა, ანტონინი - ვან ბომელი, გატუზო (81. ზეედორფი), მერკელი (46. ემანუელსონი) - რობინიო (56. კასანო) - პატო, იბრაჰიმოვიჩი.

**ბარი (4-4-2):** ჟილე - ა. მაზიელო (46. რინალდი), გლიკი, როსი, ბელმონტე - კოდრეა, ალვარესი (61. ჰუსეკლეპი), ალმირონი, ბენტივოლიო - გეზალი, რუდოლფი (68. კოპუნეკი).

**გოლები:** 0:1 რუდოლფი (39), 1:1 კასანო (82).

**გაფრთხილება:** ნესტა, იბრაჰიმოვიჩი - ჟილე, როსი, ბენტივოლიო.

**გაძევება:** იბრაჰიმოვიჩი (74).

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 9-1; **ჯარიმა:** 17-8; **თამაშგარე:** 8-1; **კარში დარტყმა:** 17(7)-7(3); **ბურთის ფლობა:** 72%-28%.

**მაყურებელი:** 68 000

### რომა-ლაციო 2:0

**რომა (4-3-1-2):** დონი - ჟუანი, მექსე, ნ. ბურდისო, რიისე - პიზარო, დე როსი, პეროტა - მენეზი (57. ტადეი) - ტოტი (90. კასტელინი), ვუჩინიჩი (82. სიმპლიციო).

**ლაციო (4-2-3-1):** მუსლერა - ლიხტშტაინერი, ბიავა, სტენდარდო, რადუ - მათუზალემი, ლედესმა - ერნანესი (83. კოზაკი), სარატე (76. მაური), სკული - ფლოკარი (83. ბროკი).

**გოლები:** 1:0 ტოტი (70), 2:0 ტოტი (90-პენ.)..

**გაფრთხილება:** პიზარო, დე როსი, ვუჩინიჩი, ტოტი - ლიხტშტაინერი.

**გაძევება:** რადუ (87), ლედესმა (90).

**გაფრთხილება:** 4-1; **კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 18-18; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 4(2)-6(1); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 37 000

### კალიარი-უდინეზე 0:4

**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი - პერიკო, კანინი, ასტორი, აგოსტინი - ლაძარი (85. ლანერი), კონტი, ნაინგოლანი - კოსუ - რაგაცუ (57. მისიროლი), აკვაფრესკა.

**უდინეზე (3-5-2):** ჰანდანოვიჩი - ბენეტია, ზაპატა, დომიცი - ისლა, პინცი, ასამოა, ინლერი, არმერო (72. პასკუალე) - დი ნატალე (84..დენისი), სანჩესი (80. აბდი).

**გოლები:** 0:1 ბენეტია (43), 0:2 სანჩესი (44), 0:3 დი ნატალე (48), 0:4 დი ნატალე (53).

**გაფრთხილება:** ასტორი, კონტი, კოსუ (კალიარი).

**გაფრთხილება:** 3-0; **კუთხური:** 7-9; **ჯარიმა:** 9-11; **თამაშგარე:** 2-6; **კარში დარტყმა:** 7(2)-7(6); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 11 000

### კატანია-სამპდორია 1:0

**კატანია (4-2-3-1):** ანდუხარი - სპოლი, ალვარესი (53. ლიამა), სილვესტრი, მარკეზე - კარბონი, ლოდი - რიკიუტი, გომესი (46. შელოტო), ბერგესიო - მაქსი ლოპესი (77. ლედესმა).

**სამპდორია (3-5-1-1):** კურჩი - ძაური, ვოლტა, ვიდალი - ლეჟკო (63. კომანი), მანინი, დესენა, პოლი (79. ბიაბიანი), ტისონე - გუბერტი (46. ციგლერი) - მაკარონე.

**გოლი:** 1:0 ლიამა (75).

**გაფრთხილება:** ალვარესი, მარკეზე, გომესი - ტისონე, ლაჟკო, გუბერტი.

**გაძევება:** ტისონე (23).

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 6-0; **ჯარიმა:** 20-24; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 5(2)-3(1); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 14 000

### კიევო-ფიორენტინა 0:1

**კიევო (3-4-1-2):** სორენტინო - სარდო, ანდრეოლი, მანდელი - მანტოვანი, პულცეტი (56. ლუჩანო - 72. ურიბე), რიგონი, იოკიჩი - მარკოლინი - პელისიერი, თერეუ (46. მოსკარდელი).

**ფიორენტინა (4-3-1-2):** ბორუცი - დე სილვესტრი (90. კომოტო), გამბერინი, ნატალი, პასკუალი - მონტოლივო, ბეჰრამი, ვარგასი (77. მარკიონი) - სანტანა - მუტუ, ჯილარდინო (87. ბაბაქარი).

**გოლი:** 0:1 ვარგასი (48).

**გაფრთხილება:** ანდრეოლი, ცეზარი, მანტოვანი, პელისიერი, მოსკარდელი - ჯილარდინო.

**გაფრთხილება:** 5-1; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 12-14; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 12(5)-11(6); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 9 000

### ჯენოა-პალერმო 1:0

**ჯენოა (4-4-2):** ედუარდო - მესტო, დაინელი, კალაძე, კრიშიტო - კუჩკა, კონკო (71. რაფინია), ველოზო, როსი (83. კიკო) - ფლორო ფლორესი (88. ბოზელი), პალასიო.

**პალერმო (3-4-1-2):** სირიგუ - მუნოზი, ბოვო, მილიაჩო - კასანი (7. დარმიანი), ბასინოვიჩი, ნოჩერინო, ბალცარეტი - პასტორე - მიკოლი (55. ილიჩიჩი), ერნანდესი (81. პინილია).

**გოლი:** 1:0 ფლორო ფლორესი (78).

**გაფრთხილება:** დაინელი - ბოვო.

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 7-14; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 12(6)-9(3); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 25 000

### ლეჩე-ბოლონია 0:1

**ლეჩე (4-4-2):** როზატი - ტომოვიჩი, [illegible], ფაბიანო, ბრივიო (52. [illegible]) - [illegible], ოლივერა, მუნარი - კორვია, [illegible] (56. ჩივანტონი - 79. პიატი).

**ბოლონია (4-3-1-2):** [illegible] (75. [illegible]) - კაზარინი, პორტანოვა, ბრიტოსი, რუბინი - პერესი, მუდინგაი, მუტარელი (68. ბუშე) - დელა როკა - რამირესი, დი ვაიო (90. მორასი).

**გოლი:** 0:1 რამირესი (33).

**გაფრთხილება:** ბრივიო, მუნარი - ბუშე.

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 11-1; **ჯარიმა:** 12-19; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 8(3)-4(3); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 11 000

### პარმა-ნაპოლი 1:3

**პარმა (3-4-2-1):** მირანტე - ძაკარდო, პაჩი, ა. ლუკარელი - ვალიანი, გალოპა, ძემალი, მოდესტო (88. პისანო) - კანდრევა (69. ჯოვინკო), პალადინო - ბოჟინოვი (60. კრესპო).

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანქტისი - სანტაკროჩე (85. კრიბარი), კანავარო, ვიქტორ რუისი - მაჯო, პაციენცა, იებდა (78. გარგანო), ძუნიგა - ჰამშიკი (90. მასკარა), ლავეცი - კავანი.

**გოლები:** 1:0 პალადინო (29), 1:1 ჰამშიკი (52), 1:2 ლავეცი (56), 1:3 მაჯო (87)

**გაფრთხილება:** მოდესტო, ლუკარელი, ვალიანი - მაჯო, კანავარო

**გაძევება:** გალოპა (59)

**კუთხური:** 6-7; **ჯარიმა:** 16-16; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 7(2)-17(5); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 15 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 29 | 18 | 8 | 3 | 51-21 | 62 |
| 2. ინტერი | 29 | 17 | 6 | 6 | 55-31 | 57 |
| 3. ნაპოლი | 29 | 17 | 5 | 7 | 44-26 | 56 |
| 4. უდინეზე | 29 | 16 | 5 | 8 | 54-30 | 53 |
| 5. ლაციო | 29 | 15 | 6 | 8 | 35-25 | 51 |
| 6. რომა | 29 | 14 | 7 | 8 | 45-39 | 49 |
| 7. იუვენტუსი | 29 | 11 | 9 | 9 | 43-37 | 42 |
| 8. ფიორენტინა | 29 | 10 | 10 | 9 | 33-29 | 40 |
| 9. პალერმო | 29 | 12 | 4 | 13 | 44-46 | 40 |
| 10. კალიარი | 29 | 11 | 6 | 12 | 35-34 | 39 |
| 11. ბოლონია | 29 | 11 | 9 | 9 | 32-36 | 39 |
| 12. ჯენოა | 29 | 10 | 8 | 11 | 28-32 | 38 |
| 13. კიევო | 29 | 7 | 11 | 11 | 28-31 | 32 |
| 14. კატანია | 29 | 8 | 8 | 13 | 25-38 | 32 |
| 15. სამპდორია | 29 | 7 | 10 | 12 | 25-33 | 31 |
| 16. პარმა | 29 | 6 | 11 | 12 | 28-41 | 29 |
| 17. ჩეზენა | 29 | 7 | 8 | 14 | 25-40 | 29 |
| 18. ლეჩე | 29 | 7 | 7 | 15 | 31-51 | 28 |
| 19. ბრეშა | 29 | 6 | 8 | 15 | 23-36 | 26 |
| 20. ბარი | 29 | 4 | 8 | 17 | 16-43 | 17 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს სამი ქულა*

**ბომბარდირები:** 24 - დი ნატალე (უდინეზე); 20 - კავანი (ნაპოლი); 19 - ეტოო (ინტერი); 17 - დი ვაიო (ბოლონია); 16 - მატრი (იუვენტუსი); 14 - იბრაჰიმოვიჩი (მილანი).

### სერია B. XXXI ტური

**ალბინოლეფე-ვიჩენცა 2:2**

გოლები: 1:0 კოკო (45), 2:0 ძენონი (63), 2:1 აბრუსკატო (78), 2:2 პარო (89).

**ასკოლი-ატალანტა 1:1**

გოლები: 1:0 ფაისკა (35), 1:1 დონი (61).

**გროსეტო-პესკარა 3:2**

გოლები: 0:1 სტოიანი (2), 1:1 ალფაჯემე (26), 2:1 ტურატი (38), 2:2 სანსოვინი (45), 3:2 სფორცინი (82).

**მოდენა-ფროზინონე 2:1**

გოლები: 1:0 გრეკო (39-პენ.), 2:0 პასკუატო (49-პენ.), 2:1 ძიგონი (89).

**ნოვარა-სასუოლო 0:0**

**პიაჩენცა-კროტონე 2:0**

გოლები: 1:0 გუერა (33), 2:0 კოფიე (82).

**რეჯინა-ტრიესტინა 1:1**

გოლები: 0:1 მარკი (9), 1:1 აჩერბი (28).

**სიენა-ემპოლი 0:0**

**ტორინო-ლივორნო 0:2**

გოლები: 0:1 ტავანო (56), 0:2 ტავანო (81-პენ.).

**ვარეზე-პორტოგრუარო 1:0**

გოლი: 1:0 ალემაო (9).

**ჩიტადელა-პადოვა** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატალანტა | 31 | 17 | 9 | 5 | 37-21 | 60 |
| 2. სიენა | 31 | 15 | 12 | 4 | 45-24 | 57 |
| 3. ნოვარა | 31 | 14 | 13 | 4 | 48-24 | 55 |
| 4. ვარეზე | 31 | 12 | 14 | 5 | 37-22 | 50 |
| 5. რეჯინა | 31 | 12 | 11 | 8 | 35-30 | 47 |
| 6. ლივორნო | 31 | 11 | 10 | 10 | 38-36 | 43 |
| 7. პესკარა | 31 | 11 | 9 | 11 | 33-34 | 42 |
| 8. ვიჩენცა | 30 | 12 | 6 | 12 | 32-34 | 42 |
| 9. გროსეტო | 31 | 11 | 9 | 11 | 35-39 | 42 |
| 10. პიაჩენცა | 31 | 10 | 11 | 10 | 43-43 | 41 |
| 11. ტორინო | 31 | 11 | 8 | 12 | 34-38 | 41 |
| 12. ემპოლი | 31 | 9 | 13 | 9 | 33-29 | 40 |
| 13. მოდენა | 31 | 8 | 14 | 9 | 32-38 | 38 |
| 14. პადოვა | 30 | 8 | 13 | 9 | 40-36 | 37 |
| 15. სასუოლო | 31 | 9 | 9 | 13 | 32-33 | 36 |
| 16. ალბინოლ. | 31 | 9 | 9 | 13 | 37-49 | 36 |
| 17. კროტონე | 30 | 7 | 13 | 10 | 27-34 | 34 |
| 18. ჩიტადელა | 30 | 7 | 11 | 12 | 32-37 | 32 |
| 19. პორტოგრ. | 31 | 7 | 9 | 15 | 25-41 | 30 |
| 20 ასკოლი | 29 | 8 | 11 | 10 | 29-34 | 29 |
| 21. ფროზინონე | 31 | 6 | 11 | 14 | 32-46 | 29 |
| 22. ტრიესტინა | 31 | 5 | 13 | 13 | 24-38 | 28 |

** ასკოლის დაკლებული აქვს 6 ქულა*

**ბომბარდირები:** 17 - კაჩა (პიაჩენცა); 15 - სუჩი (პადოვა), კორალი (ემპოლი); 13 - პიოვაკარი (ჩიტადელა), ბონაცოლი (რეჯინა), ბიანკი (ტორინო), აბრუსკატო (ვიჩენცა); 12 - ბერტანი (ნოვარა), გონსალესი (ნოვარა).

### სერია C 1/A

ალესანდრია-ვერონა 2:1, ბასანო-სუდტიროლი 0:0, კომო-ლუმეცანე 3:0, მონცა-სალერნიტანა 3:3, პერგოკრემა-პაგანეზე 0:0, რავენა-პავია 2:0, რეჯანა-გუბიო 0:1, სპალ-სორენტო 0:0, სპეცია-კრემონეზე 1:2.

### სერია C 1/B

ანდრია-ფოჯა 0:1, კოზენცა-ნოჩერინა 1:1, ჯელა-იუვე სტაბია 0:0, პიზა-ლუკეზე 2:0, სირაკუზა-ფოლინო 2:1, ტარანტო-ბენევენტო 3:1, ტერნანა-ლანჩანო 0:0, კავეზე-ბარლეტა გადაიდო, ატლეტიკო-ვიარეჯო დღეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. ასოციაციის თასი. 1/4 ფინალი



# არსენალი არსენალობს

| მანჩესტერ იუნ.-არსენალი | 2:0 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ფაბიო (28), 2:0 რუნი (49)

| ბირმინგემი-ბოლტონი | 2:3 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 ელმანდერი (21), 1:1 ჯერომი (38), 1:2 კ. დევისი (66), 2:2 ფილიპსი (80), 2:3 ლი (90)

| სტოკი-ვესტ ჰემი | 2:1 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ჰუთი (12), 1:1 პიქვიონი (30), 2:1 ჰიგინბოტემი (63)

*ვერ გაიტანა პენალტი: ეზერინგტონი (47 - სტოკი)*

| მანჩესტერ სიტი-რედინგი | 1:0 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 რიჩარდსი (74)

„მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელებმა **ფაბიომ** და **უეინ რუნიმ** „არსენალი" ორ კვირაში მესამე შეჯიბრებიდან გააგდეს. **არსენ ვენგერის** გუნდი ამჯერად ფეხბურთის ასოციაციის თასს გამოეთიშა. შეხვედრაში, რომელსაც მოუთმენლად ელოდნენ, რადგან ის დიდ ინგლისურ დაპირისპირებად მიაჩნდათ, მასპინძლებმა თითო ტაიმში თითო გოლი გაიტანეს და ნახევარფინალში გავიდნენ. შეგახსენებთ: „მეთოფეები" ჯერ „ბირმინგემმა" დაამარცხა „ქარლინგის თასის" ფინალში, მერე „ბარსელონამ" ჩემპიონთა ლიგიდან გააგდო, ახლა კი „იუნაიტედმა" ფეხბურთის ასოციაციის თასიდანაც გაათავისუფლა. ამრიგად, ჩრდილოლონდონელები პრემიერლიგის ამარალა დარჩნენ.

და რას ნიშნავდა ეს შეხვედრა მანჩესტერელთათვის? გვარიანი ფსიქოლოგიური სტიმული გახლდათ, რადგან სამშაბათს სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდს ჩემპიონთა ლიგაში „მარსელთან" საპასუხო შეხვედრა უნევს. ერთი სიტყვით, „მანჩესტერ იუნაიტედს" ჯერ კიდევ შეუძლია ამ სეზონში სამი ჯილდოს მოგება: პრემიერლიგის ტიტულის, ჩემპიონთა ლიგისა და ფეხბურთის ასოციაციის თასის.

საინტერესოა, რომ „არსენალთან" შეხვედრაში ფერგიუსონმა სასტარტო შემადგენლობაში შვიდი ნომინალური მცველი ათამაშა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი საკუთარ საჯარიმოს იყვნენ მიჯაჭვულნი. საყურადღებო გახლდათ ისიც, რომ მანჩესტერელთა შემადგენლობაში პირველი გოლის ავტორი ფაბიო შესვენების შემდეგ **ანტონიო ვალენსიამ** შეცვალა — ვალენსია ექვსი თვის განმავლობაში მოტეხილ კოჭს მკურნალობდა.

„არსენალის" შემადგენლობა ნაკლებად ექსპერიმენტული გახლდათ. თავდასხმაში **რობინ ვან პერსი** თამაშობდა, ხოლო დაშავებული **სესკ ფაბრეგასის** ადგილი **ანდრეი არშავინს** ეკავა.

მატჩის შემდეგ „მეთოფეთა" მწვრთნელმა ყველაფერი ისევ გასულ სამშაბათსა და „ბარსელონასთან" წაგებას გადააბრალა:

*„ქვეცნობიერად ვერა და ვერ გამოვედით გასული სამშაბათიდან, რამაც დღევანდელ შეხვედრას დიდი დაღი დაასვა. ალბათ, თავადაც შეამჩნიეთ, რომ ჩვენს თამაშს რაღაც დააკლდა. დღეს აღარ იგრძნობოდა ფეხბურთისადმი ჩვენთვის დამახასიათებელი დამოკიდებულება და საკუთარი თავის რწმენაც სადღაც იყო გამქრალი. იმასაც ვერ ვიტყვი, რომ არ მოვინადინეთ, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლო დროს საქმე ცუდად წაგვივიდა. სამ დიდ შეჯიბრებას ძალიან უცნაურად გამოვეთიშეთ. „ქარლინგის თასზე" იყო და გოლი, რომელიც „ბირმინგემმა" შეხვედრის ბოლო წუთზე გაგვიტანა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა; ბარსელონაში, მოგეხსენებათ, მართლა ძალიან უცნაურად წავაგეთ, დღეს კი დაგვამარცხა გუნდმა, რომელიც ჩვენზე უკეთ კი არ თამაშობდა, უბრალოდ, გადამწყვეტ მომენტებში უფრო კატეგორიული იყო. მაგრამ მე მაინც არ ვფიქრობ, რომ მიმდინარე სეზონში ხელიდან უკვე ყველა შანსი გავუშვით. პირიქით, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ წარმატების მიღწევა შეგვიძლია. ცხოვრება კარგ გამოცდას გვიწყობს და ჩვენ ის უნდა ჩავაბაროთ. ჩვენ ვალდებული ვართ დავამტკიცოთ, რომ საკუთარი თავის ხელში აყვანა და გამარჯვებია შეგვიძლია. კითხვებს, რომლებიც ხალხს გაუჩნდა, ორ-სამ კვირაში ვუპასუხებთ".*

თუმცა კითხვებზე პასუხის გაცემა „მეთოფეებს" 24 წლის კოტდივუარელი **იონ ჯურუს** გარეშე მოუწევთ. ჯურუს თანაგუნდელი **ბაქარი სანია** დაეჯახა და მხარი ამოუგდო. ცენტრალური მცველისთვის სეზონი დამთავრებულია — მართლაც ცუდი პერიოდი უდგას „არსენალს".

„მანჩესტერ იუნაიტედის" ჰოლანდიელმა მეკარემ **ედვინ ვან დერ სარმა** კი აღნიშნა, რომ „არსენალთან" გამარჯვებას მთელი სეზონის კარგად დაგვირგვინებისათვის ექნება მნიშვნელობა:

*„ვფიქრობ, „არსენალთან" საკმაოდ კარგად ვითამაშეთ. გოლები გავიტანეთ, მე გამიმართლა, რამდენჯერმე ვიხსენი კარი და არც დაცვას შეურცხვენია თავი. გარდა ამისა, დღევანდელ მოგებას ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ჰქონდა მნიშვნელობა. პრემიერლიგაში ხომ ბოლო ორი თამაში „ჩელსისა" და „ლივერპულთან" წავაგეთ. ახლა ცხრილში დიდი უპირატესობით ველარ ვლიდერობთ, რის გამოც გამარჯვებათა გზაზე დაბრუნება იყო საჭირო. დიდებულია ისიც, რომ ფეხბურთის ასოციაციის თასისთვის ბრძოლას განვაგრძობთ".*

„ბირმინგემისა" და „ბოლტონის" შეხვედრა კი დრამატიზმით აღსავსე გამოდგა. სტუმრები ბოლო 11 წელიწადში პირველად გავიდნენ ნახევარფინალში. მათ ეს შეცვლაზე შესული **ლი ჩუნგიანგის** მიერ ბოლოწამს დარტყმული თავურის წყალობით შეძლეს. აღსანიშნავია, რომ 22 წლის კორეელმა მანამდე თავისი კარიც იხსნა — ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი. აღსანიშნავია, რომ „ბირმინგემს" ტრავმის გამო ძირითადი შემადგენლობის შვიდი ფეხბურთელი აკლდა, რასაც პირველ ნახევარში **ბარი ფერგიუსონის** და **მარტინ ჟირანეკის** გამოკლება დაემატა. ასეთ პირობებში „ბოლტონმა" იყოჩაღა და ორჯერ დაწინაურდა, თუმცა „ქარლინგის თასის" მფლობელებმა ორივეჯერ გაქვითეს. საბოლოოდ კი, როგორც მოგახსენეთ, წერტილი ლიმ დასვა.

„სტოკმა" კი ბოლო 39 წელიწადში პირველად მოიპოვა ნახევარფინალში თამაშის უფლება. რა შეიძლება ამ შეხვედრაზე ითქვას? ალბათ, უპირველეს ყოვლისა ის, რომ „ვესტ ჰემმა" ანგარიში ცოტა საეჭვოდ გაათანაბრა — **ფრედერიკ პიკიონმა** ბურთი ხელით გაისწორა და ისე შეყვა მეკარესთან პირისპირ. სხვა მხრივ კი... თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ სტოკელმა **მეტ ეზერინგტონმა** მეორე ტაიმის დასაწყისში პენალტი ვერ გაიტანა.

და ბოლოს, „მანჩესტერ სიტიმ" **ზურაბ ხიზანიშვილის** „რედინგს" 1:0 მოუგო. საკმაოდ დაძაბულ შეხვედრაში ერთადერთი გოლი **მიკა რიჩარდსმა** გაიტანა, რომელიც **დავიდ სილვას** კუთხურს აუხტა, „რედინგის" მეკარე **ალექს მაკარტის** აჯობა და ბურთს თავური დაარტყა. ხიზანიშვილმა მთელი შეხვედრა ითამაშა.

ასე და ამგვარად, ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალში მანჩესტერული დერბი გაიმართება. „სიტი" და „იუნაიტედი" ნახევარფინალში აქამდე მხოლოდ ერთხელ შეხვდრიან ერთმანეთს — 1926 წელს ისტლენდელებმა 3:0 მოიგეს, მაგრამ შემდეგ ფინალში „ბოლტონთან" დამარცხდნენ.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

სადისციპლინო საკითხი

# რა თქვეს კულუარებში...

მოგეხსენებათ, სერ **ალექს ფერგიუსონმა** გადაწყვიტა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას თავი არ წაუხაროს და საკუთარი პოზიცია დაიცვას — „ჩელსისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" შეხვედრის შემდეგ (ლონდონელებმა მოიგეს 2:1) ფერგიუსონმა მსაჯი **მარტინ ატკინსონი** გააკრიტიკა, რის გამოც ასოციაციამ ბრალდება წაუყენა და დასჯას უპირებს. ასეთ დროს თუ ბრალდებას დათანხმდები, მსუბუქად დაგსჯიან, მაგრამ თუ თავის დაცვას დაიწყებ, შეიძლება შენი არგუმენტები არად ჩააგდონ და ორმაგი დისკვალიფიკაცია მოგისაჯონ. ფერგიმ, როგორც ვიცით, თავის დაცვა გადაწყვიტა ანუ რისკავს, მაგრამ ტაბლოიდებმა „იუნაიტედის" თანამშრომლებისგან შეიტყვეს, რომ ასოციაცია მას ერთ თამაშზე მეტს არ მიუსჯის.

შაბათს, ასოციაციის თასზე, „არსენალის" 2:0 ძლევით გახარებულმა ფერგიუსონმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას სიტყვას ფასი არ დაადო. მან განაცხადა, რომ ცუდი არაფერი გაუკეთებია და ცნობილ მწვრთნელებს **გრემ ტეილორსა** და **კენი დალგლიშსაც** გასცა პასუხი:

*„გრემ ტეილორზე ნაწყენი ვარ. მან დაწერა, რომ მე მათრახიც მეკუთვნის და თაფლაკვერიც. არადა, კარგად მახსოვს, როდესაც ის ინგლისის ნაკრებს ხელმძღვანელობდა რა ამბავი ატეხა, თანამსაჯმა გამძარცვაო. ასეა, ხალხს ცუდი მეხსიერება აქვს.*

*აი, კენი დალგლიშმაც ჭკუის სწავლება დამიწყო, გაზეთებს უთხრა, რომ მე მსაჯების პატივისცემა მმართებს, არადა სულ ცოტა ხნის წინ მის ფეხბურთელებს „ტვიტერში" ერთი ამბავი ჰქონდათ ატეხილი. გახსოვთ ჰოვარდ ვებთან დაკავშირებული ისტორია".*

გულშემატკივარს უეჭველად ეხსომება როგორ გამოაქვეყნა „ლივერპულის" ყოფილმა მოთამაშე **რაიან ბაბელმა** სოციალურ ქსელში ვების ფოტო, რომელსაც მონტაჟი გაუკეთა — მსაჯს „მანჩესტერ იუნაიტედის" მაისურა ჩააცვა. ეს ამბავი 9 იანვარს მოხდა, როდესაც ფეხბურთის ასოციაციის თასის მესამე ეტაპზე „იუნაიტედმა" „ლივერპულს" 1:0 მოუგო. იმ შეხვედრაში მანჩესტერელებმა გოლი სადავო პენალტის წყალობით გაიტანეს — მე-2 წუთზე **დიმიტარ ბერბატოვმა დანიელ აგერის** ოდნავი კონტაქტი შთამბეჭდავად გააფორმა, **რაიან გიგზმა** კი გაიტანა. პირველსავე ტაიმში ვებმა **სტივენ ჯერარდს მაიკლ ქერიკის** წინააღმდეგ უხეშობისთვის წითელი ბარათი ამოუღო.

რაც შეეხება ტეილორს, ის თანამსაჯმა 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე „გაძარცვა".

როდის გაარჩევს ფეხბურთის ასოციაცია ფერგიუსონის საქმეს? ეს, სავარაუდოდ, ამ კვირაში მოხდება. „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელის საქციელს ასოციაციის სამი თანამშრომლისგან შედგენილი კომისია აწონდაწონის. შეგახსენებთ სადღეისო მდგომარეობას ყოველგვარი კულუარული ჭორების გარეშე: ატკინსონის პატიოსნების საჯაროდ ეჭვქვეშ დაყენებისთვის ფერგიუსონს ორი თამაშით უპირებენ დასჯას, რასაც შეიძლება დაემატოს კიდევ ორი თამაში, რადგან სერ ალექსს 2009 წელს, სხვა მსაჯის, **ალან უაილის** კრიტიკისთვის ორთამაშიანი პირობითი დისკვალიფიკაცია ჰქონდა მისჯილი. *„მე სიმართლის თქმისთვის მსჯიან,"* — განაცხადა „იუნაიტედის" თავკაცმა ჟურნალისტთან საუბრისას.

ინგლისი. ჩემპიონატი XXXVII ტური

**ბარნლი-მილუოლი 0:3**

**გოლები:** 0:1 რობინსონი (52), 0:2 რობინსონი (71), 0:3 თაუნსენდი (87)

**ქოვენთრი-ჰალი 0:1**

**გოლები:** 0:1 მაკლინი (33)

**დერბი-სუონსი 2:1**

**გოლები:** 1:0 უილიამსი (7 ს.კ.), 2:0 დევისი (54), 2:1 პრეიტლი (65)

**ლიდსი-იფსვიჩი 0:0**
**ნოტინგემი-დონკასტერი 0:0**
**პორტსმუთი-მიდლსბრო 0:0**

**ქუინზ პარკი-კრისტალ პალასი 2:1**

**გოლები:** 1:0 ჰელგიუსონი (20), 1:1 ვუგანი (40) 2:1 ჰელგიუსონი (54)

**სკანთორპი-ლესტერი 0:3**

**გოლები:** 0:1 ვიტორი (31), 0:2 ვიტორი (72), 0:3 ნაფტონი (76)

**უოტფორდი-შეფილდი 3:0**

**გოლები:** 1:0 გრემი (10), 2:0 ტეილორი (57), 3:0 ჯენკინსი (86)

**კარდიფი-ბარნსლი 2:2**

**გოლები:** 1:0 უიტინგემი (21), 1:1 გრეი (29), 2:1 კიენანი (83), 2:2 გრეი (89)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ქუინზ პარკი | 37 | 20 | 13 | 4 | 59-23 | 73 |
| 2. სუონსი | 37 | 19 | 6 | 12 | 50-34 | 63 |
| 3. ნორვიჩი | 36 | 17 | 12 | 7 | 58-45 | 63 |
| 4. კარდიფი | 37 | 18 | 8 | 11 | 57-43 | 62 |
| 5. ლიდსი | 37 | 16 | 13 | 8 | 69-58 | 61 |
| 6. ნოტინგემი | 37 | 15 | 15 | 7 | 46-32 | 60 |
| 7. ბარნლი | 35 | 15 | 11 | 9 | 51-42 | 56 |
| 8. ჰალი | 37 | 14 | 13 | 10 | 41-37 | 55 |
| 9. ლესტერი | 37 | 16 | 7 | 14 | 56-55 | 55 |
| 10. რედინგი | 36 | 13 | 15 | 8 | 59-42 | 54 |
| 11. უოტფორდი | 36 | 14 | 11 | 11 | 64-52 | 53 |
| 12. მილუოლი | 37 | 14 | 11 | 12 | 48-37 | 53 |
| 13. პორტსმუთი | 37 | 14 | 9 | 14 | 49-48 | 51 |
| 14. ბრისტოლი | 36 | 13 | 8 | 15 | 47-51 | 47 |
| 16. ბარნსლი | 36 | 12 | 11 | 14 | 44-54 | 47 |
| 15. იფსვიჩი | 36 | 13 | 7 | 16 | 46-46 | 46 |
| 17. დონკასტერი | 37 | 11 | 11 | 15 | 49-66 | 44 |
| 18. დერბი | 37 | 12 | 7 | 18 | 46-51 | 43 |
| 19. ქოვენთრი | 36 | 11 | 8 | 17 | 38-46 | 41 |
| 20. მიდლსბრო | 36 | 11 | 8 | 17 | 44-53 | 41 |
| 21. კრ. პალასი | 37 | 10 | 8 | 19 | 35-57 | 38 |
| 22. სკანთორპი | 36 | 10 | 4 | 22 | 33-63 | 34 |
| 23. შეფილდ იუნ. | 37 | 8 | 8 | 21 | 32-59 | 32 |
| 24. პრესტონი | 35 | 5 | 10 | 20 | 37-64 | 25 |

**ბომბარდირები:** 20 - გრემი (უოტფორდი); 18 - ლონგი (რედინგი); 16 - ბეკიო (ლიდსი), სინკლერი (სუონსი); 15 - ბოთროიდი (კარდიფი), ჰოლტი (ნორვიჩი), შარპი (დონკასტერი) ტაარაბტი (ქუინზ პარკი); 14 - გრადელი (ლიდსი); 13 – კინგი (ლესტერი); 12 - ჰელგიუსონი (ქუინზ პარკი), მორისონი (მილუოლი); 11 - იუელუმო (ბარნლი), მაკგუგანი (ნოტინგემი), სომა (ლიდსი).

**პირველი ლიგა. XXXVII ტური**

ბურნმუთი-საუთჰემპტონი 1:3, ბრაიტონი-ტრანმერი 2:0, ბრისტოლი-ჰადერსფილდი 0:1, ჩარლტონი-ბრენტფორდი 0:1, კოლჩესტერი-მილტონი 1:3, ჰარტლპული-პლიმუთი 2:0, ლეიტონი-ოლდჰემი 1:0, პიტერბორო-კერლისლი 6:0, როჩდეილი-ექსეტერი 0:1, შეფილდი-ნოთს ქაუნთი 0:1, სუინდონი-დაგენჰემი 1:1, იეოვილი-უოლსოლი 1:1.

**მეორე ლიგა. XXXVII ტური**

ჩელტენჰემი-ოლდერშოტი 1:2, ქრუ-ჩესტერფილდი 2:0, ჯილინგემი-ეკრინგტონი 3:1, ჰერეფორდი-ბარნეტი 1:2, ლინკოლნი-საუთენდი 2:1 მორკეიმბი-ბრედფორდი 0:1, ნორთემპტონი-მაკლსფილდი 0:1, პორტ ვეილი-ოქსფორდი 1:2, როტერჰემი-ბარი 0:0, სტოკპორტი-ბარტონი 0:0, თორგუეი-შრუსბერი 5:0, უაიკომბი-სტივენიჯი 0:1.

**კონფერენსი. XXXVII ტური**

უიმბლდონი-კიდერმინსტერი 1:2, ფლიტვუდი-ქროული 1:2, ფორესტ გრინი-ბეროუ 2:3, კეტერინგი-გრიმსბი 1:2, ნიუპორტი-ელტრინჩემი 2:1, საუთპორტი-კემბრიჯი 1:1, ტემუორთი-ჰეიესი 2:3, ვრექსჰემი-რაშდენი 1:1, იორკი-ისტბერნი 1:0.

**შოტლანდია**

პრემიერლიგა. გამოტოვებული მატჩი

| რეინჯერსი-კილმარნოკი | 2:1 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ე.ჰ. დიუფი (38), 1:1 ჰემილი (61), 2:1 კლენსი (87 ს.კ.)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 28 | 21 | 4 | 3 | 61-17 | 67 |
| 2. რეინჯერსი | 27 | 21 | 2 | 4 | 60-24 | 65 |
| 3. ჰართსი | 28 | 17 | 4 | 7 | 41-24 | 55 |
| 4. კილმარნოკი | 29 | 12 | 6 | 11 | 43-35 | 42 |
| 5. დანდი | 27 | 10 | 10 | 7 | 35-33 | 40 |
| 6. მოზერუელი | 29 | 11 | 4 | 14 | 31-38 | 37 |
| 7. ინვერნესი | 29 | 9 | 9 | 11 | 39-37 | 36 |
| 8. ჰიბერნიანი | 29 | 9 | 5 | 15 | 31-45 | 32 |
| 9. სტ. ჯონსტონი | 28 | 8 | 8 | 12 | 18-34 | 32 |
| 10. აბერდინი | 29 | 9 | 4 | 16 | 31-47 | 31 |
| 11. სტ. მირენი | 28 | 5 | 7 | 16 | 22-45 | 22 |
| 12. ჰემილტონი | 29 | 2 | 9 | 18 | 17-50 | 15 |

**ბომბარდირები:** 21 – მილერი (რეინჯერსი); 15 - სემონი (კილმარნოკი); 13 - გუდვილი (დანდი), რუნი (ინვერნესი), სტოკსი (სელტიკი) ჰუპერი (სელტიკი); 11 – ბლექმენი (აბერდინი); 10 - რიორდანი (ჰიბერნიანი), ვერნონი (აბერდინი); 9 –სკაცელი (ჰართსი); 8 - იელავიჩი (რეინჯერსი), ჰიგდონი (სენტ მირენი); 7 – ჰემილი (კოლმარნოკი), კაილი (ჰართსი), ტემპლტონი (ჰართსი), სატონი (მოზერუელი); 6 –მაკკოურტი (სელტიკი), ელიოტი (ჰართსი). *კენი მილერი 2011 წლიდან „ბურსასფორში" გადავიდა, ხოლო კონორ სემონი „უიგან ატლეტიკში"*

## უცხოური ფეხბურთი

ესპანეთი. ლა ლიგა

XXVIII ტური

# არის ინტრიგა:
## ბარსა ანდალუსიაში გააჩერეს

„სანჩეს პისხუანმა" დიდებული დაპირისპირება გვაჩუქა - წუხელ „ბარსელონა" „სევილიამ" დაამუხრუჭა - 1:1. პირველ ტაიმში **ბოიან კრკიჩის** გოლს, მეორის დასაწყისში თავურით **ხესუს ნავასმა** უპასუხა. მასპინძელთა მსოფლიოს ჩემპიონი ნახევარმცველი თამაშამდე სულაც 3 ქულის აღებით იმუქრებოდა და კინაღამ მანვე მოუტანა გამარჯვება „სევილიას", მაგრამ გუნდი **ვიქტორ ვალდესმა** იხსნა. საპირისპირო კართან კი „ცოდვის ტრიალი" იყო, თუმცა „სევილიამ" გაძლო და ამით „რეალის" გულშემატკივრები გაახარა - დღეიდან საჩემპიონო რბოლაში „სამეფო კლუბი" მხოლოდ 5 ქულით ჩამორჩება „ბარსელონას". ინტრიგაც გამოჩნდა ჰორიზონტზე. ერთი ეგაა, მომავალ ტურში „რეალს" მადრიდული დერბი და გავეშებული „ატლეტიკო" ელის...

28-ე ტური შესანიშნავი თრილერით გაიხსნა ანდალუსიაში, სადაც ერთ-ერთმა აუტსაიდერმა „ალმერიამ" „ატლეტიკოს" არგენტინელი ფორვარდის, **სერხიო აგუეროს** დუბლს კაპიტან **კრუსატისა** და შეცვლაზე შესული **გოიტომის** გოლებით უპასუხა - 2:2. მოკლედ, კვლავ ვერ ივარგა **კიკე ფლორესის** გუნდმა და მორიგი ორი ქულა დაკარგა.



ლეო მესი ამაოდ დაშვრა, გოლი ვერც ამჯერად გაიტანა

უკვე მე-8 წუთზევე გამოჩნდა, რომ კარგი მატჩი გველოდა - ბურთი სტუმართა ხარიხას მოხვდა, იქიდან გამოვარდნილს კი კრუსატმა დაამატა, მაგრამ **დე ხეამ** იყოჩაღა. მადრიდელებმა კი შეუტიეს, მაგრამ მათი შუახაზელები პასებს უგვიანებდნენ აგუეროსა და მის მეწყვილე **დიეგო ფორლანს**. სამაგიეროდ, კრუსატი არ ისვენებდა - კაპიტნის ბრწყინვალე დარტყმული უკვე ბევრს გოლი ეგონა, როცა დე ხეამ ბურთი „ცხრიანიდან" ჩამოხსნა. ამის შემდეგ ახალგაზრდა გოლკიპერი **ულოას** დარტყმულსაც გაუმკლავდა. გოლი კი არაფრისგან გავიდა - **ტიაგოს** პასით აგუერომ იხეირა, ამ ეპიზოდში „ალმერიას" მცველები შეცდნენ.

შესვენების შემდეგ 3 წუთში მოუსვენარმა კრუსატმა მაინც გაიტანა (მესამე და სამართალი) „ატლეტიკოს" კარის „ცხრიანში". თამაშის დაწყებიდან ერთი საათის გასვლის შემდეგ, ისევ სტუმრები დაწინაურდნენ, აგუერომ მცველს აჯობა, შემდეგ ცაციათი **დიეგო ალვეშიც** გაანბილა და სეზონში მე-11 გოლი გაიტანა. მაგრამ „ალმერია" ბედს არ შეეგუა და გოიტომის თავურით ქულა მაინც მოიპოვა. ქებათა ქება „ალმერიას" - ეს გუნდი ყოველთვის ბოლომდე იბრძვის.

**კიკე ფლორესი** (ატლეტიკო): *„ვფიქრობ, კარგად ვითამაშეთ. „ალმერიამ" ძალიან დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია. ზოგჯერ, ჩვენი პასები არ იყო ზუსტი, მაგრამ მაინც სასიხარულოა, რომ ამ თამაშით ჩვენი წაუგებელი სერია 5 მატჩამდე გაგრძელდა. ახლა ზუსტად ერთი კვირა გვაქვს დერბისთვის მოსამზადებლად. უკეთეს პირობებში ვართ, ვიდრე „რეალი", რომელსაც შუა კვირაში ჩემპიონთა ლიგის მატჩი უწევს".*

**ქარიმ ბენზემას** მწვრთნელის ნდობამ, **კრიშტიანო რონალდოს** ტრავმამ და პოზიციის შეცვლამ არგო - „ერკულესთან" მატჩში ის არა მარტო საუკეთესო იყო გუნდში, არამედ ლიდერიც. საბოლოოდ, „რეალმა" მისი წყალობით უპრობლემოდ დაამარცხა მეტოქე (2:0), ქარიმმა კი დუბლი მიითვალა და ჩემპიონატში უკვე 9 გოლი დაუგროვდა.

პოზიციის შეცვლაში, მეორე ფორვარდად თამაშს ვგულისხმობთ, რომელიც ფრანგს აშკარად უკეთ გამოსდის, ვიდრე ცენტრფორვარდობა. ბენზემამ პირველ ტაიმში იოლი, მაგრამ ეფექტური დარტყმით გახსნა ანგარიში, მისი მეორე გოლი კი გაცილებით რთული შესასრულებელი იყო. ის კი არა, მატჩის მიწურულს მას ჰეთ-თრიკის შესრულებაც შეეძლო.

**ქარიმ ბენზემა** (რეალი): *„მიმართლებს და თითო თამაშში ორი გოლი გამაქვს, ეს კი ჩემი თანაგუნდელების დამსახურებაა. ჩემპიონატის დასრულებამდე ჯერ კიდევ ბევრი დროა, ყველა დარჩენილი მატჩი უნდა მოვიგოთ. ახლა უკვე „ლიონთან" მატჩზე ვფიქრობ. ჩვენ 90 წუთი გვაშორებს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალამდე".*

**ჟოზე მოურინიო** (რეალი): *„ბენზემა არა მარტო კარგად თამაშობს, არამედ, ვიტყვი, რომ ასე კარგად მას არასოდეს უთამაშია. თავადაც ბედნიერია, რომ ფორმა დაიბრუნა და ჩვენც გვიხარია. როცა რონალდო და იგუაინი არ გვყავს, ის ძალიან გვეხმარება, ბოლო ორ მატჩში ბენზემამ 6 მნიშვნელოვანი ქულა მოგვიტანა".*

როგორც ჩანს, ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნის შემდეგ „ვალენსია" შოკშია. სხვა რას მივაწეროთ „ღამურების" უნიათო თამაში „რომარედაზე" და 0:4 მარცხი „სარაგოსასთან"? მე-3 ადგილოსანს ვერც ის ჩაეთვლება მიზეზად, რომ ბოლო წუთები გუნდმა 10 კაცით ითამაშა. სტუმართა რბევა **ირჟი იაროშიკის** თავურით დაიწყო და **ანდერის** დიდებული დარტყმით გაგრძელდა, რომელმაც **გუაიტას** ბურთი ფეხებს შორის გაუძვრინა.

მეორე ტაიმის შუაწელზე **მარიუს სტანკევიჩუსმა** საჯარიმოში **ბერტოლო** წააქცია, მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და საკუთარი გუნდი საბოლოოდ განირა მარცხისთვის - „სარაგოსას" კაპიტანმა **გაბიმ** პენალტი გაიტანა, 10 წუთში კი იგივე გაიმეორა - ახლა **დავიდ ალბელდამ** წააქცია საჯარიმოში **ბრაულიო** - 4:0.

**უნაი ემერი** (ვალენსია): *„ყველა ასპექტში კატასტროფული მატჩი გვქონდა. მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი იყო, მეორე კი - არა. ამის შედეგს კი ტაბლოზე ხედავთ".*

კვირის თამაშებიდან აღვნიშნავთ „ვილიარეალის" წაფორხილებას „ელ მადრიგალზე". „ელ სუბმარინომ" შესანიშნავი შანსი გაუშვა ხელიდან, რომ ქულამდე მიახლოვებოდა „ვალენსიას". არადა, მეტოქე - ხიხონის „სპორტინგი" 9 კაცის ამარა ასრულებდა მატჩს, „ვილიარეალი" ჯუზეპე როსის გოლით 1:0-ს იგებდა, მაგრამ 92-ე წუთზე დიეგო კასტრომ მასპინძელთა კარში დანიშნული პენალტი გამოიყენა და ასტურიელებს ქულა გადაურჩინა. მოულოდნელობა იყო აუტსაიდერ „მალაგას" გამარჯვება „ანოეტაზეც", სადაც მანუელ პელეგრინის გუნდმა „რეალ სოსიედადს" 2:0 მოუგო.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### მომდევნო ტური

19 მარტი: მალიორკა-სარაგოსა, ბარსელონა-ხეტაფე, ატლეტიკო-რეალი.

20 მარტი: დეპორტივო-ლევანტე, ერკულესი-ოსასუნა, მალაგა-ესპანიოლი, რასინგი-რეალ სოსიედადი, სპორტინგი-ალმერია, ბილბაო-ვილიარეალი, ვალენსია-სევილია.

ტრანსფერი

## 7,6 მილიონი ევრო და ლუიშ ფაბიანო სან პაულუშია

შაბათს დილით ცნობილი გახდა, რომ „სევილიასა" და ბრაზილიურ „სან პაულუს" შორის შეთანხმება შედგა - **ლუიშ ფაბიანო** სამშობლოში დაბრუნდა და ახალ კლუბთან 4-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ფაბიანოს სანაცვლოდ „სან პაულუ" 7,6 მილიონ ევროს გადაუხდის ესპანელებს 30 წლის ფორვარდში. კონტრაქტი ძალაში ახლავე შედის.

*„ბევრი რამით ვარ დავალებული „სან პაულუსგან" და ვიმედოვნებ, რომ ამ გუნდის მაისურით კიდევ ბევრ გოლს გავიტან"*, - განაცხადა ფეხბურთელმა. შეგახსენებთ, რომ ლუიშ ფაბიანო 2001-2004 წლებში თამაშობდა „ტრიკოლორში". შემდეგ „პორტუში" გადაბარგდა და იქ გატარებული სეზონის შემდეგ „სევილიას" მაისურა მოირგო. 5,5 წლის განმავლობაში ბრაზილიელის ანგარიშზე 106 ოფიციალური გოლია ესპანურ კლუბში. ბრაზილიის ნაკრებში ლუიშ ფაბიანომ 43 მატჩში 28 გოლი გაიტანა. ბოლო სეზონის პრიმერაში ბრაზილიელის ანგარიშზე 10 გოლია.

## პორტუგალია

ლიგა საგრეში. XXIII ტური

**ბეირა მარი-ფერეირა 3:1**
გოლები: 1:0 ლეანდრო ტატუ (4), 1:1 მ. რონდონი (61), 2:1 ბინდი (72), 3:1 რენანი (90)
გაძევება: ოლიმპიო (79. ფერეირა)

**რიუ ავე-სპორტინგი 0:0**

**გიმარაეში-სეტუბალი 1:1**
გოლები: 1:0 მიგელი (27), 1:1 ვილიამი (90)

**ნავალი-მარიტიმუ 0:3**
გოლები: 0:1 კლებერი (23), 0:2 ჯალმა (26), 0:3 ბაბა (87)

**ნასიონალი-აკადემიკა 1:1**
გოლები: 1:0 სა (61), 1:1 ლიონელი (90)

**ბენფიკა-პორტიმონენში 1:1**
გოლები: 0:1 პესოა (28), 1:1 ნ. გომეში (78)

**ლეირია-პორტუ** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 22 | 20 | 2 | 0 | 51-7 | 62 |
| 2. ბენფიკა | 23 | 17 | 1 | 5 | 46-20 | 52 |
| 3. სპორტინგი | 23 | 10 | 7 | 6 | 33-25 | 37 |
| 4. ფერეირა | 23 | 8 | 9 | 6 | 23-25 | 33 |
| 5. გიმარაეში | 23 | 9 | 6 | 8 | 26-29 | 33 |
| 6. ბრაგა | 22 | 9 | 4 | 9 | 36-29 | 31 |
| 7. ნასიონალი | 23 | 8 | 7 | 8 | 20-25 | 31 |
| 8. ლეირია | 22 | 8 | 5 | 9 | 19-25 | 29 |
| 9. ბეირა მარი | 23 | 6 | 10 | 7 | 26-26 | 28 |
| 10. ოლანენში | 22 | 6 | 10 | 6 | 19-21 | 28 |
| 11. რიუ ავე | 23 | 7 | 6 | 10 | 22-26 | 27 |
| 12. მარიტიმუ | 23 | 6 | 7 | 10 | 24-25 | 25 |
| 13. აკადემიკა | 23 | 6 | 7 | 10 | 28-36 | 25 |
| 14. სეტუბალი | 23 | 4 | 9 | 10 | 18-32 | 21 |
| 15. პორტიმონენ. | 23 | 3 | 7 | 13 | 21-39 | 16 |
| 16. ნავალი | 23 | 3 | 7 | 13 | 18-40 | 16 |

**ბომბარდირები:** 19 - ჰალკი (პორტუ); 13 - ჟოაო ტომაში (რიუ ავე); 11 - ფალკაო (პორტუ); 9 - კარლაუ (ლეირია).

### ალმერია-ატლეტიკო 2:2

**ალმერია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - მასედო, მარსელო სილვა, კ. გარსია (79. აკასიეტე), ლუნა - მ'ბამი, ბერნარდელო - ფეგული (66. ხოსე ორტისი), კალუ უჩე (61. გოიტომი), კრუსატი - ულოა.
**ატლეტიკო (4-4-2):** დე ხეა - უიფალუში, პერეა, გოდინი, ფილიპე ლუიში - რეიესი, მ. სუარესი, ტიაგო, ელიასი (61. კოკე) - ფორლანი, აგუერო.
**გოლები:** 0:1 აგუერო (38), 1:1 კრუსატი (48), 1:2 აგუერო (60), 2:2 გოიტომი (76)
**გაფრთხილება:** კ. გარსია, ბერნარდელო - ელიასი, მ. სუარესი, ფილიპე ლუიში
**კუთხური:** 4-8; **ჯარიმა:** 19-13; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 12-17 (6-7); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.
**მაყურებელი:** 19 000

### რეალი-ერკულესი 2:0

**რეალი (4-4-2):** კასილიასი - არბელოა, ალბიოლი, სერხიო რამოსი, მარსელო - დი მარია (57. ხედირა), გრანერო (66. ჩაბი ალონსო), ლ. დიარა, იოზილი (79. კანალესი) - ბენზემა, ადებაიორი.
**ერკულესი (4-2-3-1):** კალატაიუდი - ხუანრა, პასი, პამარო, პულჰაკი - ფარინოსი, აგილარი - კიკო, ტიაგო გომეში (65. ნ. ვალდესი), ტომერი (65. სენდოა) - პორტილიო (71. კრისტიანი).
**გოლები:** 1:0 ბენზემა (24), 2:0 ბენზემა (56)
**გაფრთხილება:** პულჰაკი
**კუთხური:** 8-7; **ჯარიმა:** 10-12; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 22-9 (11-4); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.
**მაყურებელი:** 73 000

### სარაგოსა-ვალენსია 4:0

**სარაგოსა (4-2-3-1):** ტ. დობლასი - დიოგო (86. და სილვა), იაროშიკი, კონტინი, პარედესი - პონსიო, გაბი (79. ნ'დავი) - ხ. ლოპესი, ანდერი, ბერტოლო - უჩე (59. ბრაულიო).
**ვალენსია (4-4-2):** გუაიტა - ბრუნო, სტანკევიჩიუსი, რიკარდო კოშტა (35. ბანეგა), ალბა - ხოაკინი, ტ. კოსტა, მ. ტოპალი, მატიო (56. მატა) - ჟონასი (66. ალბელდა), სოლდადო.
**გოლები:** 1:0 იაროშიკი (4), 2:0 ანდერი (39), 3:0 გაბი (64-პენ), 4:0 გაბი (74-პენ)
**გაფრთხილება:** პარედესი, გაბი - სტანკევიჩიუსი, ტ. კოსტა, ალბელდა
**გაძევება:** სტანკევიჩიუსი (64)
**კუთხური:** 1-3; **ჯარიმა:** 17-17; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 9-3 (6-1); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.
**მაყურებელი:** 20 000

### ოსასუნა-რასინგი 3:1

**ოსასუნა (4-2-3-1):** რიკარდო - ნელსონი, ფლანიო, ლოლო, მონრეალი - პუნიალი, ნეკუნამი - სეხუდო (76. ვადოცი), სორიანო, კამუნიასი (90. კალეხა) - კიკე სოლა (86. დამია).
**რასინგი (4-2-3-1):** ტონიო - პინილიოსი, ენრიკე, ტორეხონი, კრისტიანი - კოლსა, ლასენი (70. დიოპი) - კენედი (46. ფრანსისი), ნაუელპანი (46. ჯ. დოს სანტოსი), მუნიტისი - როზენბერგი.
**გოლები:** 1:0 კიკე სოლა (19), 2:0 ნეკუნამი (23-პენ), 3:0 სორიანო (49), 3:1 როზენბერგი (55)
**გაფრთხილება:** პუნიალი, სორიანო, ნეკუნამი - მუნიტისი, ენრიკე
**გაძევება:** სორიანო (75)
**კუთხური:** 7-8; **ჯარიმა:** 12-15; **თამაშგარე:** 4-5; **კარში დარტყმა:** 12-10 (3-3); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.
**მაყურებელი:** 17 000

### სოსიედადი-მალაგა 0:2

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - ესტრადა, ანსოტეგი, მ. გონსალესი, დე ლა ბელა - რივასი (65. ელუსტონდო), არანბურუ (78. აგირეჩე) - ჩაბი პრიეტო, ზურუტუზა (65. სარპონგი), გრიზმანი - ტამუდო.
**მალაგა (4-2-3-1):** კაბალიერო - გასპარი, სტადსგაარდი, ველიგტონი, ელიზეუ - აპონიო, რესიო - პორტილიო (66. სანდრო სილვა), ს. ფერნანდესი (83. ქუინსი), დუდა (74. მარესკა) - რონდონი.
**გოლები:** 0:1 დუდა (24), 0:2 რონდონი (57)
**გაფრთხილება:** რივასი, ესტრადა - ველიგტონი, კაბალიერო
**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 23-13; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 14-10 (5-5); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.
**მაყურებელი:** 20 000

### ესპანიოლი-დეპორტივო 2:0

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კამენი - ხ. ლოპესი, ფორლინი (59. რ. როდრიგესი), გალანი, დ. გარსია - ბაენა, ხ. მარკესი - ლ. გარსია (46. ალონსო), ვერდიუ (88. ე. ლოპესი), კალეხონი - ა. ვასკესი.
**დეპორტივო (4-2-3-1):** არანსუბია - ლაურე, ლოპო, აიტამი, მორელი - ხ. როდრიგესი, ტომასი - პ. ალვარესი, მიჩელი (68. ხ. დომინგესი), დეზმარე (68. ლასადი) - ადრიანი (81. სანდი).
**გოლები:** 0:1 ალონსო (61), 0:2 ვერდიუ (82)
**გაფრთხილება:** კალეხონი, ვერდიუ - მიჩელი, პ. ალვარესი, ლოპო
**გაძევება:** პ. ალვარესი (42)
**კუთხური:** 10-4; **ჯარიმა:** 12-19; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 13-6 (6-2); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.
**მაყურებელი:** 27 000

### ლევანტე-მალიორკა 1:1

**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - ვენტა, ბალესტეროსი, ნანო, დელ ორნო (74. ხუანფრანი) - ხ. ტორესი, იბორა - ვალდო (70. რ. სუარესი), მუნიოსი (60. მონტერო), ხუანლუ - კაისედო.
**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - სენდროსი, ნუნიეში, რამისი, აიოსე - ტეხერა (73. ჟოაო ვიქტორი), მარტი - ნსუე, დე გუზმანი, ინიესა (53. პერეირა) - ვებო.
**გოლები:** 1:0 ხუანლუ (37), 1:1 რამისი (60)
**გაფრთხილება:** ვალდო, ბალესტეროსი, ნანო, ხუანლუ - იენაგა, აიოსე
**კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 11-7; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 7-15 (2-7); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.
**მაყურებელი:** 15 000

### ვილიარეალი-სპორტინგი 1:1

**ვილიარეალი (4-4-2):** დ. ლოპესი - მარიო, გონსალო, მუსაჩიო, კაპდევილა - კანი (58. ვაკასო), ბრუნო, ბ. ვალერო, კასორლა (88. კატალა) - ნილმარი (79. მატილია), როსი.
**სპორტინგი (4-1-4-1):** კუელიარი (67. ხუან პაბლო) - სასტრე, ბოტია, ერნანდესი, ანხელი - რივერა (68. კანელია) - დე ლას კუევასი, ანდრე კაშტრო (80. ნაჩო ნოვო), კასესი, დიეგო კასტრო - ბარალი.
**გოლები:** 1:0 როსი (29), 1:1 დიეგო კასტრო (92-პენ)
**გაფრთხილება:** კაპდევილა, გონსალო - ერნანდესი, ანხელი, კუელიარი
**გაძევება:** ანხელი (66), სასტრე (90)
**კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 11-14; **თამაშგარე:** 3-8; **კარში დარტყმა:** 12-15 (3-5); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.
**მაყურებელი:** 18 000

### სევილია-ბარსელონა 1:1

**სევილია (4-2-3-1):** ვარასი - კასერესი, ფასიო, ალექსისი, ფ. ნავარო - მედელი, ზოკორა (46. კანუტე)- ხესუს ნავასი, რაკიტიჩი, კაპელი (71. პეროტი) - ნეგრედო (87. რომარიკი).
**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, აბიდალი, ადრიანო (74. მაქსველი) - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - პედრო (13. კრკიჩი), მესი, ვილია (84. კეიტა).
**გოლები:** 0:1 კრკიჩი (30), 1:1 ნავასი (49)
**გაფრთხილება:** კასერესი, ზოკორა, მედელი, ფ. ნავარო, კაპელი - ადრიანო, ჩავი
**კუთხური:** 0-4; **ჯარიმა:** 21-11; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 11-12 (3-6); **ბურთის ფლობა:** 31%-69%.
**მაყურებელი:** 44 000

**ხეტაფე-ბილბაო** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 28 | 24 | 3 | 1 | 79-14 | 75 |
| 2. რეალი | 28 | 22 | 4 | 2 | 67-20 | 70 |
| 3. ვალენსია | 28 | 16 | 6 | 6 | 42-32 | 54 |
| 4. ვილიარეალი | 28 | 15 | 6 | 7 | 47-30 | 51 |
| 5. ესპანიოლი | 28 | 14 | 1 | 13 | 37-39 | 43 |
| 6. ბილბაო | 27 | 13 | 2 | 12 | 42-38 | 41 |
| 7. ატლეტიკო | 28 | 11 | 6 | 11 | 41-37 | 39 |
| 8. სევილია | 28 | 11 | 6 | 11 | 42-43 | 39 |
| 9. სოსიედადი | 28 | 11 | 2 | 15 | 38-46 | 35 |
| 10. მალიორკა | 28 | 10 | 5 | 13 | 29-38 | 35 |
| 11. ხეტაფე | 27 | 9 | 6 | 12 | 36-41 | 33 |
| 12. ოსასუნა | 28 | 8 | 8 | 12 | 30-33 | 32 |
| 13. ლევანტე | 28 | 9 | 5 | 14 | 29-39 | 32 |
| 14. დეპორტივო | 28 | 7 | 10 | 11 | 23-38 | 31 |
| 15. სარაგოსა | 28 | 7 | 9 | 12 | 28-39 | 30 |
| 16. რასინგი | 28 | 7 | 9 | 12 | 26-42 | 30 |
| 17. სპორტინგი | 28 | 6 | 11 | 11 | 26-35 | 29 |
| 18. ალმერია | 28 | 5 | 11 | 12 | 30-47 | 26 |
| 19. ერკულესი | 28 | 7 | 5 | 16 | 25-43 | 26 |
| 20. მალაგა | 28 | 7 | 5 | 16 | 36-59 | 26 |

**ბომბარდირები:** 27 - ლიონელ მესი (ბარსელონა), კრიშტიანო რონალდო (რეალი); 17 - დავიდ ვილია (ბარსელონა); 15 - ფერნანდო ლორენტე (ბილბაო), ჯუზეპე როსი (ვილიარეალი); 13 - პედრო როდრიგესი (ბარსელონა); 12 - ფელიპე კაისედო (ლევანტე); 11 - სერხიო აგუერო (ატლეტიკო), ნილმარი (ვილიარეალი); 10 - ლუიშ ფაბიანო (სევილია), დავიდ ტრეზეგე (ერკულესი), ალვარო ნეგრედო (სევილია), ხოსე რონდონი (მალაგა).

### სეგუნდა დივიზიონი.

XXIX ტური

**ელჩე-კორდობა 2:1**
გოლები: 1:0 ანხელი (35), 1:1 ტენა (63), 2:1 ანხელი (78)

**ხირონა-ბეტისი 0:1**
გოლი: 0:1 რუბენ კასტრო (77)
გაძევება: ტებარი (86. ხირონა)

**ლას პალმასი-ვალიადოლიდი 2:0**
გოლები: 1:0 ხოსიკო (42), 2:0 არმიჩე (80)

**პონფერადინა-ალბასეტე 2:1**
გოლები: 1:0 დე პაულა (14), 1:1 კალე (29-პენ), 2:1 ბალონგა (90)

**ნუმანსია-ტენერიფე 2:1**
გოლები: 1:0 ბარკერო (15), 1:1 პ. სისილია (24), 2:1 ბარკერო (53-პენ)

**ბარსელონა B -ხიმნასტიკი 4:0**
გოლები: 1:0 ჯ. დოს სანტოსი (16), 2:0 სორიანო (34), 3:0 ჯ. დოს სანტოსი (48), 4:0 სორიანო (58-პენ)
გაძევება: მუნიესა (71. ბარსელონა)

**კარტახენა-უესკა 2:0**
გოლები: 1:0 ტოჩე (17), 2:0 პ. ბოტელიო (90)

**ხერესი-ალკორკონი 0:0**

**სელტა-ვილიარეალი B 0:1**
გოლი: 0:1 ფალკე (49)
გაძევება: ხაუმე (48. ვილიარეალი)

**რაიო ვალეკანო-გრანადა 1:1**
გოლები: 0:1 ბენიტესი (41), 1:1 ტიტო (68)

**სალამანკა-უელვა 0:1**
გოლი: 0:1 ლამასი (64)
გაძევება: არბილია (90. სალამანკა)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვალეკანო | 29 | 17 | 8 | 6 | 49-32 | 57 |
| 2. ბეტისი | 29 | 17 | 5 | 7 | 55-29 | 56 |
| 3. სელტა | 29 | 15 | 9 | 5 | 49-25 | 54 |
| 4. ბარსელონა B | 29 | 13 | 8 | 8 | 56-42 | 47 |
| 5. გრანადა | 29 | 12 | 9 | 8 | 51-33 | 45 |
| 6. ელჩე | 29 | 11 | 11 | 7 | 30-26 | 44 |
| 7. კარტახენა | 29 | 13 | 5 | 11 | 37-39 | 44 |
| 8. ვილიარეალი B | 29 | 13 | 5 | 11 | 34-37 | 44 |
| 9. ხირონა | 29 | 11 | 9 | 9 | 40-37 | 42 |
| 10. ალკორკონი | 29 | 12 | 4 | 13 | 38-36 | 40 |
| 11. ხერესი | 29 | 11 | 7 | 11 | 38-40 | 40 |
| 12. ნუმანსია | 29 | 12 | 3 | 14 | 43-43 | 39 |
| 13. ვალიადოლ. | 29 | 11 | 6 | 12 | 37-37 | 39 |
| 14. უესკა | 29 | 8 | 13 | 8 | 25-28 | 37 |
| 15. უელვა | 29 | 7 | 14 | 8 | 29-27 | 35 |
| 16. კორდობა | 29 | 8 | 11 | 10 | 39-41 | 35 |
| 17. ხიმნასტიკი | 29 | 7 | 10 | 12 | 24-33 | 31 |
| 18. სალამანკა | 29 | 9 | 4 | 16 | 29-42 | 31 |
| 19. ლას პალმასი | 29 | 6 | 12 | 11 | 39-58 | 30 |
| 20. ტენერიფე | 29 | 6 | 9 | 14 | 29-47 | 27 |
| 21. ალბასეტე | 29 | 5 | 10 | 14 | 20-36 | 25 |
| 22. პონფერადინა | 29 | 4 | 12 | 13 | 23-46 | 24 |

**ბომბარდირები:** 19 - გეიხო (გრანადა), სორიანო (ბარსელონა); 17 - ქუინი (ალკორკონი).

გერმანია. ბუნდესლიგა XXV ტური

# დორტმუნდმა წააგო... მერე?

## ფეე დაიფრინეს, მაგათსაც აგდებენ! ყენიას გუნდს სეზონის ბოლომდე რეჰაგელი უთავკაცებსო...

დორტმუნდის „ბორუსიამ" წააგო! თქვენ გესმით, რას ნიშნავს ეს? გონებას მაინცდამაინც ნუ დაძაბავთ, ბევრს არაფერს ნიშნავს - სადღაც ხომ უნდა დამარცხებულიყო? **იურგენ კლოპის** გუნდისთვის ეს ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში მხოლოდ და მხოლოდ მესამე წაგებაა და გაგახსენებთ, რომ პირველი ორი მარცხი „შავ-ყვითლებმა" „ლევერკუზენთან" (პირველ ტურში 0:2) და „აინტრახტთან" (მე-17 ტურში, 0:1) განიცხადეს. ახლა კი, გერმანიის ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატის დამარცხება „ჰოფენჰაიმმაც" შეძლო და სხვათა შორის, „სოფლელები" პირველ წრეშიც ახლოს იყვნენ BVB-სთან სამი ქულის აღებასთან - თუ გახსოვთ, დორტმუნდში ამ გუნდების ჯახი 1:1 დამთავრდა, „ბორუსია" აგებდა და ანგარიშის გათანაბრება მაშინ 92-ე წუთზეღა შეძლო.

ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ „დორტმუნდს" „ჰოფენჰაიმთან" წარმატების მიღწევა უჭირს და შესაძლოა, მართალი იყოს „ჰოფეს" თავდამსხმელი და დორტმუნდელთა კარში გატანილი ერთადერთი გოლის ავტორი **ვედად იბიშევიჩი**, როდესაც ამბობს, დორტმუნდელებს ჩვენთან იმის გამო უჭირთ, რომ ჩვენც მათნაირ სტილში ვთამაშობთო. საინტერესო დამთხვევაა ისიც, რომ გაიპარსა თუ არა კლოპმა წვერი (მეორე წრის დაწყების შემდეგ არ ჰქონდა გაპარსული), „ბორუსია" მაშინვე დამარცხდა... იბიშევიჩი კი ცალკე სალაპარაკო თემაა: მას მერე, რაც გერმანიაში მოღვაწეობს, ამ ფეხბურთელმა ხუთჯერ ითამაშა „დორტმუნდის" წინააღმდეგ და ხუთივეჯერ გოლი გაუტანა (ოთხჯერ „ჰოფენჰაიმის", ერთხელ კი „ალემანიას" მაისურით).

ამრიგად, ლიდერმა რვამატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა, რის გამოც მეკარე **რომან ვაიდენფელერი** მატჩის შემდეგ ძალიან გაბრაზებული იყო - ისე ვთამაშობდით, როგორც ვარჯიშზე და სამართლიანად დავისაჯეთო. ზოგადად კი, დორტმუნდელები ამ მარცხის გამო ტრაგედიას არ ქმნიან. აი, რას ამბობს „ბორუსიას" მენეჯერი **ჰანს-იოახიმ ვატცკე**: *„ცხადია, დღეს ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, აქ არც არავინ ფიქრობდა იმას, რომ დარჩენილ ტურებში ერთ თამაშსაც არ წავაგებდით. ამით ქვეყანა არ დაქცეულა."*

ისევე, როგორც პირველ წრეში, დორტმუნდელემს მსაჯის მიერ დამატებულ დროში ამჯერადაც შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ **ლუკას ბარიოსმა** 93-ე წუთზე ხუთი მეტრიდან ვერ გაიტანა. ზოგადად კი, ჰოფენჰაიმელებმა მედგრად იბრძოლეს და ვერავინ იტყვის, რომ მოგება არ დაიმსახურეს. ისე, „ჰოფე" ბუნდესლიგის ყველაზე უხეში გუნდია (სულ 484 ფოლი), თუმცა **სვენ ბენდერის** სავარაუდოდ სერიოზული ტრავმა „სოფლელების" ბრალი არ ყოფილა - „ბორუსიას" საყრდენი თვითონ დაშავდა.

„ბაიერნმა" „ჰამბურგს" კუდით ქვა ასროლინა - 6:0 და მატჩის შემდეგ რეკორდმაისტერის მთავარმა მწვრთნელმა **ლუის ვან გაალმა**, რომელიც იმ კვირაში კინაღამ გააგდეს, მერე კი გადაწყდა, რომ სეზონის ბოლომდე სამაღლოდ ტოვებენ, თქვა, მე ვფიქრობ, რომ გუნდმა დღეს ჩემ გამო, ჩემთვის მოიგოო და სახეზე უდიდესი კმაყოფილება ჰქონდა აღბეჭდილი. მის კოლეგა **არმინ ფეეს** კი კმაყოფილების იოტისოდენა საფუძველიც კი არ ჰქონდა - მისმა შეგირდებმა მისთვის არ იბრძოლეს, საერთოდ არაფერი მოიმოქმედეს და შედეგიც სახეზეა: გუშინ არმინ ფეე „ჰამბურგიდან" გააგდეს. ამაში გასაოცარი არაფერია: ვან გაალი უფრო დიდი ადამიანია, ვიდრე ფეე - „ბაიერნის" ფეხბურთელებმა ჰოლანდიელისთვის იბრძოლეს, „ჰამბურგის" ფეხბურთელებმა კი ფეესთვის - არა. არადა, სეზონის ბოლოს არმინის გათავისუფლებაც გადაწყვეტილი იყო. გუშინვე გაირკვა, რომ HSV-ს სეზონის ბოლომდე ფეეს ასისტენტი **მიხაელ იონინგი** უხელმძღვანელებს.

მაინც გასაოცარია ის, რომ ვან გაალის სეზონის ბოლოს გაშვების გადაწყვეტიდან ხუთი დღის შემდეგ „ბაიერნის" ფეხბურთელებმა მართლა იფრინეს. რეკორდმაისტერს წნეხისგან გათავისუფლება დაეტყო, რაც მილანის „ინტერთან" საპასუხო მატჩის წინ ძალიან კარგი ნიშანია. *„ჩვენ, ფეხბურთელებს, გვინდა, რომ ვან გაალი მიუნხენიდან ისე გავაცილოთ, როგორც მას შეეფერება, რადგან ლუისი ბრწყინვალე ადამიანია,"* - ეს **ბასტიან შვაინშტაიგერის** სიტყვებია.

„შალკემ" „აინტრახტს" მოუგო, მაგრამ **ფელიქს მაგათს** მაინც აგდებენ. „ვალენსიასთან" მოგებამ „დესპოტი ფელიქსის" გათავისუფლება გადადო, მაგრამ მხოლოდ მომავალ ოთხშაბათამდე. თუმცა, გამორიცხული არაა, რომ ფელიქსი „შალკეს" უფრო ადრეც დაემშვიდობოს. საქმე იმაშია, რომ „შალკეს" მთავარ ბოსს, **კლემენს ტიონიესს** მაგათის დანახვაც კი აღარ უნდა, მაგრამ გუშინ ფელიქსს მაინც შეხვდა და ნახევარი საათის განმავლობაში უხსნიდა, რატომ სურს მისი გაგდება. თუმცა ტიონიესი მაგათს თვითონ ვერ დაითხოვს - რაკი ფელიქსი სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და მწვრთნელობის გარდა, გუნდის მენეჯერიცაა, მისი ბედი სწორედ საბჭომ უნდა გადაწყვიტოს. რიგგარეშე სხდომა კი ოთხშაბათსაა დაგეგმილი. გამორიცხული არაა, რომ მაგათი იმ სხდომაზე აღარც გამოცხადდეს. „შალკედან" თავის დროზე სწორედ ასე გაუშვეს **რუდი ასაუერი** და მერე **ანდრეას მიულერიც**. სხდომაზე მაშინ არც ასაუერი გამოცხადებულა და არც მიულერი, რადგან იცოდნენ, რომ საბჭოს წევრებს მაინც ვერ გადაარწმუნებდნენ... ჩვენი გერმანელი კოლეგების მტკიცებით, ფელიქსის წასვლის შემდეგ „შალკეს" სეზონის ბოლომდე **ოტო რეჰაგელი** ჩაიბარებს, ზაფხულისთვის კი, **ლევან ყენიას** გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე **რობინ დუტის** (ფრაიბურგი), **რალფ რანგნიკის** (უმუშევარია, „შალკეს" ერთხელ უკვე წვრთნიდა) და **მათიას ზამერის** კანდიდატურები განიხილება.

პარასკევს „ჰანოვერი" კიოლნში 0:4 განადგურდა და ყველას შეახსენა, რომ „ჰანოვერია", რომელიც ჩემპიონთა ლიგაში რაღაცნაირად მართლა რომ შეძვრეს, უმჯობესია ასე არ მოხდეს, რადგან დიდი შანსია, რომ გერმანული საკლუბო ფეხბურთი ძალიან მაგრად შეარცხვინოს. თუმცა **მირკო სლომკას** გუნდი მაინც საუკეთესო სამეულში დარჩა და შესაბამისად, ჰანოვერელები ჯერ კიდევ სამართლიანად ოცნებობენ ჩემპიონთა ლიგის ჰიმნზე. აი, „ვოლფსბურგში" კი ისევ ყველაფერი თავდაყირა დადგა - „მგლები" საკუთარ მოედანზე კიდევ ერთ გაყეყეჩებულ გუნდთან, „ნიურნბერგთან" დამარცხდნენ და გასავარდნ ზონაში აღმოჩნდნენ. შესაბამისად, დიდი შანსია, რომ დროებით, სეზონის ბოლომდე დანიშნული **პიერ ლიტბარსკიც** ამ დღეებში გააგდონ. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ვოლფსბურგის" უკვე წამოიწყეს მოლაპარაკებები **ჰანს მაიერთან** - დიახ, სწორედ იმ „რკინის ჰანსთან", გადამრჩენლის სახელი რომ აქვს გავარდნილი. ლოგიკურია, რადგან „ვოლფსბურგს" უკვე სერიოზულად ემუქრება მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე. „ვერდერს" ეს პრობლემა შედარებით ნაკლებად აწუხებს, მაგრამ ბრემენული კლუბისთვის სერიოზული პრობლემაა ის, რომ ბოლოადგილოსან „გლადბახს" ვერ მოუგო. არადა, „მუსიკოსები" **სანდრო ვაგნერის** გოლით იგებდნენ, მიონხენგლადბახელთა დაცვის ბურჯმა **დანტემ** კი ანგარიში მსაჯის მიერ დამატებულ მეორე წუთზე გაათანაბრა. „გლადბახი" ცოცხალია!

გუშინ „ლევერკუზენმა" „მაინცი" დაამარცხა და „დორტმუნდთან" ჩამორჩენა 12-დან 9 ქულამდე შეამცირა, რითაც გაჩნდა იმის შანსი, რომ სეზონის მინურულს გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლა ცოტათი მაინც დაიძაბოს. „შტუტგარტმა" კი „ზანკტ პაულის" მოუგო და გასავარდნი ზონიდან ამოვიდა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ჰოფენჰაიმთან წაგების შემდეგ დორტმუნდელები უხასიათოდ კი იყვნენ, მაგრამ ამ მარცხისგან ტრაგედიას არ ქმნიან

### მომდევნო ტური

**18 მარტი.** ბორუსია (მ)-კაიზერსლაუტერნი.
**19 მარტი.** ჰამბურგი-კიოლნი, აინტრახტი-ზანკტ პაული, ფრაიბურგი-ბაიერნი, ჰანოვერი-ჰოფენჰაიმი, ნიურნბერგი-ვერდერი, ბორუსია (დ)-მაინცი.
**20 მარტი.** ლევერკუზენი-შალკე, შტუტგარტი-ვოლფსბურგი.

### კიოლნი-ჰანოვერი 4:0

**კიოლნი (4-2-3-1):** რენზინგი - ბრეჩკო, მოჰამადი, პეცონი, აიხნერი - ჟაჟალო (87. მაკინო), პეტიტი - პეჟკო, პოდოლსკი (84. იაბო), კლემენსი (63. ჩიჰი) - ნოვაკოვიჩი.
საქართველოს ნაკრებმა 2011 წლის ერთა თასი გათამაშების დასრულებამდე ერთი ტურით ადრე მოიგო. „ბორჯღალოსნებმა" ოთხი თამაშიდან ოთხივეში გაიმარჯვეს და მოწინაალმდეგეთაგან მიუწვდომელნი შეიქნენ.

ჩვენმა გუნდმა ვაკეში, „ლოკომოტივის" გადაჭედილ სტადიონზე, ყველაზე რთული მეტოქე, რუმინეთის ეროვნული ნაკრები დაამარცხა - 18:11. თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, საკმაოდ დაძაბული და უშელავათო გამოდგა. „სტეუარის" თბილისში რამდენიმე წამყვანი მორაგბე დააკლდა, თუმცა მატჩამდე იმედი ჰქონდათ, რომ გამარჯვებას მიაღწევდნენ. რუმინელებს ოპტიმიზმის საფუძველი ორი კვირის წინათ ბუქარესტში რუსეთის ნაკრების ძლევამოსილ ცა - 33:3.

თამაშის დაწყებამდე წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ახალ ზელანდიასა და იაპონიაში მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა ხსოვნას. აღსანიშნავია, რომ ორივე ქვეყანა მომავალი მსოფლიო თასის გათამაშების მონაწილეა. ამასთან, შეგახსენებთ, რომ წლეულს მსოფლიო რაგბის უდიდესი ფორუმი ახალ ზელანდიაში გაიმართება, 2019 წელს კი იაპონიაში.

მატჩის საწყის 12 წუთში საქართველოს ნაკრებმა ბრწყინვალედ ითამაშა და 15-ქულიანი უპირატესობა ერთი ხელის მოსმით, ერთი ამოსუნთქვით მოიპოვა. მატჩის ამ მონაკვეთმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ საქართველოს ნაკრებს საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნია. ოღონდ, ახლა მისაღწევი ისაა, რომ სერიოზულ მეტოქესთან ამ ტემპში, ასე შემართებით გუნდმა მინიმუმ ერთი ტაიმი მაინც ითამაშოს.

მართალია, რუმინელები იქადნებოდნენ, მაგრამ აშკარად ეტყობოდათ, რომ ჩვენს ნაკრებს უფრთხოდნენ და ნერვიულობდნენ. „ბორჯღალოსნებმა" ანგარიში მე-4 წუთზე გახსნეს. ხელსაყრელი სიტუაციიდან საჯარიმო მგეზავმა **მერაბ კვირიკაშვილმა** გაიტანა.

შვიდ წუთში კი მორკინალებმა შესანიშნავი, სწრაფი შეტევა განახორციელეს. „ჩვენებმა" დერეფანი მეტოქის ლელოდან 25 მეტრში მოიგეს. ცხრა ნომერმა **ირაკლი აბუსერიძემ** შეტევაში შერკინების ბურჯი **დავით ზირაქაშვილი** ჩართო, რომელმაც ათიოდე მეტრი გაირა და შებოჭეს. წარმოქმნილ რაკში ბურთი სწრაფად გათავისუფლდა და მესამეხაზელმა **მამუკა გორგოძემ** აიტაცა, ის რუმინელებმა ჩათვლის მოედნიდან ოთხ მეტრში შეაჩერეს. რაკში შეტევის წამომწყები ზირაქაშვილიც ჩაერთო, მან მოულოდნელად მარცხნიდან შეუტია, მის წინ „სტეუარის" უკანახაზელები აღმოჩნდნენ, რომლებმაც საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის შეჩერება ველარ შეძლეს. კვირიკაშვილმა გარდასახა - 10:0.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ასეთ დასაწყისს, არათუ რუმინელები, რაგბის ქართველი ქომაგებიც არ ელოდნენ. „მუხის ფოთლები", ცოტა არ იყოს, დაბნეულნი ჩანდნენ, თითქოს არ იცოდნენ, რა ეღონათ. ამასობაში კი „ბორჯღალოსნებმა" მორიგი იერიში წამოიწყეს. მარცხენა ფრთიდან ფულბეკმა **ბესიკ ხამაშურიძემ** შეუტია. მერე მორკინალებმა რამდენიმე დარტყმა განახორციელეს და ბურთი მარჯვენა, გრძელ ფრთაზე შუამარბ **თედო ზიბზიბაძეს** გაუტანეს. მან მეტოქის დაცვის ხაზი გაჭრა, თუმცა ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში შეაჩერეს. წარმოქმნილი რაკიდან აბუსერიძემ ბურთი სწრაფად გამოიტანა და კიდევ უფრო მარჯვნივ, კიდისკენ ხამაშურიძეს გადააწოდა, რომელმაც ორი რუმინელის წინააღმდეგობა დაძლია და ლელოში შეაღწია. კვირიკაშვილმა ვერ გარდასახა - 15:0.

ამის შემდეგ რუმინელებმა დაცვის თამაშის დალაგება შეძლეს და რამდენიმე კონტრშეტევის ორგანიზებაც მოახერხეს. „სტეუარიმ" კარგად ნაცად ხერხს მიმართა. ფეხით ზურგს უკან ბურთის დაკიდებით რუმინელებმა ბევრი პრობლემა შეგვიქმნეს. საბოლოოდ სტუმრებმა ოთხი საჯარიმო დარტყმის უფლება მიიღეს, აქედან მათმა მგეზავმა **ფლორინ ვლაიკუმ** ორი გაიტანა, ერთი კარის ძელებს მიღმა დაარტყა და ერთიც აუტში გადაიტანა - 6:15, ასე დასრულდა პირველი ტაიმი .



დავით ზირაქაშვილის ლელო

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შესვენების შემდეგ, როცა რუმინელთა თავკაცმა რამდენიმე ცვლილება განახორციელა, „ბორჯღალოსნებმა" მეტი შეცდომა დაუშვეს. თავად განსაჯეთ, ვლაიკუმ ოთხი საჯარიმო დაარტყა და ერთიც ვერ გაიტანა.

ძნელი სათქმელია, რატომ, მაგრამ ფაქტია, საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა მხოლოდ ერთი ტაქტიკური ცვლილება განახორციელეს. შერკინების ბურჯ **დავით ხინჩაგიშვილის** ნაცვლად თამაშში **გიორგი ჟღენტი** ჩაერთო. სხვა ცვლილებები იძულებითი იყო, **გიორგი ნემსაძემ, ირაკლი ნატრიაშვილმა** და **გიორგი ჩხაიძემ** დაშავებული თანაგუნდელები შეცვალეს. ნატჩი თავიდან ბოლომდე ითამაშა უკანა ხაზმა.

ერთი სიტყვით, მეორე ტაიმში ოდნავ გაგვიჭირდა, თუმცა „ბორჯღალოსნებმა" ანგარიშში სხვაობის გაზრდა მაინც მოახერხეს. 65-ე წუთზე კვირიკაშვილმა საჯარიმო გაიტანა - 18:6. მასვე კარის დალაშქვრის საშუალება კიდევ ერთხელ მიეცა, მაგრამ არაზუსტად დაარტყა.

„სტეუარიმ" ტემპს უმატა და მალე მატჩის გადარჩენის შანსი მიეცა. 71-ე წუთზე რუმინელებმა მარჯვენა ფრთიდან შემოგვიტიეს და კიდესთან ახლოს ლელო გაგვიტანეს. თავი შეცვლაზე შესულმა მეორეხაზელმა **ვალენტინ პოპირლანმა** გამოიჩინა. გარდასახვა ასევე შეცვლაზე შესულმა **ვალენტინ კალაფეტეანუმ** ვერ გაიტანა - 11:18.

სტუმრებმა ყველაფერი იღონეს, მატჩის ბედის ჩარხი სათავისოდ დაეტრიალებინათ, მაგრამ „ბორჯღალოსნებმა" დაცვაში შესანიშნავად ითამაშეს და მეტოქეს რამდენჯერმე სახიფათოდაც შეუტიეს. სამწუხაროდ, ჩვენი მორაგბეები დიდი გარჯით მოპოვებულ უპირატესობას იოლად ანიავებდნენ და სალელოვე შეტევის ბოლომდე მიყვანას ვერ ახერხებდნენ. საბოლოოდ საქართველოს ნაკრებმა სასურველი ანგარიში შეინარჩუნა და რუმინელებს ანთიმოზ ივერიელის თასთან ერთად, ევროპის ერთა თასიც ჩამოართვა.

მომდევნო მატჩს ჩვენი ნაკრები 19 მარტს სოჭში, სლავა მეტრეველის სახელობის სტადიონზე რუსეთის ნაკრებთან გამართავს. ამ შეხვედრის შედეგს სატურნირო თვალსაზრისით მნიშვნელობა არ აქვს. თუმცა ის, რომ მეტოქე რუსეთის ნაკრებია, უკვე დიდი ხანია, ბევრს ნიშნავს.

საქართველოს ნაკრებმა თბილისში წლეულს ბოლო მატჩი გამართა. „ბორჯღალოსნები" ერთა თასის გათამაშების დასრულების შემდეგ თბილისში ივნისის ბოლოს შეიკრიბებიან და ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიო თასისთვის მზადებას დაიწყებენ.



ბესიკ ხამაშურიძის ლელო, მარცხნივ შალვა სუთიაშვილი

**ესპანეთი-პორტუგალია 25:10**

ესპანეთი: 15. პედრო მარტინი, 14. ბრის ლაბადი, 13. ხავიერ კანოსა, 12. კარლოს ბლანკო, 11. ხუან კანო, 10. მარტინ ერედია, 9. ადრენ აიესტარანი. 1. ბენატ ოზქუი, 2. ფაბიენ როფი, 3. მატინ ოზქუი, 4. სერხიო სოუტო, 5. ხესუს რეკუერდა, 6. გაუტიერ გიბუნი, 7. მარტინ ასენა, 8. მეთიუ კუკი

16. ხესუს მორენო, 17. როდრიგო მარტინესი, 18. ფედერიკო ნეგრილო, 19. მეთიუ როსა, 20. პაბლო ფეიხოო, 21. ანდონი ხორახურია, 22. იგნასიო მულერი

ლ: აისტარანი. 6ს,გ: ერედია

პორტუგალია: 15. ანტონიო აგილარი, 14. გონსალო ფორო, 13. ფედერიკო ოლივეირა, 12. პედრო სილვა, 11. ბერნარდო სილვეირა, 10. ჯო გარდნერი, 9. ჟოზე პინტუ. 1. კრისტიან სპაშუკი, 2. ლიონელ კამპარო, 3. ჟუან მურე, 4. ჟუან სევერინო, 5. გონსალო უვა, 6. ჟაკ ლერუ, 7. ჟულიენ ბარდი, 8. ტიაგუ ჟირაუ.

16. ბერნარდო დუარტე, 17. ანტონი ალვესი, 18. რუი დორეი, 19. ვასკო უვა, 20. პედრო ლეალი, 21. კარლ მურეი, 22. ადერიტო ეშტევეში.

ლ: სილვეირა. გ,ა: გარდნერი

საქართველოს ნაკრების ვადამდელ გაჩემპიონებაში წვლილი შეიტანა ესპანეთის ეროვნულმა გუნდმა, რომელმაც ყველასთვის მოულოდნელად შინ დაამარცხა მეზობელი პორტუგალია - 25:10. მატჩის გმირი „ლომების" მგეზავი **მარტინ ერედია** გახდა, რომელმაც გუნდს 20 ქულა მოუტანა (ექვსი საჯარიმო და ერთი გარდასახვა).

**უკრაინა-რუსეთი 5:41**

უკრაინა:15. სერგი მონასტურიოვი, 14. მაქსიმ კრავჩენკო, 13. სერგიი გარკავი, 12. ანდრიი გოლიშევი, 11. ოლეგ კოსარევი, 10. სერგი ცერკოვნი, 9. ზურაბ კიკაჩეიშვილი. 1. სერგიი შუხიხი, 2. მიკოლა კირსანოვი, 3. ივან ზალიზნიაკი, 4. ვიაჩესლავ კრასილნიკი, 5. ოლექსანდრ ტარსენკო, 6. ვიტალი ორლოვი, 7. ოლექსანდრ ლომაკინი, 8. ჯაბა მალალურაძე

16. ევგენი ჩაიკა, 17. ოლექსანდრ პოლიანსკი, 18. ედუარდ ვერტილეცკი, 19. რუსლან რადჩუკი, 20. ოლექსანდრ მიშინოვი, 21. გიორგი გეგიძე, 22. პავლო მასიუკოვი

ლ: კირსანოვი.

რუსეთი: 15. იგორ კლუჩნიკოვი, 14. ვასილი არტემევი, 13. ანდრეი კუზინი, 12. ალექსეი მაკოვეცკი, 11. ვლადიმირ ოსტროუშკო, 10. კონსტანტინ რაჩკოვი, 9. ალექსანდრ შაკიროვი. 1. სერგეი პოპოვი, 2. ვლადისლავ კორშუნოვი, 3. ივან პრიშეპენკო, 4. ალექსანდრ ვოიტოვი, 5. ანდრეი გარბუზოვი, 6. ანდრეი ტემნოვი, 7. არტიომ ფატახოვი, 8. ვიჩესლავ გრაჩოვი.

16. ალექსანდრ ხროკინი, 17. ალექსეი ტრავკინი, 18. ევგენი მატვეევი, 19. ალექსეი პანასენკო, 20. ალექსანდრ იანუშკინი, 21. იური კუშნარიოვი, 22. იგორ გალინოვსკი.

6ლ: გრაჩოვი, შაკიროვი, ფატახოვი, არტემევი, ოსტროუშკო, გალინოვსკი. 4გ: რაჩკოვი (3), კლუჩნიკოვი. ს: რაჩკოვი

საქართველოს ნაკრების მომავალ მეტოქეს - რუსეთის ეროვნულ გუნდს პრობლემა არ შექმნია სტუმრად ოდესაში უკრაინის ნაკრებთან. აღსანიშნავია, რომ ექვსი ლელოდან პირველი რუსთა ნაკრებში მიბრუნებულმა ვეტერანმა **ვიაჩესლავ გრაჩოვმა** გაიტანა. მგეზავად ითამაშა კიდევ ერთმა ვეტერანმა **კონსტანტინ რაჩკოვმაც.**

უკრაინის ნაკრების შემადგენლობაში კი სამმა ქართველმა იასპარეზა, **ჯაბა მალალურაძემ, ზურაბ კიკაჩეიშვილმა** და **გიორგი გეგიძემ.**

**ერთა თასი**

**V ტური. 19 მარტი**

რუსეთი-საქართველო, რუმინეთი-ესპანეთი, პორტუგალია-უკრაინა.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 4 | 4 | 0 | 0 | +127 | 18 |
| 2. რუსეთი | 4 | 2 | 0 | 2 | +8 | 10 |
| 3. ესპანეთი | 4 | 2 | 0 | 2 | -27 | 10 |
| 4. პორტუგალია | 4 | 2 | 0 | 2 | -7 | 9 |
| 5. რუმინეთი | 3 | 1 | 0 | 2 | +16 | 6 |
| 6. უკრაინა | 3 | 0 | 0 | 3 | -117 | 0 |

ბესიკ ჯანგავაძე

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

### სამთო-სათხილამურო სპორტი


ივიცა კოსტელიჩი

# გლობუსი ივიცასია

დასასრულს მიუახლოვდა სამთო-სათხილამურო სპორტში მსოფლიოს თასის გათამაშება. მომავალ კვირას ფინალური ეტაპი გაიმართება, თუმცა მამაკაცებს შორის მთავარი გამარჯვებული უკვე გარკვეულია. შაბათს ნორვეგიის კურორტ კვიტფიელში ხორვატი **ივიცა კოსტელიჩი** სწრაფდაშვებაში 21-ე ადგილზე გავიდა, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა გენერალურ კლასიფიკაციაში საბოლოო გამარჯვების გასაფორმებლად. სეზონის დასრულებამდე ხუთი სტარტით ადრე ხორვატი მიუღწევადი გახდა კონკურენტებისთვის, რადგან უახლოეს მდევარ **დიდიე კუშს** ის 500 ქულაზე მეტს უგებს.

კოსტელიჩმა ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა და კარიერაში პირველად გაიფორმა მსოფლიოს თასზე გამარჯვება. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ივიცა იანვარში, როცა შვიდჯერ მივიდა ფინიშთან პირველი. კოსტელიჩი მამაკაცებს შორის მსოფლიოს თასის პირველი ხორვატი ჩემპიონია. მისმა დამ - **იანიცამ** ქალებში ბროლის გლობუსი სამჯერ მოიგო.

*„ეს პრიზი ჩემი ოცნება იყო და მისთვის მრავალი წლის განმავლობაში ვიბრძოდი. მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში გამარჯვება ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევაა ჩვენს სახეობაში. წარმატებული სპორტსმენების გარემოცვაში ვიზრდებოდი. იანიცამ სეზონი სამჯერ მოიგო და ის ყოველთვის მისაბაძი მაგალითი იყო ჩემთვის. ამაყი ვარ, რომ შევძელი ამის გაკეთება. იანვარში ჩემი გამოსვლა უნიკალური იყო - ძალიან ბევრი სტარტი მოვიგე. იმედი მაქვს, სოჭის ოლიმპიადაზე შევძლებ სათანადო კონკურენციის გაწევას“,* - განაცხადა მსოფლიოს თასის ახალმა გამარჯვებულმა.

სწრაფდაშვება ავსტრიელმა **მიხაელ ვალჰოფერმა** მოიგო, რომელიც ამ სეზონის შემდეგ კარიერას ასრულებს. მას შეუძლია მაჟორულ ნოტაზე შეწყვიტოს დიდ სპორტში გამოსვლა - სწრაფდაშვების ჩათვლაში 14 ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს და მცირე ბროლის გლობუსის მოპოვების რეალური შანსი აქვს.

#### საერთო ჩათვლა

1. **ივიცა კოსტელიჩი** (ხორ) - 1324; 2. **დიდიე კუში** (შვეიცარია) - 806; 3. **კარლო იანკა** (შვეიც) - 738; 4. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორ) - 725; 5. **სილვან ცურბრიგენი** (შვეიც) - 723; 6. **რომედ ბაუმანი** (ავსტრია) - 685...

■ ■ ■

ქალებს შორის გენერალურ კლასიფიკაციაში კი, ალბათ, ბოლო მომენტამდე შეუძლებელი იქნება სეზონის ტრიუმფატორის დასახელება. გასულ უქმეებზე ორი სტარტი გაიმართა ჩეხეთის კურორტ სპინდლერუვში. მსოფლიოს თასის ლიდერი **მარია რიში** 98 ქულით უგებდა მთავარ კონკურენტ **ლინდსი ვონს**, მაგრამ ახლა მათ შორის სხვაობა სულ რაღაც 23 ქულას შეადგენს.

გერმანელმა რიშმა ორივე სტარტი ჩააგდო: გიგანტურ სლალომში ჩასათვლელ ზონაში ვერ მოხვდა, სლალომში კი საერთოდ ფინიშამდე ვერ მივიდა. ეს დისციპლინები ამერიკელი ვონისთვის ყოველთვის მოუხერხებლად ითვლებოდა, მაგრამ მსოფლიოს თასის მოქმედმა მფლობელმა ამჯერად სტაბილური გამოსვლა აჩვენა - გიგანტურ სლალომში მესამე ადგილი დაიკავა (მიმდინარე სეზონში ამ დისციპლინაში საუკეთესო შედეგი - მეოთხე ადგილი ჰქონდა), სლალომში კი მე-16 ადგილი დაიკავა. ვილაცამ ამ შედეგს, შეიძლება, ჩავარდნა უწოდოს, მაგრამ ეს ასე არ არის - ვონმა ნოემბერის შემდეგ პირველად მიაღწია სლალომის ეტაპზე ფინიშს. რაც მთავარია, მე-16 ადგილმა რიშთან ჩამორჩენის 15 ქულით შემცირების საშუალება მისცა და როგორც გითხარით, ახლა სხვაობა მარიასა და ლინდსის შორის მიზერულ 23 ქულას შეადგენს.

ამასობაში, გაირკვა სეზონის კიდევ ერთი ლაურეატი ქალებს შორის. როგორც მოსალოდნელი იყო, სლალომში ბროლის მცირე გლობუსი ავსტრიელმა **მარლის შილდმა** დაისაკუთრა. წელს მას ამ სახეობაში კონკურენტი არ ჰქოლია - შილდმა სეზონში მეექვსე სლალომი მოიგო. მისი დომინირება შაბათის სტარტის დროს კიდევ ერთხელ დამტკიცდა. პირველ ცდაზე სერიოზული შეცდომის მიუხედავად, საუკეთესო დრო აჩვენა და მეორე დაშვების დროსაც ყველა კონკურენტი უკან ჩამოიტოვა.

სამთო-სათხილამურო სპორტში 2010-11 წლების სეზონი მომავალ კვირას შვეიცარიის კურორტ ლენზერჰაიდში დასრულდება. იქ ოთხი სტარტია დაგეგმილი - სწრაფდაშვება, სუპერგიგანტი, გიგანტური სლალომი და სპეციალური სლალომი.

#### სპინდლერუვი (ჩეხეთი)

#### ქალები. სლალომი

1. **მარლის შილდი** (ავსტრია) - 1:43.85 (50.02+53.83); 2. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 1:44.78 (50.20+54.58); 3. **ტინა მაზე** (სლოვენ) - 1:45.01 (50.74+54.27); 4. **მარია პიეტილაე-ჰოლმნერი** (შვედ) - 1:45.41 (50.68+54.73); 5. **ვერონიკა ზუზულოვა** (სლოვაკ) - 1:45.42 (50.96+54.46); 6. **მანუელა მოელგი** (იტალია) - 1:45.60 (50.92+54.68).

#### გიგანტური სლალომი

1. **ვიქტორია რებენსბურგი** (გერ) - 2:15.22 (1:06.62+1:08.60); 2. **დენიზე კარბონი** (იტა) - 2:16.48 (1:07.31+1:09.17); 3. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 2:16.67 (1:07.63+1:09.04); 4. **ტინა მაზე** (სლოვენ) - 2:16.72 (1:07.26+1:09.46); 5. **ფედერიკა ბრინიონე** (იტა) - 2:16.74 (1:06.94+1:09.80); 6. **ჯულია მანკუზო** (აშშ) - 2:17.03 (1:07.68+1:09.35).

#### საერთო ჩათვლა

1. **მარია რიში** (გერ) - 1678; 2. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 1655; 3. **ტინა მაზე** (ნორ) - 1003; 4. **ელიზაბეტ გიორგლი** (ავსტრია) - 932; 5. **ჯულია მანკუზო** (აშშ) - 876; 6. **ტანია პოუტიაინენი** (ფინ) - 729...

### კრივი

# ფავორიტების ტექნიკური ნოკაუტები

შაბათს ოკეანის გაღმა ორი საინტერესო ორთაბრძოლა გაიმართა. ლას ვეგასში პირველ საშუალო წონაში WBA-ის ტიტულს იცავდა პუერტორიკოელი **მიგელ კოტო**, რომელსაც მეტოქედ ჰყავდა ორ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, ვეტერანი ნიკარაგუელი **რიკარდო მაიორგა**.

ბრძოლა იმაზე მეტხანს გაგრძელდა, ვიდრე ამას ექსპერტები ვარაუდობდნენ. მაიორგა დარტყმების რაოდენობით არ ჩამოუვარდებოდა მოწინააღმდეგეს, მაგრამ უფრო ზუსტი კოტოს მოქნეული მუშტები იყო. მოკრივეებმა ბოლო რაუნდამდე მიაღწიეს და აქ ვეტერანმა მძიმე დარტყმა მიიღო მარცხნიდან, რის შემდეგაც რიგზე დაეცა. ნიკარაგუელი დიდი გაჭირვებით წამოდგა და ბრძოლის გაგრძელება გადაწყვიტა, მაგრამ იქვე ჟესტებით ანიშნა რეფერის, რომ აღარ შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა. კოტოს ტექნიკური ნოკაუტით მოგება ჩაუთვალეს და პუერტორიკოელმა შეინარჩუნა ჩემპიონის ტიტული.

ბრძოლის შემდეგ მაიორგამ კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა: *„წასვლას ვაპირებ. ვფიქრობ, ახალი სამუშაოს ძებნა უნდა დავიწყო. ამ ბრძოლის დანიშვნისთანავე ვთქვი, რომ წაგების შემთხვევაში წავიდოდი რინგიდან და ახლა დანაპირებს ვასრულებ. ჩემი გამოსვლით უკმაყოფილო დავრჩი. მიგელ კოტო ძალიან ძლიერად ურტყამს, თუმცა მე არ შემშინებია“.*

■ ■ ■

არანაკლებ საინტერესო იყო მეორე ბრძოლა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ჟურნალ „რინგის“ მიერ 2010 წლის საუკეთესო მოკრივედ აღიარებული **სერხიო მარტინესი**. მისი მეტოქე იყო ასევე პირველ საშუალო წონაში WBO-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი, უკრაინელი **სერგეი ძინზირუკი**. ბრძოლა საშუალო წონაში იმართებოდა და ფსონად იყო ტიტული, რომელსაც არგენტინელი ფლობდა, ამასთან, უკრაინელი წაგების პირობებშიც ინარჩუნებდა თავის საჩემპიონო ქამარს.

ამ შემთხვევაშიც გამართლდა სპეციალისტთა და ბუკმეიკერთა პროგნოზი. მეოთხე რაუნდში მარტინესის დარტყმების სერიის შემდეგ ძინზირუკი პირველად დაეცა რინგზე და მსაჯმა მას ნოკდაუნი დაუთვალა. მეხუთე რაუნდში უკრაინელი ისევ მოხვდა ნოკდაუნში - ამჯერად წარმატებული იყო ოთხი ზუსტი დარტყმისგან შემდგარი სერია. რიგით მესამე ნოკდაუნი მაყურებელმა მერვე რაუნდში იხილა - უკრაინელმა ამჯერად მარცხნიდან დარტყმა გაატარა და რინგზე აღმოჩნდა, თუმცა ძალიან მალე წამოდგა. ჯობდა ეს არ გაეკეთებინა, რადგან რამდენიმე წამში მორიგი ზუსტი დარტყმა მოხვდა ყბაში და ისევ დაეცა. ეს უკვე აქამდე დაუმარცხებელი უკრაინელის განადგურებას ნიშნავდა. ამ რაუნდში მესამე და სულ შეხვედრაში მეხუთე ნოკდაუნის შემდეგ რეფერიმ ბრძოლის გაგრძელება უაზრობად ჩათვალა და მარტინესს ტექნიკური ნოკაუტით მოგება ჩაუთვალა. სტატისტიკის მიხედვით, მარტინესმა 226 ზუსტი დარტყმა შეასრულა, ძინზირუკმა - 160.


მაიორგას ბევრი მოხვდა

# სოლისი გერმანიაშია

კრივის მოყვარულებისთვის მომავალი უქმეებიც საინტერესო უნდა იყოს - გერმანიაში გაიმართება სუპერმძიმე წონაში საჩემპიონო ორთაბრძოლა, რომელშიც WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი **ვიტალი კლიჩკო** კუბელ პრეტენდენტ **ოდლანიერ სოლისს** შეხვდება.

პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელი სოლისი გუშინ ჩავიდა გერმანიაში და მაშინვე განაცხადა, რომ კიოლნში აპირებს საკრივო სამყაროს განცვიფრებას, როცა WBC-ის ტიტულს ჩამოართმევს ვიტალი კლიჩკოს. კუბელს თან ახლავს მწვრთნელი და ოთხკაციანი გუნდი. ამას ემატება უზარმაზარი ჩემოდნები - ოდლანიერის ბარგი 300 კილოგრამს იწონის. სოლისმა ამაზე იხუმრა: *„როცა მოვიგებ, ამ ჩემოდნებს ფულით გავტენი და უკან გავემგზავრები“.*

სოლისი ოთხი კვირა ემზადებოდა ესპანეთში, სიერა-ნევადის მთებში, რასაც მოჰყვა ორკვირიანი სპარინგები მადრიდში. *„კარგად ვართ მომზადებული,* - აღნიშნავს სოლისის მწვრთნელი **ლუის დიასი**. - *ზუსტი გეგმა გვაქვს იმისთვის, რომ ვიტალის ტიტული ჩამოვართვათ“.*

დღეს ორივე მოკრივის პრესკონფერენციაა დაგეგმილი, ოთხშაბათს ღია ვარჯიში, ხოლო პარასკევს აწონის ტრადიციული ცერემონია.

**გვერდი მოამზადა**
**გია თვალაბეიშვილმა**

### ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

#### 11 მარტი

**კოლამბუსი–ლოს ანჯელესი 2:4**

1:2, 0:1, 1:1

**გოლები:** 0:1 კოპიტარი-22 (ჯ. ჯონსონი-36, ჯასტინ უილიამსი-33), 1:1 აპშოლი-19 (დორსეტი-9), 1:2 კოპიტარი-23 (დაუტი-25, ჯასტინ უილიამსი-34), 1:3 კოპიტარი-24 (ბრაუნი-24, მეტი გრინი-8), 2:3 ბრასარი-15 (ნეში-31, ტიუტინი-20), ჯასტინ უილიამსი-22 (პენერი-21, დაუტი-26).

**დეტროიტი–ედმონტონი 2:1 (ო)**

0:1, 0:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 0:1 რ. ჯონსი-15 (ვანდერმეერი-10), 1:1 ლიდსტრიომი-14 (დაციუკი-33, ფრანცენი-21), 2:1 დაციუკი-21 (ფრანცენი-22, კრონვალი-21).

**აილენდერსი–ბოსტონი 4:2**

0:1, 1:1, 3:0

**გოლები:** 0:1 ჰორტონი-20 (ლუჩიჩი-23, კრეისი-43), 0:2 ხარა-12 (კრეისი-44, ტ. კაბერლე-37), 1:2 მოულსონი-29 (ტავარესი-32, პარენტო-28), 2:2 გრაბნერი-28 (ოკსოპო-11, იურჩინა-11), 3:2 ჰილენი-4 (მარტინეკი-10, ოკსოპო-12), 4:2 პარენტო-16 (მოულსონი-16).

**ვაშინგტონი–კაროლინა 2:1**

0:0, 0:1, 2:0

**გოლები:** 0:1 ტ. რუუტუ-16 (სტილმანი-20, ალენი-10), 1:1 ოვეჩკინი-28 (მ. იოჰანსონი-12, ნუბლი-13), 2:1 ჰედრიქსი-8 (არნოტი-14).

**ატლანტა–ნიუ ჯერსი 2:3 (ო)**

0:0, 1:1, 1:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ველერი-15 (ლედი-26, ლიტლი-25), 1:1 ზაიაცი-11 (ელიაში-34, როლსტონი-15), 2:1 ბიფუ-ლინი-20 (ენსტრიომი-41, ლიტლი-26), 2:2 კოვალჩუკი-25 (პალმიერი-5, ფეინი-8), 2:3 ზაიაცი-12 (ელიაში-35, კოვალჩუკი-25).

**ტამპა ბეი–ოტავა 1:2**

0:1, 0:1, 1:0

**გოლები:** 0:1 სპეცა-13 (შენონი-13, ე. კარლსონი-27), 0:2 ბატლერი-7 (გონჩარი-19, გრინინგი-4), 1:2 სენტ ლუისი-26 (პურსელი-28, სტემკოსი-40).

**დალასი–მინესოტა 4:0**

1:0, 3:0, 0:0

**გოლები:** 1:0 ბენი-19 (ლანგენბრუნერი-18, გროსმანი-9), 2:0 დელეი-7 (რიბეირო-44, ლანგენბრუნერი-19), 3:0 ვენდელი-6 (ლ. ერიქსონი-39, ბ. რიჩარდსი-40), 4:0 რიბეირო-15.

**კოლორადო–ანაჰაიმი 2:6**

1:0, 1:4, 0:2

**გოლები:** 1:0 რ. ო'რაილი-7 (რ. უილსონი-10, ო'ბირნი-7), 1:1 ს. კოივუ-14 (სელიანე-41, სბისა-7), 1:2 გეტცლაფი-17 (პერი-39, სელიანე-42), 2:2 დ. ჯონსი-24 (პ. შჩასტნი-33, ე. ჯონსონი-17), 2:3 პერი-34 (გეტცლაფი-38), 2:4 სექსტონი-4 (მაკმილანი-9), 2:5 რაიანი-32 (ვიშნოვსკი-41, გეტცლაფი-39), 2:6 ვინჩესტერი-10 (ს. კოივუ-22, სბისა-8).

#### 12 მარტი

**პიტსბურგი–მონრეალი 0:3**

0:1, 0:2, 0:0

**გოლები:** 0:1 პლეკანეცი-21 (კამალერი-22), 0:2 მოენი-4 (ჯონტა-13, გომესი-27), 0:3 კამალერი-16 (ჰალპერნი-14).

**კაროლინა–კოლამბუსი 2:3**

0:1, 0:1, 2:1

**გოლები:** 0:1 პალსონი-6 (დორსეტი-10, რასელი-17), 0:2 მაკენზი-7 (კალვერტი-5, ჰეიდა-13), 1:2 სკინერი-24 (ე. კოული-24, ი. იოკინენი-30), 1:3 მაკენზი-8 (კლიტსომი-14), 2:3 ტ. რუუტუ-17 (ე. სტაალი-34, ჰარისონი-7).

**ფლორიდა–ტამპა ბეი 4:3 (ო)**

0:0, 1:1, 2:2, 1:0

**გოლები:** 1:0 ბუტი-21 (ვივერი-10, ელერბი-9), 1:1 სტემკოსი-43 (სენტ ლუისი-54, საიმონ განიე-13), 2:1 რ. კარტერი-2 (კულიკოვი-17, სანტორელი-18), 3:1 ბერგფორსი-12 (გარისონი-11, უეისი-27), 3:2 ლეკავალიე-17 (სენტ ლუისი-55, საიმონ განიე-14), 3:3 საიმონ განიე-11 (ლეკავალიე-22, სტემკოსი-41), 4:3 გარისონი-4 (სანტორელი-19, რისონერი-15).

**ნიუ ჯერსი–აილენდერსი 3:2 (ო)**

1:0, 0:2, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ჯოზეფსონი-1 (კლარკსონი-5, ვოლჩენკოვი-8), 1:1 კომო-20 (ჰილენი-13), 1:2 ტავარესი-25 (მოულსონი-17, ენდრიუ მაკდონალდი-23), 2:2 კლარკსონი-10 (ტედენბი-8, ჯოზეფსონი-2), 3:2 სალმელა-1 (ტედენბი-9, ელიაში-36).

**ფილადელფია–ატლანტა 4:5 (ო)**

1:0, 2:0, 1:4, 0:1

**გოლები:** 1:0 ლეინო-15 (ჰარტნელი-22, ბრიერი-26), 2:0 ტიმონენი-5 (მ. რიჩარდსი-37, ჟირუ-42), 3:0 ლეინო-16 (ჰარტნელი-23, მ. რიჩარდსი-38), 3:1 ე. კეინი-18 (ჰეინსი-10), 3:2 ბოგოსიანი-5 (ველერი-20, ლედი-27), 4:2 ლეინო-17 (ტიმონენი-26, მ. რიჩარდსი-39), 4:3 ენსტრიომი-10 (ე. სტიუარტი-21, ანტროპოვი-21), 4:4 ლედი-26 (ლიტლი-27), 4:5 ჰეინსი-3 (ე. კეინი-20, ე. სტიუარტი-22).

**ტორონტო–ბაფალო 4:3**

1:1, 1:2, 2:0

**გოლები:** 0:1 მ. უებერი-4 (ტიმ კონოლი-20, რ. ნიდერმაიერი-14), 1:1 მაკარტური-20 (გრაბოვსკი-26, კულემინი-24), 2:1 ბოჟაკი-11 (კესელი-24, ლუპული-12), 2:2 ჰეხტი-12 (სეკერა-20, ვანეკი-34), 2:3 ლეოპოლდი-12 (ენისი-26, მაკორმიკი-11), 3:3 გრაბოვსკი-27 (გუნარსონი-10, ფანოფი-18), 4:3 კესელი-28 (შენი-14, რამიერი-1).

**ნეშვილი–კოლორადო 4:2**

2:0, 1:2, 1:0

**გოლები:** 1:0 შ. უებერი-15 (ჯ. უორდი-17, ერატი-29), 2:0 ჰალიშჩუკი-2 (კლეინი-12, ჯოფრიონი-1), 2:1 რ. ო'რაილი-8 (ვან დერ გულიკი-2, დ. ჯონსი-15), 3:1 ჯ. უორდი-10, 3:2 ვინიკი-9 (დუშენი-30, ო'ბირნი-8), 4:2 ერატი-13.

**სტ. ლუისი–დეტროიტი 3:5**

1:2, 0:1, 2:2

**გოლები:** 1:0 კრაკნელი-1 (რივსი-1, იანსენი-2), 1:1 სალეი-2 (ქლირი-17), 1:2 ჰელმი-11 (აბდელკადერი-11, დრეიპერი-5), 1:3 კრონვალი-11 (დაციუკი-34, ფრანცენი-23), 2:3 ბეკსი-25 (ენდი მაკდონალდი-22, დ'აგოსტინი-18), 3:3 დ'აგოსტინი-15 (შატენკირკი-25), 3:4 დაციუკი-22 (ჰოლმსტრიომი-16, კრონვალი-22), 3:5 აბდელკადერი-5 (კრონვალი-23, ბ. სტიუარტი-13).

**კალგარი–ვანკუვერი 3:4**

2:1, 1:3, 0:0

**გოლები:** 1:0 ბეკლუნდი-8, 2:0 სტაიანი-6 (კოსტოპულოსი-6, სერიჩი-12), 2:1 კესლერი-34 (სამუელსონი-29, ჰ. სედინი-66), 2:2 დ. სედინი-36 (ჰ. სედინი-67, ერჰოფი-32), 3:2 მოსი-17 (იგინლა-37, ტანგეი-37), 3:3 ბაროუზი-20 (დ. სედინი-52, ერჰოფი-33), 3:4 დ. სედინი-37 (კესლერი-28, ერჰოფი-34).

**სან ხოსე–რეინჯერსი 2:3 (ბ)**

1:1, 1:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 ქლოუ-22 (კუტური-21, დ. ბოილი-32), 1:1 კრისტენსენი-10 (პროსპალი-9, გაბორიკი-22), 1:2 ზაუერი-2 (ფედოტენკო-12, პრუსტი-14), 2:2 იგერი-5 (მიტჩელი-8, დ. ბოილი-33).

**ბულიტები გაიტანეს:** დ. ბოილი (სან ხოსე), ვოლსკი (რეინჯერსი), დუბინსკი (რეინჯერსი).

## კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი




კიდი ბრაიანტის წინააღმდეგ

# რეკორდების უქმეები

გასული უქმეების ცენტრალური მატჩი, რა თქმა უნდა, „დალასისა" და „ლეიკერსის" დაპირისპირება იყო. მასპინძლების დამრიგებელმა **რიკ კარლაილმა** სასტარტო შემადგენლობაში გამოიყვანა **შონ მერიონი**, რომელსაც **კობი ბრაიანტის** მეურვეობა ევალებოდა. საერთო ჯამში, მან ამ ამოცანას კარგად გაართვა თავი და შეტევაშიც ბევრი სარგებლობა მოიტანა - **ნოვიცკისთან** ერთად მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი გახდა. მაგრამ დანარჩენმა დალასელმა კალათბურთელებმა ჩააგდეს თამაში. **ჩენდლერმა** და **ჰეივუდმა** ვერაფერი დაუპირისპირეს **ბინუმსა** და **გასოლს** და დაცვაში არასაიმედოდ ითამაშეს. „ლეიკერსმა" სამწამიანის ზონიდან 56 ქულა დააგროვა, ბინუმმა კი სეზონში საუკეთესო მატჩი ჩაატარა - 22 ქულა და 15 მოხსნა. „მავერიქსის" უკანახაზელებმაც ცუდად ითამაშეს: **ბობუამ** შვიდიდან ექვსი ტყორცნა გააფუჭა, **ტერიმ** - 16-დან ათი, **კიდმა** კი ცხრა შედეგიანი პასი მიითვალა, მაგრამ ამასთან სამი შეცდომა დაუშვა და მხოლოდ ერთი სამქულიანი ჩააგდო.

გადამწყვეტი მომენტი იყო მეორე მეოთხედის შუა ნაწილი, როცა 37:37-ზე „ლეიკერსმა" ზედიზედ ცხრა ქულა დააგროვა - ექვსი კობიმ მიითვალა და სამქულიანი დაამატა **არტესტმა**. რა თქმა უნდა, ეს არ ყოფილა კატასტროფული სხვაობა, მაგრამ სტუმრები ახერხებდნენ ამ დისტანციის შენარჩუნებას. აქ ბედმა „დალასს" საჩუქარი გაუკეთა - დიდ შესვენებამდე ორი წუთით ადრე ფეხი გადაუბრუნდა ბრაიანტს და ის კარგა ხნით გამოეთიშა თამაშს.

„დალასმა" მაინც ვერ მოუმატა თამაშს, პირიქით, **ფილ ჯექსონის** შეგირდებმა 8:0 გაქცევა მოაწყვეს და ორნიშნა სხვაობით დაწინაურდნენ. როცა ბრაიანტი დაბრუნდა (საფინალო სირენამდე ექვსწუთნახევარი იყო დარჩენილი), „ლეიკერსი" ცხრა ქულით იყო წინ, ერთი წუთით ადრე კი ეს სხვაობა ექვს ქულამდე დავიდა. მიუხედავად ამისა, „კოვბოები" არ დანებდნენ და კიდისა და მერიონის მონდომებით ჩამორჩენა ორ ქულამდე დაიყვანეს. შემდეგ გასოლმა ორიდან ერთი საჯარიმო გამოიყენა, მაგრამ „დალასმა" შანსი ხელიდან გაუშვა - ტერიმ ფარქვეშიდან ააცილა, ბინუმმა და ბრაიანტმა კი საბოლოოდ დაასამარეს მასპინძელთა იმედები.

■ ■ ■

სეზონში 53-ე და 54-ე გამარჯვებას მიაღწია „სან ანტონიომ", მაგრამ შაბათს მოულოდნელად გაუჭირდა ღრმა აუტსაიდერის „საკრამენტოს" დამარცხება. თამაშის დასრულებამდე ხუთწუთნახევრით ადრე „მეფეები" წინ იყვნენ - 91:88, მაგრამ ბოლოს ტეხასელთა გამოცდილებამ და კლასმა თავისი გაიტანა და „სპურსმა" არ დაუშვა უქმეების მთავარი სენსაცია. **მანუ ჯინობილიმ** ორჯერ სამქულიანი ჩააგდო, **დანკანმა** ორ წუთში ექვსი ქულა დააგროვა, შემდეგ **პარკერმაც** გაიბრწყინა. ამის შედეგად სამქულიანი ჩამორჩენა 10-ქულიან უპირატესობად გადაიქცა. აღსანიშნავია, რომ „სან ანტონიომ" ზედიზედ მეთერთმეტედ დაამარცხა „საკრამენტო".

ბოლოს ორი სტატისტიკური მიღწევის შესახებ: „ოკლაჰომას" ერთ-ერთმა ლიდერმა **რასელ უესტბრუკმა** „დეტროიტთან" მოგებულ შეხვედრაში ორმაგი დუბლი შეასრულა - 13 ქულა და 11 პასი და ვარსკვლავურ კომპანიაში მოხვდა. „თანდერის" მცველი მეხუთე კალათბურთელი გახდა ლიგის ისტორიაში, ვინც 4000 ქულა, 1500 პასი და 1000 მოხსნა საწყის სამ სეზონში მოიპოვა. აქამდე მსგავსი მიღწევა **კრის პოლს, ლებრონ ჯეიმსს, ანფერნი ჰარდუეისა** და **ოსკარ რობერტსონს** ჰქონდათ.

NBA-ის რეკორდი დამყარდა „გოლდენ სტეიტისა" და „ორლანდოს" მატჩში. ეს შეხვედრა „მეომრებმა" 123:120 მოიგეს, ორივე გუნდის კალათბურთელებმა კი ჯამში 36 სამქულიანი ჩააგდეს. გამარჯვებულთა რიგებში შთამბეჭდავი იყო **მონტა ელისისა** და **დორელ რაიტის** დუეტი - მათ 20-დან 15 სამქულიანი გამოიყენეს, ორლანდოელმა **ჯეისონ რიჩარდსონმა** შვიდი ზუსტი შორეული ტყორცნით დაასრულა მატჩი.

„გოლდენ სტეიტის" ანგარიშზე 21 ზუსტი სამქულიანი იყო, რაც საკლუბო რეკორდია, „მეჯიქმა" კი 15-ჯერ აილო შორიდან მეტოქის ფარი.

### 11 მარტი

**ნიუ ჯერსი-კლივლენდი 102:98 (ო)**

14:26, 23:25, 31:16, 26:27, 8:4

**ნ-ჯ:** ლოპესი (24+7 მოხსნა), ფარმარი (24+7 პასი), ჰემფრიზი (19+20 მოხსნა).

**კ:** კამანი (23+10 მოხსნა+5 პასი), გრიფინი (23+9 მოხსნა), ფოიე (19+7 პასი).

**ფილადელფია-ბოსტონი 89:86**

25:22, 24:23, 23:23, 17:18

**ფ:** ჰოუესი (14+10 მოხსნა), ბრენდი (14+5 მოხსნა), იგუოდალა (13+9 მოხსნა+8 პასი), მიქსი (12), იანგი (11).

**ბ:** გრინი (18), კრსტიჩი (16+15 მოხსნა), გარნეტი (14+6 მოხსნა+5 პასი), რონდო (12+5 პასი), პირსი (11+7 მოხსნა+5 პასი).

**ტორონტო-ინდიანა 108:98**

32:27, 30:21, 21:25, 25:25

**ტ:** ბარბოზა (29), დეროზანი (16), კალდერონი (13+8 პასი), ჯონსონი (13), დევისი (12+13 მოხსნა).

**ი:** გრეინჯერი (25+7 მოხსნა), ჰენსბრო (20+7 მოხსნა), კოლისონი (13+7 პასი), ჯორჯი (10+7 მოხსნა).

**შარლოტი-პორტლენდი 97:92**

22:25, 23:20, 19:25, 33:22

**შ:** ჯექსონი (29+10 მოხსნა), უაიტი (16+9 მოხსნა), ოგუსტინი (16+5 პასი), ჰენდერსონი (12), კანინგემი (11).

**პ:** მეტიუზი (20), ოლდრიჯი (15+10 მოხსნა), მილერი (15+9 პასი), უოლასი (13+9 მოხსნა), ბატუმი (13+7 მოხსნა).

**ჩიკაგო-ატლანტა 94:76**

22:20, 26:30, 24:10, 22:16

**ჩ:** როუზი (34+6 მოხსნა+5 პასი), დენგი (18+9 მოხსნა), ტომასი (4+13 მოხსნა), ნოა (0+11 მოხსნა).

**ა:** ჯონსონი (16), სმიტი (15+6 მოხსნა), კროუფორდი (14), ჰაინრიხი (11).

**მინესოტა-იუტა 122:101**

39:28, 27:29, 31:15, 25:29

**მ:** ლავი (24+12 მოხსნა), ბიზლი (23), მილიჩიჩი (14+6 მოხსნა), ელინგტონი (13), ფლინი (11).

**ი:** ჰეივორდი (18), მაილზი (15), ევანსი (14+5 მოხსნა), უოტსონი (10+9 პასი).

**ოკლაჰომა-დეტროიტი 104:94**

22:26, 33:24, 31:25, 18:19

**ო:** დურანტი (24+9 მოხსნა+5 პასი), ჰარდენი (22), იბაკა (16+8 მოხსნა), უესტბრუკი (13+11 პასი), კოლისონი (10).

**დ:** ჰემილტონი (20), სტაკი (16+6 პასი), პრინსი (15), მონრო (12+10 მოხსნა+6 პასი), მაკგრეიდი (11+9 მოხსნა).

**სან ანტონიო-საკრამენტო 108:103**

22:20, 30:26, 23:25, 33:32

**ს-ა:** პარკერი (27+6 პასი), ჯინობილი (24+7 პასი), დანკანი (15+10 მოხსნა), ბლეირი (14+6 მოხსნა), ჰილი (14).

**ს:** კასპი (16), ტეილორი (16), ჯეტერი (15), გარსია (14), ტომპსონი (12+5 მოხსნა), ტორნტონი (11+6 პასი), კაზინსი (10+11 მოხსნა+5 პასი).

**გ. სტეიტი-ორლანდო 123:120 (ო)**

20:27, 22:29, 30:25, 29:20, 22:19

**გ-ს:** ელისი (39+11 პასი+6 მოხსნა), რაიტი (32+6 მოხსნა), კარი (22+12 პასი), ლი (16+9 მოხსნა+6 პასი).

**ო:** რიჩარდსონი (30), ნელსონი (24+8 პასი+5 მოხსნა), თურქოგლ (24+5 ჩაჭრა), ჰოვარდი (13+21 მოზსნა), არენასი (10).

### 12 მარტი

**მაიამი-მემფისი 118:85**

28:22, 27:15, 29:23, 34:25

**მაი:** უეიდი (28+9 პასი+5 მოხსნა+5 დაფარება), ჯეიმსი (27+5 მოხსნა+5 პასი), ბოში (18+10 მოხსნა), ბიბი (17).

**მემ:** მაიო (19), გასოლი (15+9 მოხსნა), რენდოლფი (13+9 მოხსნა), ვასკესი (10).

**ატლანტა-პორტლენდი 91:82**

19:18, 16:20, 27:16, 29:28

**ა:** ტიგი (24+5 ჩაჭრა), კროუფორდი (20), სმიტი (14+12 მოხსნა+6 პასი), უილკინსი (12), ჯონსონი (11+5 მოხსნა).

**პ:** ოლდრიჯი (22+7 პასი+6 მოხსნა), მეტიუზი (19), როი (16), ფერნანდესი (10), უოლასი (5+12 მოხსნა).

**ვაშინგტონი-კლივლენდი 101:122**

27:38, 28:26, 18:27, 28:31

**ვ:** უოლი (25+8 პასი+7 მოხსნა), კროუფორდი (16), იანგი (15), ბუკერი (13+6 მოხსნა), მაკგი (12+8 მოხსნა).

**კ:** გრიფინი (26+5 მოხსნა), ბლედსოუ (23+8 მოხსნა+6 პასი), კამანი (14), ჯორდანი (10+17 მოხსნა), ამინუ (10).

**ნიუ ორლეანი-საკრამენტო 115:103**

31:24, 26:33, 27:28, 31:18

**ნ-ო:** პოლი (33+15 პასი+7 მოხსნა+5 ჩაჭრა), უესტი (25+9 მოხსნა), ლენდრი (20), ბელინელი (12).

**ს:** ტორნტონი (25), კაზინსი (19+11 მოხსნა), დალემბერი (16+8 მოხსნა), გარსია (12), ტომპსონი (10+9 მოხსნა).

**ჩიკაგო-იუტა 118:100**

37:17, 31:24, 20:30, 30:29

**ჩ:** დენგი (26+7 მოხსნა+6 პასი), როუზი (26), კორვერი (17+6 პასი), ნოა (16+9 მოხსნა), უოტსონი (16+8 პასი+5 მოხსნა).

**ი:** ჯეფერსონი (33+18 მოხსნა), ჰარისი (24), ბელი (14+8 მოხსნა), მაილზი (13), კირილენკო (11+6 მოხსნა).

**მილუოკი-ფილადელფია 102:74**

26:25, 33:16, 21:16, 22:17

**მ:** ბოგუტი (17+9 მოხსნა), ჯენინგსი (15+5 პასი), მბა ა მუტე (14+12 მოხსნა+5 ჩაჭრა), დულინგი (13+7 მოხსნა), დელფინო (12).

**ფ:** უილიამსი (16), მიქსი (13+6 მოხსნა), იგუოდალა (10+5 პასი), ტერნერი (10).

**დალასი-ლეიკერსი 91:96**

21:22, 23:28, 21:23, 26:23

**დ:** მერიონი (25+12 მოხსნა), ნოვიცკი (25+10 მოხსნა+6 პასი), ტერი (13).

**ლ:** ბინუმი (22+15 მოხსნა), გასოლი (18+5 მოხსნა), ბრაიანტი (16+5 მოხსნა), არტესტი (12+8 მოხსნა).

**ჰიუსტონი-სან ანტონიო 107:115**

25:36, 24:23, 33:22, 25:34

**ჰ:** მარტინი (28+5 პასი), ლი (16+7 მოხსნა), ლოური (13+9 პასი), ბადინგერი (12), დრაგიჩი (10), ჰეიესი (8+11 მოხსნა).

**ს-ა:** პარკერი (21+6 პასი), ჯინობილი (19), ბლეირი (14+9 მოხსნა), ჰილი (14), მაკდაესი (12+12 მოხსნა), დანკანი (11+7 მოხსნა), ჯეფერსონი (10), ნილი (10).

**დენვერი-დეტროიტი 131:101**

33:28, 33:32, 27:14, 38:27

**დენ:** სმიტი (31), ნენე (18+11 მოხსნა), ლოუსონი (15+11 პასი), ანდერსენი (14), ფელტონი (12+6 პასი), ჩენდლერი (11+5 მოხსნა), ფორბსი (10+5 მოხსნა), ჰარინგტონი (10).

**დეტ:** უილკოქსი (21), ჰემილტონი (15), გორდონი (13+6 მოხსნა), პრინსი (12), ბინუმი (8+10 პასი).

## ცხელი ხაზი

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **NBA** | |
| კლივლენდი-ოკლაჰომა | 75:95 |
| ტორონტო-შარლოტი | 90:95 |
| ფინიქსი-ორლანდო | 88:111 |
| **ესპანეთი** | |
| მენორკა-ბარსელონა | 73:78 |
| რეალი-ალიკანტე | 80:62 |
| კახასოლი-სარაგოსა | 72:86 |
| ვალიადოლიდი-ხირონა | 90:73 |
| ესტუდიანტესი-გრანადა | 83:73 |
| მანრესა-გრან კანარია | 70:77 |
| **გერმანია** | |
| ბრემერჰავენი-არტლანდი | 82:103 |
| ბაიროიტი-ტრირი | 84:71 |
| ლუდვიგსბურ.-ტელეკომ ბონი | 78:71 |
| ჯაიანტსი-ალბა | 63:76 |
| **ისრაელი** | |
| გალილი-ნეთანია | 85:76 |
| მაკაბი (ჰ)-მაკაბი (ა) | 73:66 |
| ბნეი ჰაშარონი-მაკაბი (თ-ა) | 88:89 (ო) |
| **თურქეთი** | |
| ბორნოვა-ანტალია | 66:72 |
| ალიაგა-ერდემი | 80:75 |
| ბანვითი-პინარი | 76:84 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| მეტალურგი (მ)-ავანგარდი | 3:6 |
| ს.იულიაევი-აკ ბარსი | 2:1 (ო) |
| **ბელარუსი** | |
| ნემანი-მეტალურგი | 2:1 |
| იუნოსტი-შახტარი | 6:2 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-ჰამბურგი | 4:1 |
| ვოლფსბურგი-აუგსბურგი | 4:0 |
| ჰანოვერი-დიუსელდორფი | 2:3 |
| მიუნხენი-ინგოლშტადტი | 2:6 |
| ნიურნბერგი-კრეფელდი | 2:3 |
| შტრაუბინგი-მანჰაიმი | 2:3 |
| **დანია** | |
| როდოვრე-ჰერნინგი | 1:5 |
| ფრედრიკშავნი-სონდერიისკი | 1:4 |
| **სლოვაკეთი** | |
| კოშიცე-ტრენჩინი | 9:1 |
| **ფინეთი** | |
| ბლუზი-კერპეტი | 3:5 |
| ილვესი-ჰპკ | 5:2 |
| **[illegible]** | |
| ბრნო-კლადნო | 3:0 |
| ბოლესლავი-სპარტა | 4:2 |
| ბუდეიოვიცე-ვიტკოვიცე | 0:2 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. ინდიან უელსი** | |
| გასკე-კუევასი | 7:5, 6:3 |
| ხირალდო-ლოდრა | 6:7, 4:6 |
| ისნერი-მელო | 6:3, 7:6 |
| ტროიცკი-ტომიჩი | 6:4, 6:4 |
| ბერდიხი-კუბოტი | 6:4, 6:1 |
| ვავრინკა-დავიდენკო | 3:6, 7:6, 6:4 |
| პეტცშნერი-ჩელა | 6:4, 5:7, 2:6 |
| როდიკი-ბლეიკი | 6:3, 7:5 |
| **WTA. ინდიან უელსი** | |
| ბარტოლი-პეტკოვიჩი | 6:4, 6:2 |
| სკიავონე-კორნე | 6:2, 6:3 |
| ივანოვიჩი-ბ. ზახვალოვა | 6:2, 6:2 |

## TV პროგრამა

### 14 მარტი. ორშაბათი

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-ბილბაო (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

04:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტორონტო-ტამპა ბეი (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

19:25 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ვოლგა-ტომი (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

19:45 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. როსტოვი-სპარტაკი (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

22:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

04:00 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მემფისი-კლიპერსი (LIVE).

**EUROSPORT**

15:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. V დღე. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).

18:00 ველოსპორტი. ტირენო ადრიატიკო. VI ეტაპი. იტალია (LIVE).

01:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).

**EUROSPORT-2**

03:00 ფეხბურთი. კონკაკაფის ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი (LIVE).

## კალათბურთი

# ლოკაუტი გარდაუვალია

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მოთამაშეთა პროფკავშირი კალათბურთელებს მოსალოდნელი ლოკაუტისთვის ამზადებს. ამ მიზნით მან გამოუშვა 56-გვერდიანი წიგნი, რომელსაც ასეთი სახელწოდება აქვს - „გქონდეს უკეთესის იმედი, მაგრამ მოემზადე უარესისთვის". მისი მეშვეობით მოთამაშეებს ეცოდინებათ, როგორ მოიქცნენ გაფიცვის შემთხვევაში.

როგორც პროფკავშირის პრესატაშე **დენ ვასერმანი** იტყობინება, ეს „სახელმძღვანელოები" მოთამაშეებს გასული თვის ბოლოს დაურიგეს.

*„წიგნში არ არსებობს მზა რეცეპტი. სანამ ისინი ფიქრობენ, როგორ დახარჯონ თავიანთი ფული, ჩვენ მათ სწორი მიმართულებით ნაბიჯების გადადგმაში დავეხმარებით"*, - ამბობს ვასერმანი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ წიგნში შეტანილია ათასგვარი რჩევა - უკეთ როგორ გამოიყენონ იპოთეკური კრედიტები, იჯარის თანხები... გარდა ამისა, იქ არის რეკომენდაციები კალათბურთელებისთვის - თავი შეიკავონ ახალი ავტომობილების, ტანსაცმლის და საიუველირო ნაწარმის შეძენისგან. ყველაზე გამაღიზიანებელი პუნქტები ეხება ცოლებთან, ბავშვებთან და აგენტებთან ურთიერთობას.

რაც მთავარია, პროფკავშირის შეფი **ბილი ჰანტერი** წიგნის მეშვეობით აფრთხილებს კალათბურთელებს, რომ ლოკაუტის ალბათობა ძალიან მაღალია.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



NBA-ის კომისარ დევიდ სტერნს რთული ზაფხული ელის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# სენსაციები მრავლადაა



იანგი მიურეიზე გამარჯვებას ზეიმობს

გუშინ ინდიან უელსის მასტერსზე განთესილი ჩოგბურთელები ჩაებნენ ბრძოლაში. ფავორიტების გამოჩენა მაშინვე დიდი სენსაციით აღინიშნა. ბრძოლას გამოეთიშა მსოფლიოს მეხუთე ჩოგანი **ენდი მიურეი**. ბრიტანელმა ნაკლებად ცნობილ ამერიკელ **დონალდ იანგთან** წააგო, თანაც ორ სეტში.

თავის დროზე იანგმა იუნიორთა დონეზე შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია, მაგრამ „დიდების" ჩოგბურთში ჩაიკარგა. ვერ ვიტყვით, რომ ამჯერად მან, როგორც იქნა, სრულად წარმოაჩინა თავისი ნიჭი, მაგრამ კარგი მატჩი გამოუვიდა. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ შავკანიანი ამერიკელის წარმატების მთავარი საწინდარი მიურეის უზომოდ ბევრი შეცდომა გახდა. მატჩის საბოლოო ანგარიშია - 7:6(4), 6:3. *„მე მგონი საკმაოდ შინაარსიანად ვითამაშე. მეტოქემ ვერ აჩვენა დღეს თავისი საუკეთესო ჩოგბურთი. მე ცოტას ვნერვიულობდი და რამდენიმე ორმაგი შეცდომა დავუშვი... ადრე მქონდა ასეთი სენსაციის შანსი, მაგრამ შესაძლებლობა ხელიდან გავუშვი. ამჯერად საკუთარ თავს ვუთხარი, რომ არ დავუშვებდი კიდევ ერთ მარცხს. კარგია, რომ ახლა მაინც შევძელი ნერვული დაძაბულობის დამარცხება"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ იანგმა.

კიდევ ერთი მოულოდნელი შედეგი შემოგვთავაზა ხორვატმა **ივო კარლოვიჩმა**. მოწოდების სიჩქარის ახალი რეკორდსმენი ამჟამად რეიტინგის მესამე ასეულში იმყოფება, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის მეექვსე ნომრად განთესილი **დავიდ ფერერის** დამარცხებაში - 7:6(3), 6:3. შესაძლოა, ესპანელის მარცხის მიზეზი ამასწინდელი ტრავმა გახდა, რომლის გამოც ფერერმა დევისის თასზე თამაში ვერ შეძლო.

ასევე ადრეულ ეტაპზე წააგეს თავიანთი მატჩები კვიპროსელმა **მარკოს ბალდატისმა** და ფრანგმა **ჟო-ვილფრიდ ცონგამ**, რომლებსაც ჯანმრთელობის მხრივ ყველაფერი წესრიგში ვერ აქვთ.

პირველი წრიდან დატოვა ინდიან უელსის მასტერსი მოქმედმა ჩემპიონმა **ივან ლუბიჩიჩმა**, თუმცა მისი მარცხი მოსალოდნელი იყო. თანდათან შედის ფორმაში **ხუან მარტინ დელ პოტრო**, რომელმაც ცოტა ხნის წინ დელრეი ბიჩის ტურნირი მოიგო, შემდეგ დევისის თასზე უარი თქვა და ინდიან უელსისა და მაიამის მასტერსებისთვის უკეთ მოსამზადებლად ამერიკაში დარჩა. ლუბიჩიჩის წინააღმდეგ არგენტინელი თავიდან ვერ გაიხსნა და ამის გამო სამი სეტის ჩატარება დასჭირდა. ხორვატმა დაკარგა შარშანდელი გამარჯვებისთვის მოპოვებული სარეიტინგო ქულები და კლასიფიკაციაში დაახლოებით 50-ე პოზიციამდე ჩამოქვეითდება.

აღვნიშნავთ მამაკაცთა ტურში **რაფაელ ნადალის** წარმატებულ დაბრუნებას. მსოფლიოს პირველი ჩოგანი ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ პირველ მატჩს ატარებდა და პრობლემა არ ჰქონია **რიკ დე ვიუსტის** წინააღმდეგ - 6:0, 6:2. რაფას ძალიან კარგი ბადე შეხვდა - მეოთხედფინალამდე არც ერთ განთესილთან არ უწევს შეხვედრა.

■ ■ ■

მამაკაცებისგან განსხვავებით უკვე დაასრულეს მეორე წრე ქალებმა და აქაც სენსაციის გარეშე ამ ეტაპს არ ჩაუვლია. სხვათა შორის, მთავარი სენსაციის ავტორი ამჯერადაც ამერიკელი ჩოგბურთელი გახდა. 18 წლის ამერიკელმა **კრისტინა მაკჰეილმა** სულ ახლახან მოიგო თავისი პირველი მატჩი პროფესიულ ტურში და ამიტომაც რუსი **სვეტლანა კუზნეცოვას** წინააღმდეგ აშკარა აუტსაიდერად მიიჩნეოდა.

ახალგაზრდა მასპინძელმა ნამდვილი ბრძოლა გაუმართა „დიდი სლემის" ტურნირების ორგზის ჩემპიონს და მომენტებში, როცა გადამწყვეტი სიტყვა უნდა ეთქვა რუსის კლასსა და გამოცდილებას, მოულოდნელად მაკჰეილმა უფრო ოსტატურად და ლაღად ითამაშა. ორივე სეტი ტაი-ბრეიკზე დასრულდა, ამასთან, კუზნეცოვამ მეორე პარტიაში სეტზე ჩაწოდება ვერ შეძლო. სვეტლანამ ორივე ტაი-ბრეიკი წააგო - 6:7(4), 6:7(7) და მაკჰეილმა კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია.

კუზნეცოვას თუ არ ჩავთვლით, განთესილი ჩოგბურთელები შესანიშნავად გამოიყურებოდნენ. **იარმილა გროტისა** (29-ე ნომერი) და **ცვეტანა პირონკოვას** (30) წაგებებს სენსაციად ვერ მოვნათლავთ. მხოლოდ **პეტრა კვიტოვას** (12) მარცხი აღმოჩნდა დიდი მოულოდნელობა. ამ ჩეხმა ჩოგბურთელმა სეზონში კარგი სტარტი აიღო და ორი ტურნირის მოგება მოასწრო, მაგრამ აქ პირველივე მატჩი დათმო თანამემამულე **ბარბორა ზახვალოვასთან**.

შეიძლებოდა ერთი სენსაციით მეტი ყოფილიყო უფრო ყურადღებით რომ ეთამაშა ესპანელ **ანაბელ მედინა გარიგესს**. მისი მეტოქე **მარია შარაპოვა** პირველ სეტში მუდმივად მდევრის როლში იყო, მაგრამ, როცა ესპანელს ერთი ნაბიჯი აკლდა გამარჯვებამდე, მოდუნდა და მარიას ზედიზედ სამი გეიმი და მასთან ერთად სეტი მოაგებინა. თუმცა მეორე სეტში ანაბელი ბოლომდე კონცენტრირებული იყო, ერთი მატჩბოლი მოიგერია და ტაი-ბრეიკზე გაათანაბრა ანგარიში. გადამწყვეტ სეტში რუსს უკეთესი განწყობა ჰქონდა და მეტოქე გაანადგურა - 6:1. თამაში ზუსტად სამი საათი გაგრძელდა.

ქალთა ტურნირის მთავარი ინტრიგა, რა თქმა უნდა, **კიმ კლაისტერსისა** და **კაროლინ ვოზნიაცკის** დაპირისპირება იქნება, რომლებიც მთავარი პრიზის გარდა რეიტინგის პირველი პოზიციისთვის იბრძვიან. მართალია, ვოზნიაცკი ამჟამად პირველზეა, მაგრამ კლაისტერსი უკეთეს სიტუაციაში იმყოფება, რადგან დანიელს 700 სარეიტინგო ქულა აქვს დასაცავი (შარშან მან ფინალამდე გააღწია), ბელგიელს - მხოლოდ 80. ასე რომ, კაროლინმა ტურნირი უნდა მოიგოს, რომ კლასიფიკაციაში ქულათა მარაგი შეივსოს, ბელგიელს კი ამისთვის მეოთხე წრეში გასვლაც ეყოფა.

**ATP**

**BNP Paribas Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 645 000 დოლარი

**I წრე**

**ჟულიენ ბენეტო (საფ)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 6:4, 6:4; **ლუკაშ კუბოტი (პოლ)**-მიხაილ კუკუშკინი (ყაზ) 7:6, 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს)**-ფაბიო ფონინი (იტა) 5:7, 6:2, 6:4; **იგორ ანდრეევი (რუს)**-კეი ნიშიკორი (იაპ) 6:4, 6:7, 6:4; **რაიან ჰარისონი (აშშ)**-ჟერემი შარდი (საფ) 6:7, 7:6, 6:3; **ანდრეი გოლუბევი (ყაზ)**-ფლორიან მაიერი (გერ) 6:2, 6:1; **სანტიგო ხირალდო (კოლ)**-დანიელ ხიმენო ტრავერო (ესპ) 6:4, 6:7, 6:3; **იენ-ჰსუნ ლუ (ტაივ)**-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) 6:2, 6:3; **პაბლო კუევასი (ურუ)**-პაბლო ანდუხარი (ესპ) 7:5, 6:3; **ფლორან სერა (საფ)**-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 6:4, 6:7, 7:6; **ბენჯამინ ბეკერი (გერ)**-ტიემო დე ბაკერი (ჰოლ) 6:2, 7:5; **რიკარდო მელო (ბრა)**-რუბენ რამირეს იდალგო (ესპ) 6:4, 6:3; **მილოშ რაონიჩი (კან)**-მარსელ ილჰანი (თურ) 6:2, 7:6; **ფილიპ პეტცშნერი (გერ)**-დასტინ ბრაუნი (იამ) 6:4, 7:5; **ჯეიმს ბლეიკი (აშშ)**-კრის გუჩიონე (ავსტრა) 3:6, 6:3, 6:2; **ბერნარდ ტომიჩი (ავსტრა)**-როჰან ბოპანა (ინდ) 6:7, 7:6, 6:4.

**II წრე**

**ტომი რობრედო (ესპ, 25)**-მიშა ზვერევი (გერ) 6:3, 3:6, 7:5; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 9)**-რიჩარდას ბერანკისი (ლიტ) 7:5, 2:0 უარი; **ალბერტ მონტანიესი (ესპ, 23)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 7:6, 2:6, 7:6; **სომდევ დევარმანი (ინდ)**-მარკოს ბალდატისი (კვიპ, 19) 7:5, 6:0; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ)**-ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 14) 5:7, 6:4, 6:2; **ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 20)**-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ) 6:4, 6:4; **ივო კარლოვიჩი (ხორ)**-დავიდ ფერერი (ესპ, 6) 7:6, 6:3; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 32)**-ტიმ შმიჩეკი (აშშ) 2:6, 6:2, 7:6; **ჟილ სიმონი (საფ, 28)**-რაინერი შუტლერი (გერ) 6:3, 7:6; **დონალდ იანგი (აშშ)**-ენდი მიურეი (ბრიტ, 5) 7:6, 6:3; **რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-რიკ დე ვიუსტი (ს. აფრ) 6:0, 6:2; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 11)**-მაიკლ რასელი (აშშ) 6:4, 6:4; **სემ კუერი (აშშ, 21)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ) 6:4, 6:4; **ქსავიე მალისე (ბელ)**-ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 15) 7:6, 7:5; **რაიან სვიტინგი (აშშ)**-ხუან მონაკო (არგ, 27) 6:1, 0:6, 6:1; **რობინ სიოდერლინგი (შვედ, 4)**-მიხაელ ბერერი (გერ) 6:3, 7:6.

**WTA**

**BNP Paribas Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**II წრე**

**კიმ კლაისტერსი (ბელ, 2)**-ალა კუდრიავცევა (რუს) 6:2, 6:0; **ვერა ზვონარევა (რუს, 3)**-ტიმეა ბაშჩინსკი (შვეიც) 6:3, 7:6(4); **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 5)**-ჟუჟანა ონდრაშკოვა (ჩეხ) 6:2, 6:0; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 6)**-კოკო ვანდევეგე (აშშ) 6:2, 6:1; **შაარ პეერი (ისრ, 10)**-ბეტანი მატეკი (აშშ) 4:6, 7:6(5), 6:3; **ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ)**-პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 12) 3:6, 6:2, 7:5; **კაია კანეპი (ესტ, 14)**-ხისელა დულკო (არგ) 3:6, 6:2, 6:2; **მარიონ ბარტოლი (საფ, 15)**-მონიკა ნიკულესკუ (რუმ) 2:6, 6:3, 6:2; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 17)**-ანასტასია სევასტოვა (ლატ) 6:2, 7:5; **ანა ივანოვიჩი (სერ, 19)**-კიმიკო დატე (იაპ) 6:4, 6:2; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 21)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ) 7:6(8), 7:5; **იანინა ვიკმაიერი (ბელ, 23)**-მელანი ოუდინი (აშშ) 6:4, 6:3; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 25)**-სანია მირზა (ინდ) 6:3, 6:3; **სარა ერანი (იტა)**-იარმილა გროტი (ავსტრა, 29) 7:5, 4:6, 6:2; **ალიზ კორნე (საფ)**-ცვეტანა პირონკოვა (ბულ, 30) 7:5, 3:6, 6:2; **ჯულია გორჯესი (გერ, 32)**-სიბილ ბამერი (ავსტრია) 6:1, 6:3; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)**-სლოუნ სტივენსი (აშშ) 6:3, 6:2; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 4)**-ლაურა პოუს-ტიო (ესპ) 6:2, 6:2; **შუაი პენგი (ჩინ)**-ნა ლი (ჩინ, 7) 4:6, 6:3, 6:3; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 8)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს) 6:4, 6:3; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 9)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 7:6(5), 6:4; **კრისტინა მაკჰეილი (აშშ)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 11) 7:6(4), 7:6(7); **ფლავია პენეტა (იტა, 13)**-ელენა ბალტაჩა (ბრიტ) 6:4, 3:6, 6:4; **მარია შარაპოვა (რუს, 16)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ) 7:5, 6:7(3), 6:1; **ნადია პეტროვა (რუს, 18)**-სოფია ანდერსონი (შვედ) 6:4, 7:6(3); **არავან რეზაი (საფ, 20)**-შუაი ჟანგი (ჩინ) 7:6(5), 6:0; **ალისა კლეიბანოვა (რუს, 22)**-აგნეს შავაი (უნგ) 6:3, 7:5; **მარია კირილენკო (რუს, 24)**-ანა ჩაკვეტაძე (რუს) 6:2, 1:3 უარი; **დინარა საფინა (რუს)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 26) 7:6(2), 6:4; **ლუსი ჰრადეცკა (ჩეხ)**-ალექსანდრა დულგერუ (რუმ, 27) 4:6, 6:4, 6:4; **მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ, 28)**-სიმონა ჰალეპი (რუმ) 7:5, 6:0; **ურსულა რადვანსკა (პოლ)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ, 31) 6:3, 5:7, 6:2.

# ოლიმპიადის პერსპექტივით

ინდიან უელსში ამერიკულ პუბლიკას მსოფლიო რეიტინგის ლიდერთა ხილვის დამატებითი შესაძლებლობა მიეცა. **რაფაელ ნადალმა, როჯერ ფედერერმა, ნოვაკ ჯოკოვიჩმა** და **ენდი მიურეიმ** ერთეულთა თანრიგის პარალელურად წყვილებში თამაში გადაწყვიტეს და ოთხივემ თავიანთ პარტნიორებთან ერთად სინქრონულ გამარჯვებებს მიაღწიეს, თანაც საკმაოდ დამაჯერებლად.

ოთხივეს მეწყვილედ თანამემამულე ჩოგბურთელი ჰყავს არჩეული. როგორც ჩანს, ისინი გაისად ლონდონის ოლიმპიადაზე წყვილებშიც აპირებენ თამაშს და აქედანვე იჭერენ თადარიგს.

რაფაელ ნადალს ტრადიციული პარტნიორი ჰყავს - **მარკ ლოპესი**, რომელიც ამჟამად მე-14 ადგილს იკავებს წყვილთა რეიტინგში. ესპანურმა დუეტმა მეოთხე ნომრად განთესილი წყვილი დაამარცხა პოლონელების - **მარიუშ ფიურშტენბერგისა** და **მარცინ მატკოვსკის** შემადგენლობით. თამაში ორ საათს გაგრძელდა და მეტოქეებს ორი ტრაი-ბრეიკის თამაშმა მოუწიათ - 7:6(5), 7:6(2).

ცნობისთვის, რაფაელ ნადალს წყვილთა თანრიგში შვიდი ტიტული აქვს მოპოვებული, მათ შორის ერთი წელს - დოჰაში. ლოპესთან ერთად რაფამ ATP-ის სამი ტურნირი მოიგო.

როჯერ ფედერერი და **სტანისლავ ვავრინკა** იშვიათად თამაშობენ ერთად, თუმცა მათ ანგარიშზე ერთი დიდი გამარჯვებაა - პეკინის ოლიმპიადის ოქროს მედალი. ინდიან უელსის წყვილთა ტურნირის პირველ წრეში შვეიცარიელებს სერიოზული მეტოქე ჰყავდათ - მსოფლიოს მეორე დუეტი, რომელშიც ბელარუსი **მაქს მირნი** და კანადელი **დანიელ ნესტორი** არიან გაერთიანებული. იმის ნაცვლად, რომ მაყურებელს დიდი ბრძოლა ეხილა, ფედერერის გუნდმა სულ რალაც 49 წუთში გაანადგურა წყვილთა თამაშის აღიარებული ოსტატები - 6:1, 6:2.

სხვათა შორის, ფედერერი თავად თამაშობდა მაქს მირნისთან ერთად წყვილებში და ამ დუეტს სამი ტიტული აქვს მოგებული, თუმცა ბოლო ტრიუმფი 2003 წლით თარიღდება.

ნოვაკ ჯოკოვიჩი თანამემამულე **ვიქტორ ტროიცკის** შეუწყვილა და ამ სახელდახელო დუეტმაც ორ სეტში მოიგო პირველი წრის მატჩი. სერბების მეტოქეები არგენტინელები - **ხუან მონაკო** და **ხუან-იგნასიო ჩელა** იყვნენ. შეხვედრის ანგარიშია - 6:3, 7:5. ჯოკოვიჩს წყვილებში ნაკლები წარმატებები აქვს, ვიდრე ნადალსა და ფედერერს. ნოვაკმა დუეტებში მხოლოდ ერთი ტიტული მოიგო - 2010 წელს ლონდონში **ჯონათან ერლიხთან** ერთად მოიპოვა მთავარი პრიზი.

სამი სეტის თამაშმა მოუწია მსოფლიოს მეხუთე ჩოგან ენდი მიურეის, ვისაც პარტნიორად ღვიძლი ძმა - **ჯეიმი მიურეი** ჰყავდა. ბრაზილიურ დუეტთან (**მარსელო მელო-ბრუნო სუარეში**) ბრძოლის ბედი საჩემპიონო ტაი-ბრეიკზე გადაწყდა, რომელშიც ბრიტანელებმა დაამტკიცეს თავიანთი უპირატესობა - 7:5, 3:6, 10:6. ჯოკოვიჩის მსგავსად, ენდი მიურეისაც კოლექციაში მხოლოდ ერთი ტიტული მოეპოვება წყვილთა თანრიგში.



ესპანური დუეტი

მოკლედ, მსოფლიოს რეიტინგის ხუთი პირველი ნომრიდან ოთხმა წყვილებში პირველ გამარჯვებას მიაღწია. რაც შეეხება მსოფლიოს მეოთხე ჩოგანს, შვედ **რობინ სიოდერლინგს**, მან ძალების დაზოგვის მიზნით უარი თქვა წყვილებში თამაშზე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**